13
ეროვნული ბიბლიოთეკა
1425
2011

# არსენალი

№25 (146). 9-22 დეკემბერი, 2011 წ. სამხედრო-ანალიტიკური ჟურნალი. ფასი 1,5 ლარი.

## ჯარი ორწლიანი ხდება?

## ირანმა ზესაიდუმლო ამერიკული უპილოტო ჩამოაგდო



## ქართულ შეიარაღებაზე მოსკოვს მონაცემებს თბილისი დღემდე ოფიციალურად აწვდიდა...

ეროვნული ბიბლიოთეკა



სამხრეთ-აფრიკული სპეცრაზმი 35



ველიზარიუსი — ბიზანტიელთა სარდალი 48



ამერიკული ჯავშანტექნიკის პირველი ნაბიჯები 30

შეაშინებს კი სომხებს აზერბაიჯანული „ქუხილი“? 18





ინდიელთა ომები 41

ყველაზე ზუსტი ანტიმატერიალური სნაიპერული შაშხანა 53



ეროვნული ბიბლიოთეკა

# სარჩევი


კალეიდოსკოპი

4 სამხედრო სიახლეები

სამხედრო საიდუმლოება

7 ქართული არმიის შეიარაღებაზე მოსკოვს მონაცემებს თბილისი დღემდე ოფიციალურად აწვდიდა...

სამხედრო არმია

8 ჯარი ორწლიანი ხდება?

სტრატეგიული დაპირისპირება

9 რუსული სუპერრადარი ევროპაში „შესაჭვრეტად“

შეიარაღება

12 კავკასიური სატანკო ბალანსი

სენსაცია

15 ირანმა ზესაიდუმლო ამერიკული უპილოტო ჩამოაგდო?

რეგიონი

16 კავკასიური მოვლენების მიმოხილვა

სამეზობლოში

18 დააშინებს თუ არა სომხებს აზერბაიჯანელების გამანადგურებელი „ქუხილი“?

ექსპოზიცია

21 Dubai Air Show

სპეცსამსახურების არქივებიდან

23 სტალინ-ბერიას აგენტურა ქართულ ემიგრაციაში

ტერორისტული ორგანიზაციები

25 „აუმ სინრიკიო“ — მისტიკოსი ტერორისტები

ტანკმშენებელი ქვეყნები

30 ამერიკული ჯავშანტექნიკა — პირველი საცდელი მოდელები

სპეცდანაყოფები

35 სამხრეთაფრიკული სპეცრაზმი: წარმატებული ოპერაციის მძიმე საზღაური

შემთხვევები

38 სამგზავრო ლაინერების კატასტროფები ქართულ ცაში

ამერიკის ისტორია

41 ინდიელთა ომები — ლითლ ბიგ-ჰორნის ბრძოლა

XXI საუკუნის ომები

45 კიბერტერორიზმთან ბრძოლის ამერიკული და ბრიტანული გამოცდილება

100 დიდი მხედართმთავარი

48 ველიზარიუსი

ქართული ომების ისტორიიდან

50 „...დურ აზ გორგასარ“...

„არსენალის“ იარაღის მაღაზია

53 ყველაზე ზუსტი ანტიმატერიალური სნაიპერული შაშხანა

გარეკანზე: შვედური შეწყვილებული მუხლუხებიანი ჯავშანტრანსპორტიორი Bv206S


პალიტრა მედია

## რედაქციისგან

სენაკის სამხედრო ბაზაში რეზერვისტთა მომზადების დროს დაიღუპა ნებაყოფლობით გაწვეული რეზერვისტი ნიკა ალფენიძე. ექიმების ჩარევის მიუხედავად, მისი გადარჩენა ვერ მოხერხდა. გარდაცვალების მიზეზი კი სისხლძარღვოვანი თრომბოემბოლია გახდა. ასეთი დასკვნა ამ შემთხვევაში ყველაზე მარტივი გამოსავალია და იმედია, საბოლოო და ზუსტ პასუხს მხოლოდ გაკვეთის შემდეგ მივიღებთ. თუმცა, აქვე დგება ერთი საინტერესო საკითხი: თუ ამ რეზერვისტმა რამდენად სრულყოფილად ან საერთოდ გაიარა კი სამედიცინო შემოწმება? ეს შემთხვევა გვიჩვენებს, რომ რეზერვისტთა შერჩევის სისტემა დახვეწას საჭიროებს და აუცილებელია, თითოეულმა რეზერვისტმა პერიოდულად გაიაროს სამედიცინო შემოწმება. ჟურნალ „არსენალის“ რედაქცია მწუხარებას გამოთქვამს ნიკა ალფენიძის გარდაცვალების გამო და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს.


მთავარი რედაქტორი
ირაკლი ალადაშვილი

პასუხისმგებელი რედაქტორი
თემურ ჩაჩანიძე

კომპიუტერული უზრუნველყოფა
დათო მოსიაშვილი

ყურადღება!
გამოიწერეთ „არსენალი“
და მიიღეთ შინ,
ორ კვირაში ერთხელ!
ტელ: 238-26-74; 238-26-73



რედაქციის დაუკითხავად
მასალების გადაბეჭდვა
აკრძალულია



გადაცემულია დასაბეჭდად
5.12.2011

გაზეთ „კვირის პალიტრის“
დამატება ©
რედაქციის მისამართია:
თბილისი, იოსებიძის ქ. N49
ტელ: 238-83-07 (121)

სარეკლამო განყოფილება:
ტელ: 237-78-07; 238-78-70
email: arsenali@kvirispalitra.com
ჟურნალი გამოდის
ორ კვირაში ერთხელ
პარასკევს

ეროვნული ბიბლიოთეკა

## სპეცრაზმელებს სახის დამალვა უჭირთ



ამერიკის სპეცდანიშნულების რაზმი, სხვებთან შედარებით, განსაკუთრებულადაა შენიღბული. კომანდოსები სტელს-შვეულმფრენებით ფრენენ, აცვიათ მაღალტექნოლოგიური კამუფლაჟი, მაგრამ მათ „ნიღაბში" „ხვრელები" მაინც რჩება. საუბარია ადამიანის სხეულის მიერ გამოყოფილ სითბოზე, რომელიც ინფრაწითელი ხედვის საშუალებებში კარგად ჩანს.

ჯერ კიდევ აპრილში ამერიკის სპეციალური ოპერაციების ძალებმა (SOCOM) მებრძოლთა „უჩინარობა" პრიორიტეტად გამოაცხადა და მოკლე ხანში კომანდოსებმა მიიღეს ახალი უნიფორმა, რომელიც სხეულის სითბურ გამოსხივებას თითქმის ფარავს.

მაგრამ თითქმის არ ნიშნავს მთლიანად — ამ მხრივ დაუცველი დარჩა კომანდოსების სახე, რომელიც ინფრაწითელი ხედვის აპარატებში არ იმალება.

ახლა SOCOM-ის მებრძოლები სითბური გამოსხივების დასაფარ საშუალებას სახისთვისაც ითხოვენ, ოღონდ კომანდოსისთვის „ნიღაბი" არ უნდა იქცეს მისი მხედველობის, სმენისა და სუნთქვის დამაბრკოლებლად, რაც ამოცანას ერთი-ორად ართულებს.

## Made in China – ამერიკულ სამხედრო ტექნიკაში ჩინური ელექტროდეტალები მომრავლდა

აშშ-ის სენატის კომისიამ, რომელიც სამხედრო საკითხებზე მუშაობს, რამდენიმეთვიანი გამოძიების შემდეგ დაასკვნა, რომ ამერიკულ შეიარაღებაში ჩინური წარმოების ელექტრონიკის ფალსიფიცირებული დეტალები მრავლადაა „შემოპარული".

როგორც ირკვევა, ფალსიფიცირებულ ელექტროკომპონენტებს ჩინეთის ქალაქ შენჩჟენში ამზადებენ და შემდეგ ის ამერიკული შეიარაღებების სისტემების ფართო ნომენკლატურაში ხვდება. მათ შორისაა — ღამის ხედვის, თვითმფრინავის თავდაცვისა და ვიდეოსიგნალების ტრანსლაციის სისტემები და სხვ.

მაგალითად, ამერიკულმა ავიამშენებელმა კონცერნმა „ბოინგმა", რომელმაც საპატრულო თვითმფრინავი P-8A Poseidon-ი დაამზადა, ფრთაზე ყინულის აღმომჩენი მოძველებული სისტემის არსებობის შესახებ შეიტყო. აღმოჩნდა, რომ კონტრაფაქტის მომწოდებელ ბრიტანულ კომპანია BAE Systems-ს საჭირო კომპონენტებს აწვდიდა იაპონური კომპანია A Access Electronics-ი, რომელიც თავის მხრივ ჩინური კომპანიის განყოფილებაა.



## უპილოტო შვეულმფრენები მოძრავ გემებზეც მშვიდობით დაეშვებიან

კომპანიები DCNS-ი და Thales-ი უპილოტო შვეულმფრენებისთვის ავტომატური დაშვების სისტემა D2AD-ის ფინალური გამოცდისთვის ემზადებიან. ამ სისტემის უნიკალური მახასიათებლების ჩვენება ამ ზაფხულს შედგა და შვეულმფრენი Boeing H-6U მოძრავ სატვირთო ავტომობილზე დაჯდა. ახლა კი იმავეს გაკეთება მოძრავი მცურავი საშუალების გემბანზე იგეგმება.

საფრანგეთის სამხედრო-საზღვაო ძალების დაკვეთით შექმნილი სისტემა D2AD უმთავრესად სწორედ მოცურავე ხომალდების გემბანზე უპილოტო შვეულმფრენების ავტომატურ დაშვებაზეა გათვლილი.

სისტემის დასკვნითი ცდები ფრანგულ ფრეგატზე მომავალი წლიდან დაიწყება, ხოლო შეიარაღებაში მიღება კი ხუთი წლის შემდეგ არის მოსალოდნელი. ახალი სისტემის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ ის პირველი იქნება, რომელიც მთლიანად ავტომატურ რეჟიმში შეძლებს უპილოტო შვეულმფრენის დასმას მოძრავი სამხედრო ხომალდის შეზღუდული ფართობის გემბანზე, მათ შორის ცუდი ამინდისა და ძლიერი ღელვის დროსაც. ამჟამად მსგავს პირობებში უპილოტოს მშვიდობით დაშვებას ურთულესი მანევრი სჭირდება და ამის გაკეთება მხოლოდ გამოცდილ პილოტ-ოპერატორს ძალუძს.



# ჯარისკაცებს ომის საშინელებასა და ტკივილს სიმულატორით მიაჩვევენ



სათამაშო ტექნოლოგიები, განსაკუთრებით კი ე.წ. „შუტერები“, მაღალტექნოლოგიურ არმიებში მებრძოლთა მომზადებისთვის სულ უფრო ხშირად გამოიყენება. თუმცა, ციფრულ პოლიგონებზე მოდელირებული გარემოსა და იარაღის გამოყენების აღქმას ერთი დიდი ხარვეზი აქვს, — მებრძოლი საომარ ატმოსფეროში ვერ გრძნობს თავს. ის არ გრძნობს ტკივილს, შიშსა და ომის სტრესის სხვა ასპექტებს.

საქმეს ისეთი პირი უჩანს, ახლო მომავალში ეს ხარვეზიც აღმოიფხვრება, — პენტაგონმა გამოაქვეყნა მოთხოვნა ტექნოლოგიაზე, რომელიც გამოიმუშავებს გარემოს ტაქტილური (შეხების) შეგრძნებების გამომწვევ ძალისმიერ იმპულსებს, მათ შორის, ტყვიის მოხვედრის შეგრძნებას.

ამ ახალმა ტექნოლოგიამ ვირტუალური სინამდვილე სრულიად ახალ სიმაღლეზე უნდა აიყვანოს. მაგალითად, სიმულატორთან მყოფი ჯარისკაცი არა მხოლოდ ყუმბარის აფეთქებას დაინახავს, ასევე შეიგრძნობს ჰაერის ტალღის დარტყმასა და ნამსხვრევების მოხვედრისგან გამოწვეულ ტკივილს. ეს კი წვრთნის პროცესს მაქსიმალურად ბუნებრივს გახდის, ჯარისკაცებს კი საფრთხის რეალური შეგრძნება ექნებათ.

პენტაგონის მოთხოვნაში ისიცაა აღნიშნული, რომ სისტემა უსაფრთხო უნდა იყოს, თუმცა, სავარაუდოდ, ამგვარი წვრთნა უმნიშვნელო დაჟეჟილობის, ყურებში წუილისა თუ მცირე დამწვრობების გარეშე არ ჩაივლის. რაც მთავარია, ტაქტილური შეგრძნებების სიმულატორის მეშვეობით სუსტ და შედარებით მგრძნობიარე ჯარისკაცებს მანამ გამოავლენენ, სანამ ნამდვილ ბრძოლის ველზე აღმოჩნდებიან.



# პრინცმა უილიამმა ორი რუსი მეზღვაური დაღუპვას გადაარჩინა



დიდი ბრიტანეთის პრინცმა უილიამმა სამაშველო ღონისძიებაში მონაწილეობისა და გამოჩენილი მამაცობისთვის საჯაროდ მადლობა დაიმსახურა.

გასაჭირში რუსული სატვირთო გემი და ეკიპაჟის აღმოჩნდა. ირლანდიის ზღვაში გრიგალის დროს უელსის სანაპიროდან 30 კმ-ში გემმა კატასტროფა განიცადა. სამხედრო-საჰაერო ძალების სამძებრო-სამაშველო შვეულმფრენის პილოტი პრინცი უილიამი კი გადარჩენის ოპერაციაში მონაწილეობდა და მისი უშუალო ძალისხმევით 2 მეზღვაურის ევაკუირება მოხერხდა. ამასთან, მაშველებმა ერთი დაღუპულის ცხედარიც იპოვეს, ხუთის ბედი კი უცნობია.

ბრიტანეთის პრინცს მადლობის წერილი რუსეთის ელჩმა დიდ ბრიტანეთში გაუგზავნა.

# არმიას „ჯიბის სიცრუის დეტექტორიც“ სჭირდება



კერძო კომპანიებისათვის მიცემული პენტაგონის შეკვეთების ჩამონათვალში, სხვასთან ერთად, პორტატიული მოწყობილობის ორიგინალური პროექტიცაა, რომელსაც დისტანციურად შეიძლება თაღლითების, კანონდამრღვევთა და იმ პირთა გამოაშკარავება, რომლებიც მიზნის მიღწევას მოტყუებით ცდილობენ.

ამჟამად კი ამერიკელი სამხედროები ბლოკპოსტებზე პატრულირებისას, ასევე ეჭვმიტანილთა დაკითხვისას სამართალდამცველი ორგანოების მსგავსი ინსტრუმენტებით სარგებლობენ. ეს არის ტექნიკური თვალსაზრისით უკვე დრომოჭმული სიცრუის დეტექტორები ან ბოლო დროს შექმნილი სხვა საშუალებები, რომლებიც მატყუარას „სხეულის ენით“ გასცემენ. თუმცაღა, ამ დეტექტორებს ნაკლი მრავლად აქვთ, — აუცილებელია მათი ეჭვმიტანილის სხეულთან უშუალო კონტაქტი, ხშირად ცდებიან და თანაც, მათი მოხმარება საველე პირობებში არცთუ მოხერხებულია.

ახლა პენტაგონს თავისი არსენალის გამდიდრება კომპაქტური, „ჯიბის“ მოწყობილობით სურს, რომელსაც არანაკლებ 2 მეტრის დაშორებით შეეძლება „ადამიანის ფსიქოფიზიოლოგიური მახასიათებლების შეფასება“, — დაწყებული მისი გულისცემისა და თვალის დახამხამების სიხშირის დადგენით, ტვინის იმპულსების ანალიზით დამთავრებული. რაც მთავარია, აპარატმა საველე პირობებში, სხეულთან უშუალო კონტაქტის გარეშე, მაღალი სიზუსტით უნდა განსაზღვროს იმ საეჭვო ობიექტის „გულწრფელობა“, რომელიც კითხვებზე პასუხებს იძლევა.



საქართველოს პარლამენტის

# გერმანელებმა უპილოტოს ლაზერით ჩამოგდება ისწავლეს



გერმანულმა კომპანია Rheinmetall-მა მაღალენერგეტიკული ლაზერული იარაღი გამოცადა. შვეიცარიაში სამხედრო პოლიგონზე ექსპერიმენტის დროს ლაზერულმა ქვემეხმა, რომელიც ჰაერსაწინააღმდეგო თავდაცვის სისტემა C-RAM-ის მბრუნავ ტურელზე იყო დამონტაჟებული, უპილოტო საფრენი აპარატის ჩამოგდება შეძლო. გამოცდის მიზანი ობიექტის აღმომჩენი და ცეცხლის წარმოების სისტემის ერთ ლაზერულ იარაღში ინტეგრირება იყო.

თავად იარაღი წარმოდგენილია ორი ხუთკილოვატიანი სიმძლავრის ლაზერული ქვემეხით. უცნობი დარჩა, ცდების დროს კონკრეტულად რომელი უპილოტო საფრენი აპარატის განადგურება მოხერხდა. ცნობილია მხოლოდ ის, რომ ობიექტი დაბალ სიმაღლეზე მფრინავ აპარატთა კლასს მიეკუთვნებოდა. შვეიცარიის პოლიგონზე გერმანული კომპანიის წარმომადგენლებმა გამოცადეს შედარებით ნაკლები სიმძლავრის სხვა ლაზერული იარაღიც, რომელიც ჯავშანმანქანა TM-170-ზეა დამონტაჟებული და გზებზე დაყენებულ ხელნაკეთ ფეთქებად მოწყობილობათა გაუვნებლებაზეა გათვლილი.

# პეინტბოლს გამოყენება არმიაშიც გამოუძებნეს

წარმოიდგინეთ, რომ ხართ ავღანეთში და პატრულირებისას გზაზე საეჭვო ნივთს ხედავთ. მიუახლოვდებით? იქნებ ბომბია? როგორ უნდა შეამოწმოთ? პენტაგონში ფიქრობენ, რომ ასაფეთქებელი მოწყობილობის გამოვლენა პეინტბოლით ნასროლი სპეციალური მარკერით შეიძლება.

ამერიკულ არმიაში სერიოზულად საუბრობენ პეინტბოლის ბურთულების საჭიროებაზე, რომელშიც ასაფეთქებელი მასალის გამოსავლენი ნივთიერება იქნება. მისი მოხმარება მარტივი უნდა იყოს — სპეციალურ „ტყვიას" საეჭვო ნივთსა თუ პოტენციურ ტერორისტ-თვითმკვლელს შორიდანვე ესვრი, ასაფეთქებელი მასალის არსებობის შემთხვევაში კი საღებავი ფერს შეიცვლის.

პეინტბოლის დანერგვის იდეა კარგია, რამდენადაც მას ძვირად ღირებული და რთული ტექნოლოგიების გამოყენება არ სჭირდება. თანაც, საღებავებისა და ფხვნილების მეშვეობით ასაფეთქებელი მასალის გამოსააშკარავებელი ტექნოლოგია უკვე შექმნილია. თუმცა, მას ნაკლი მაინც აქვს — პეინტბოლის იარაღის სროლის სიშორე 100 მეტრ მანძილამდე მაინც უნდა გაიზარდოს, ამ სიშორეზე კი მიზანში მორტყმული მარკერის ფერის ცვალებადობას შეუიარაღებელი თვალით ვერავინ გაარჩევს. და კიდევ, საღებავიანმა ბურთულამ მორტყმისას ბომბის დეტონაცია არ უნდა გამოიწვიოს.



# დმიტრი მედვედევის „უხერხული" ფოტო საქართველოს რუკის ფონზე



რუსეთის პრეზიდენტი და უმაღლესი მთავარსარდალი დმიტრი მედვედევი ამას წინათ კალინინგრადის ოლქს სტუმრობდა, სადაც სარაკეტო თავდასხმის გამაფრთხილებელი სისტემის ახალი რადიოლოკაციური სადგური „ვორონეჟ-დმ" მოინახულა. ეს ამბავი ჩვენი მკითხველისთვის საინტერესო ნაკლებად იქნებოდა, რომ არა ერთი მცირე, მაგრამ მაინც საგულისხმო ფაქტი — თუკი ყურადღებით დააკვირდებით რუსეთის პრეზიდენტის ხელმარჯვნივ წარმოდგენილ რუკას, შეამჩნევთ, რომ საქართველოს სახელმწიფო საზღვრები სწორედ ისეა, ჩვენს გულს რომ გაუხარდება და დანარჩენი მსოფლიოც რომ აღიარებს — აფხაზეთ-სამაჩაბლოიანად.



# ქართული არმიის შეიარაღებაზე მოსკოვს მონაცემებს თბილისი დღემდე ოფიციალურად აწვდიდა...

**ჩვენი დოსიე:** 1990 წელს პარიზში ხელმოწერილი ხელშეკრულება ითვალისწინებდა ევროპაში ჩვეულებრივი შეიარაღებული ძალების შემცირების პროცესის დაწყებას. ამ ხელშეკრულებას ხელი საბჭოთა კავშირმაც მოაწერა, რომლის სამხრეთ ფლანგზე სამხრეთი კავკასია და საქართველოც იგულისხმებოდა. ერთ წელში საბჭოთა კავშირი დაიშალა და რვა წელი გახდა საჭირო ამ ხელშეკრულების ადაპტირებული ვარიანტის შესამუშავებლად, რომელსაც 1999 წელს სტამბოლში რუსეთის ფედერაციასთან ერთად დსთ-ის ევროპული ნაწილის სხვა ქვეყნებმაც, მათ შორის საქართველომ, მოაწერეს ხელი.

რუსეთის სახელმწიფო დუმამ ხელშეკრულების ადაპტირებული ვარიანტის რატიფიცირება მოახდინა, რაც არ გააკეთეს ჩრდილოატლანტიკური ალიანსის წევრმა ქვეყნებმა. ამით კრემლს საუკეთესო საბაბი მიეცა, 2007 წელს მორატორიუმი გამოეცხადებინა ამ ხელშეკრულების შემდგომ შესრულებაზე.

ხელშეკრულება ითვალისწინებს, რომ მისი ხელმომწერი ქვეყნების ტერიტორიაზე, წელიწადში არანაკლებ ორჯერ, გეგმის მიხედვით (ან მოულოდნელად) ჩატარდებოდა სამხედრო დანაყოფების დისლოკაციის ადგილების ინსპექტირება, იმის გადამოწმება, თუ რა სახის და რაოდენობის ჩვეულებრივი შეიარაღება აქვთ მათ (შემოწმებას არ ექვემდებარება საჰაერო თავდაცვის საშუალებები და სამხედრო-საზღვაო ძალები).

2007 წლის ბოლომდე რუსეთის ევროპულ ნაწილში და მათ შორის — ჩრდილო კავკასიის რეგიონში (რაც ჩვენთვის ყველაზე საინტერესო გახლდათ) ჩატარებული ინსპექტირების შემდეგ (ხელშეკრულების მიხედვით მეზობელი ქვეყნების ინსპექტორებს — სამხედრო ვერიფიკატორებს არა აქვთ ერთმანეთის გადამოწმების უფლება, ამას მესამე ქვეყნის წარმომადგენლები აკეთებენ) წელიწადში ორჯერ ქართულ მხარეს საშუალება ჰქონდა, ზუსტად სცოდნოდა, რა სამხედრო დანაყოფები ჰყავდა დისლოცირებული რუსეთის ჩრდილო კავკასიის სამხედრო ოლქს კავკასიონის ჩრდილოეთით და რა შეიარაღება ჰქონდათ მათ.

ბუნებრივია, ანალოგიურ ინფორმაციას საქართველოს შეიარაღებული ძალების შესახებ ფლობდა რუსეთიც. ინსპექტირების შემდეგ დამუშავებული ინფორმაცია თავს იყრის ერთ ინფორმაციულ ცენტრში, საიდანაც საჭირო მონაცემების მიღება ხელშეკრულების მონაწილე ყველა ქვეყანას შეუძლია.

2007 წლის ბოლოს გამოცხადებული მორატორიუმის შემდეგ რუსეთი, ბუნებრივია, აღარ უშვებდა სამხედრო ვერიფიკატორებს თავის ტერიტორიაზე და რუსულ სამხედრო დანაყოფებზე მონაცემების განახლების პროცესი შეწყდა.

ეს განსაკუთრებით აქტუალური გახდა ჩრდილო კავკასიის სამხედრო ოლქთან დაკავშირებით, რადგან კრემლმა მათი გადმოჯგუფება დაიწყო რუსეთ-საქართველოს სახელმწიფო საზღვრის სიახლოვეს და ფართომასშტაბიანი სამხედრო სწავლება ჩაატარა.

2008 წლის აგვისტოს ომამდე ქართულ მხარეს აღარ ჰქონდა განახლებული მონაცემები რუსეთის ჩრდილო კავკასიის სამხედრო ოლქში წლის დასაწყისიდან მომხდარ ცვლილებებზე. სამაგიეროდ, მოსკოვი ერთიანი საინფორმაციო ცენტრიდან დაუბრკოლებლად იღებდა ინფორმაციას ქართული არმიის შეიარაღების განახლების შესახებ, რადგან ჩვენს ევროპელ მეგობრებს დაავიწყდათ, ან სულაც, შეგნებულად არ დაბლოკეს ხელშეკრულებაზე მორატორიუმგამოცხადებული რუსეთის მიერ ერთიანი საინფორმაციო ცენტრით სარგებლობა.

უფრო მეტიც, აგვისტოს ომის შემდეგაც კრემლი დაუბრკოლებლად სარგებლობდა ამ ინფორმაციით და მოსკოვს მარტივი გამოთვლებით შეეძლო განესაზღვრა ქართული არმიის შეიარაღების დანაკარგები ან ახალშეძენილი საბრძოლო ტექნიკის სახეობები და რაოდენობა.

**აგვისტოს ომის შემდგომაც რუსეთის თავდაცვის სამინისტრო ევროპაში ჩვეულებრივი შეიარაღებული ძალების ხელშეკრულების ფარგლებში ყოველწლიურად ოფიციალურად იღებდა ინფორმაციას ქართული არმიის სამხედრო ბაზებისა და იქ განთავსებული საბრძოლო ტექნიკის შესახებ, მიუხედავად იმისა, რომ მოსკოვს ოთხი წელია მორატორიუმი აქვს გამოცხადებული ამ ხელშეკრულების შესრულებაზე.**

მხოლოდ ა.წ. დეკემბრის დასაწყისში გავრცელდა საგარეო საქმეთა სამინისტროს განცხადება, რომლის თანახმადაც საქართველო წყვეტს რუსეთისთვის ევროპაში ჩვეულებრივი შეიარაღებული ძალების შესახებ ხელშეკრულების ფარგლებში ინფორმაციის მიცემას.

საგულისხმოა, რომ საქართველოს ხელისუფლებამ ეს დაგვიანებული გადაწყვეტილება მხოლოდ მას შემდეგ მიიღო, რაც ნოემბრის ბოლოს აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტმა შეწყვიტა რუსეთისთვის ზემოხსენებული ხელშეკრულების ფარგლებში ინფორმაციის მიწოდება. მაშინ აშშ-ის წარმომადგენელმა მოუწოდა ჩრდილოატლანტიკური ალიანსის მოკავშირე ქვეყნებს მათაც შეეწყვიტათ ანალოგიური ინფორმაციის გაცემა მოსკოვისთვის.

ვაშინგტონის მოწოდებას პირველად დიდი ბრიტანეთი გამოეპასუხა, მეორე კი საქართველო იყო, არადა, ამ მნიშვნელოვან პრობლემაზე „არსენალი“ ჯერ კიდევ 2010 წლის 1-ელი ოქტომ-

ეროვნული ბიბლიოთეკა



ბრის ნომერში გამოქვეყნებულ სტატიაში „მოსკოვი ქართულ არმიაზე დასავლეთიდანაც იღებდა მონაცემებს“ ვწერდით.

რას წარმოადგენს ევროპაში ჩვეულებრივი შეიარაღებული ძალების შესახებ ხელშეკრულება, მისი რატიფიცირებული ვარიანტი და რა წავაგეთ ამის გამო რუსეთთან, „ჩვენ დოსიეში“ გაეცნობით.

გულდასაწყვეტია, რომ შენს სავარაუდო მოწინააღმდეგეს, რომელთანაც ომიც კი გქონდა, ოფიციალურად აწვდი ამომწურავ ინფორმაციას შენს შეიარაღებულ ძალებზე, მისი დანაყოფების დისლოკაციის ზუსტ კოორდინატებს, რამდენი ტანკი, ქვეითთა საბრძოლო მანქანა, ჯავშანტრანსპორტიორი, 100 მმ-ზე მსხვილი კალიბრის არტილერია, თვითმფრინავი და შვეულმფრენი გყავს.

ასეთ დროს ხელისუფლების წარმომადგენლების მცდელობა, რომ თითოეული ბუჩქის ქვეშ რუსეთის აგენტები ეძებოს, სასაცილოა.

მიუხედავად იმისა, რომ რუსეთთან ომის შემდეგ მხოლოდ სამი წლის შემდეგ საქართველო და დასავლეთის ქვეყნები წყვეტენ ინფორმაციის მიწოდებას რუსეთისთვის (რომელსაც თავად 2007 წლის დეკემბრიდან მორატორიუმი აქვს გამოცხადებული ამ ხელშეკრულების შესრულებაზე), მოსკოვი ჩვენდა სამწუხაროდ მაინც მიიღებს ასეთ ინფორმაციას. საქმე ის არის, რომ ხელშეკრულებაში ასევე მონაწილეობენ რუსეთის სტრატეგიული პარტნიორები (თუნდაც სომხეთი, ბელორუსია), რომლებსაც ეს მონაცემები მიეწოდებათ. ძნელი დასაჯერებელია, რომ სტრატეგიულმა პარტნიორებმა მოსკოვს დაუმალონ ევროპაში ჩვეულებრივი შეიარაღებული ძალების შესახებ ხელშეკრულების ყოველწლიური მონაცემები.

**ირაკლი ალადაშვილი**

# ჯარი ორწლიანი ხდება?

ამ ბოლო დროს ხშირად გაიგონებთ, რომ სამხედრო-სავალდებულო სამსახურის ხანგრძლივობა მომავალი, 2012 წლიდან შეიძლება ორი წელი გახდეს.

ამჟამად მოქმედი კანონმდებლობით სამხედრო სავალდებულო სამსახურში გაწვევას ექვემდებარება 18-დან 27 წლამდე ასაკის მამრობითი სქესის საქართველოს მოქალაქე, რომელსაც არა აქვს გაწვევისგან გათავისუფლების ან გაწვევის გადავადების უფლება.

სამხედრო სავალდებულო სამსახურის ხანგრძლივობა 12 თვეა. თუკი წვევამდელი გამოთქვამს სურვილს გაიაროს საკონტრაქტო სამხედრო სამსახური, მაშინ მან შეიძლება დადოს არანაკლებ 3 წლის ვადით კონტრაქტი.

თუკი წვევამდელი კონტრაქტს საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროსთან დადებს, მაშინ კონტრაქტის ხანგრძლივობა 18 თვით განისაზღვრება.

წვევამდელს, რომელიც პოლიციაში 4 წელი უწყვეტად იმუშავებს, ჩაეთვლება სამხედრო სავალდებულო სამსახურის მოხდად.

სამხედრო სავალდებულო სამსახურის ორჯერ, ერთიდან ორ წლამდე გაზრდა, პრობლემა იქნება ახალგაზრდებისთვის, რადგან ეს შეცვლის მათ სწავლასა და სამუშაოსთან დაკავშირებულ გეგმებს.

„ვარდების რევოლუციით“ მოსულმა ხელისუფლებამ ერთხელ უკვე გაზარდა სამხედრო-სავალდებულო სამსახურის ხანგრძლივობა 1,5 წლამდე, მას შემდეგ ისევ ერთ წლამდე შეამცირა.

გაზრდისას ხელისუფლების წარმომადგენლები ამის გამართლებას იმით ცდილობდნენ, რომ თითქოს ქართული არმია თანამედროვე ტანკებით იარაღდება და ჯარისკაცებს მეტი დრო სჭირდებოდათ მოსამზადებლად. ეს არგუმენტი თავიდანვე უსუსური იყო, რადგან ტანკების ეკიპაჟები კონტრაქტით მომსახურებით კომპლექტდება და ტანკში სავალდებულო სამსახურის ჯარისკაცის ჩაშვება არც შეიძლება.

ჯერჯერობით არ მოიპოვება იმის დამადასტურებული დოკუმენტი, რომლის თანახმადაც დარწმუნებით შეიძლება ვთქვათ, რომ ჯარი ორწლიანი ხდება. თუმცა, გამგეობების სამხედრო განყოფილებებში ასეთი ხმა დადის. არც ისაა გამორიცხული, რომ ისედაც ოთხჯერ გაზრდილი გაწვევის შესავსებად ახალგაზრდებსა და მათ მშობლებს აშინებენ, თუ ვერ მოასწარით 2011 წლის ბოლომდე ერთწლიან ჯარში წასვლა, მომავალ წელს უკვე ორი წლით გაგიწვევთო.

ასეა თუ ისე, 2011 წლის საშემოდგომო გაწვევის დამთავრების შემდეგ ნამდვილად გამოჩნდება, მართლაც იზრდება თუ არა ჯარში სამსახური ორ წლამდე.





# რუსული სუპერრადარი ევროპაში „შესაჭვრეტად“

## ევროპული ანტისარაკეტო თავდაცვის სისტემის საპასუხოდ მოსკოვმა კალინინგრადის ოლქში ჰორიზონტსმიღმა მოქმედების მძლავრი რადიოლოკატორი აამოქმედა

დაძაბულობა რუსეთსა და დასავლეთს, კერძოდ, აშშ-ს შორის იზრდება, — მხარეები ვერ თანხმდებიან ევროპაში ანტისარაკეტო თავდაცვის სისტემის ამოქმედების დეტალებზე. მოსკოვი კვლავ კატეგორიულად ეწინააღმდეგება აღმოსავლეთ ევროპაში ამ ანტისარაკეტო თავდაცვის სისტემის კომპონენტების განთავსებას, რადგან თვლის, რომ ის რუსულ სტრატეგიულ შეიარაღებას ემუქრება. თავის მხრივ, ამერიკელები ირწმუნებიან, რომ ევროპაში ანტისარაკეტო თავდაცვის სისტემის ამუშავება მხოლოდ ირანის ბალისტიკური რაკეტების აღმოჩენასა და ჩამოგდებაზე იქნება გათვლილი და ის ვერაფრით დაემუქრება რუსეთის საკონტინენტთაშორისო ბალისტიკურ რაკეტებს.

მხარეებს შორის დაპირისპირებამ იმ დონეს მიაღწია, რომ აშშ-რუსეთს შორის დაწყებული პოლიტიკური „გადატვირთვის“ პროგრამა კრახის წინაშეა. პრეზიდენტი მედვედევი უკვე დაემუქრა NATO-ს, რომ კალინინგრადის ოლქსა და კრასნოდარის მხარეში „ისკანდერის“ ტიპის ოპერატიულ-ტაქტიკურ სარაკეტო კომპლექსებს განათავსებს (რომელთა მოქმედების რადიუსი 500 კმ-ია), შექმნის საჰაერო-კოსმოსური თავდაცვის ეროვნულ სისტემას და დაჩქარებულ რეჟიმში აამოქმედებს ჰორიზონტსმიღმა მოქმედების მძლავრ რადიოლოკატორს, რომელიც კალინინგრადის ოლქიდან ევროპის ცას გააკონტროლებს.

ბირთვულქობინიანი „ისკანდერების“ კალინინგრადის ოლქში შეყვანის მუქარა არახალია. 2007-08 წწ-ებში, როდესაც აშშ-ის ყოფილი პრეზიდენტი ჯორჯ ბუში-უმცროსი აღმოსავლეთ ევროპაში ანტისარაკეტო თავდაცვის სისტემის შექმნის უფრო გრანდიოზულ გეგმას ისახავდა, კრემლი მაშინაც „ისკანდერებით“ დაემუქრა ევროპას.

მაშინ „ისკანდერების“ „გემო“ ევროპის ნაცვლად საქართველომ „გასინჯა“ (ჩრდილო კავკასიიდან გამოშვებული ორი „ისკანდერისგან“ ერთი ვაზიანის რაიონში ჩამოვარდა, მეორე კი გორის თავზე აფეთქდა და მისმა კასეტურმა ნაწილებმა ხალხი იმსხვერპლა).

ბარაქ ობამამ მკვეთრად შეცვალა ევროპაში ანტისარაკეტო თავდაცვის სისტემის სტრუქტურა, რამაც მაშინ

კალინინგრადიდან ახალი რადარით მოსკოვს თითქმის მთელი ევროპის თავზე შეუძლია გააკონტროლოს საჰაერო სივრცე





გაბალის რადიოლოკატორს საჰაერო სივრცეში ბურთისხელა მეტალის ბირთვის აღმოჩენა აზერბაიჯანიდან ინდოეთის ოკეანემდე შეუძლია

**ჩვენი დოსიე:** საბჭოთა კავშირმა გასული საუკუნის 50-იანი წლებიდან დაიწყო ჰორიზონტსმიღმა მოქმედების რადიოლოკატორების შექმნაზე მუშაობა, რომელთა მოქმედების პრინციპი დაფუძნებული იყო რადიოსიგნალის დედამიწის იონისფეროდან არეკვლის მოვლენაზე.

60-80-იან წლებში მოსკოვმა ამ პრინციპით მოქმედი Днестр-ის Днепр-ისა და Дарьял-ის მძლავრი რადიოლოკატორები ყველა მიმართულებით დააყენა, მათ შორის — კოლის ნახევარკუნძულზე, ლატვიაში (სკრუნდე), ყაზახეთში (ბალხაშის ტბასთან), ირკუტსკთან, სევასტოპოლთან, მუკაჩოვოში (უკრაინა), პეჩორაში (კომის რესპუბლიკა) და გაბალაში (აზერბაიჯანი).

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ მოსკოვმა ზემოჩამოთვლილი რადიოლოკატორების ნაწილზე კონტროლი დაკარგა — ლატვიელებმა ამერიკელთა თხოვნით თუ ზეწოლით ააფეთქეს სკრუნდეს რადიოლოკატორი, ყაზახეთში დაიწვა, უკრაინელებმა მუკაჩოვოსა და სევასტოპოლში რუსი სპეციალისტები არ შეუშვეს. აზერბაიჯანმა გაბალის რადიოლოკატორი არენდით გადასცა მოსკოვს, თუმცა ის მცირე დატვირთვით მუშაობს და, ძირითადად, პასიური მიღების რეჟიმშია, მიუხედავად იმისა, რომ სამხრეთ კავკასიიდან ინდოეთის ოკეანემდე შეუძლია ჰაერში პატარა თვითმფრინავის აღმოჩენაც კი.

სხვათა შორის, უკრაინაში საბჭოთა პერიოდში მოქმედებდა ერთი ყველაზე გასაიდუმლოებული რადიოლოკატორი, რომელიც ასევე შედიოდა სარაკეტო სტარტების ადრეული აღმოჩენის სისტემაში, მაგრამ ზემოხსენებული რადარებისგან განსხვავებით სხვა ფიზიკური პრინციპით მუშაობდა.

ეს გასაიდუმლოებული რადიოლოკატორი ჩერნობილის ატომური ელექტროსადგურიდან ათიოდე კმ-ში მდებარეობდა და მას შორ მანძილზე რაკეტების სტარტმა სარაკეტო ძრავებიდან გამოსული მაღალტემპერატურული ალის მიხედვით უნდა დაეფიქსირებინა. მაშინ სპეციალისტების ნაწილი თვლიდა, რომ ეს ტექნიკურად თითქმის შეუძლებელი იყო, მიუხედავად ამისა, რადიოლოკატორის პერსონალი ზუსტად „აფიქსირებდა“ ამერიკული რაკეტების იმ სტარტებს, რომელთა შესახებაც ამერიკული მხარე შეთანხმებისამებრ წინასწარ აცნობებდა ხოლმე მოსკოვს. ერთხელაც, როდესაც წინასწარ დაგეგმილი ამერიკული რაკეტის სტარტი არ შედგა, მაგრამ ჩერნობილის რადიოლოკატორის პერსონალმა სტარტი მაინც „აღმოაჩინა“ (მათთვის დაავიწყდათ შეეტყობინებინათ, რომ ამერიკელებმა გადადეს სტარტი), ტყუილს ფარდა აეხადა.

როგორც ამბობენ, სწორედ ამ გასაიდუმლოებული რადიოლოკატორის გამო იყო, რომ 1986 წლის 26 აპრილს ჩერნობილის ატომურ ელექტროსადგურზე კატასტროფის შემდეგ, იმ რაიონში ლიკვიდატორებისა და უცხოელი ექსპერტების შეშვება არ უნდოდათ, რომ არავის ენახა საიდუმლო რადარი.

1982 წელს ბელორუსიის ქალაქ ბარანოვიჩთან დაიწყო ახალი რადიოლოკატორის აშენება, რომელსაც იმ პერიოდში დასავლეთ ევროპაში განთავსებული ამერიკული საშუალო სიშორის რაკეტების „პერშინგ-2“-ების სტარტი რაც შეიძლება სწრაფად უნდა დაეფიქსირებინათ, რადგან ამ რაკეტებს დასავლეთ გერმანიიდან მოსკოვამდე მისაფრენად სულ რაღაც 12 წთ სჭირდებოდათ.

ხელშეკრულების თანახმად, ევროპიდან „პერშინგების“ გაყვანის შემდეგ (ამის სანაცვლოდ მოსკოვმა აღმოსავლეთ ევროპიდან ალექსანდრე ნადირაძის სარაკეტო „პიონერები“ გამოიყვანა) ბარანოვიჩის რადიოლოკატორის მშენებლობა დაკონსერვდა.

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ მოსკოვმა და მინსკმა დადეს ხელშეკრულება ბარანოვიჩის რადიოლოკატორის დადგმის დამთავრებაზე. 2002 წელს რადარმა მუშაობა დაიწყო.

ამჟამად რუსეთის განკარგულებაშია სარაკეტო სტარტების ადრეული აღმოჩენის 5 რადიოლოკატორი და 2 სამეთაურო პუნქტი. მათ შორის ძველი „დნეპრი“ მურმანსკსა და ირკუტსკთან, „დარიალი“ — გაბალში (აზერბაიჯანი) და პეჩორაში (კომის რესპუბლიკა), „ვოლგა“ ბარანოვიჩში (ბელორუსია), აგრეთვე ახალი „ვორონეჟის“ ტიპის — არმავირთან (ჩრდილო კავკასია), ლეხტუსში (სანქტ-პეტერბურგთან) და კალინინგრადის ოლქში.



ხანძარი ყაზახეთში განთავსებულ რადარზე

გარდა ამისა, რუსეთის განკარგულებაშია რაკეტების სტარტის ადრეული აღმოჩენის სისტემის პირველი, კოსმოსური ეშელონიც, რომელშიც შედის 5 დედამიწის ხელოვნური თანამგზავრი, მათგან 2 გეოსტაციონარულ, ხოლო 3 კი მაღალ ელიპტიკურ ორბიტაზე, რომლებიც მუდმივად უთვალთვალებენ აშშ-ის სახმელეთო-სარაკეტო ბაზებს.

კრემლს გამარჯვების მაცდური გრძნობა გაუჩინა. მოსკოვში იმედოვნებდნენ, რომ ამერიკელებმა და მთლიანად ჩრდილოატლანტიკურმა ალიანსმა საბოლოოდ ხელი აიღეს ამ მიზნებზე, მაგრამ შეცდნენ.

ევროპაში ანტისარაკეტო თავდაცვის სისტემის ახალი პროგრამა ითვალისწინებს არა პერსპექტიული სარაკეტო და რადიოლოკაციური კომპლექსების (როგორც პრეზიდენტ ბუშის დროს იყო დაგეგმილი), არამედ უკვე გამოცდილი სისტემების დამონტაჟებას. თურქეთში მობილური AN/TPY-2 THAAD ტიპის სამკოორდინატიანი ფაზირებულანტენიანი რადიოლოკატორის, ხოლო რუმინეთში SM-3 Standard-ის ტიპის ანტირაკეტების სახმელეთო ბატარეების განთავსება, ხოლო შავ ზღვაში Aegis-ის სისტემით აღჭურვილი ამერიკული კრეისერების გამოჩენა კრემლს ძალზე აშფოთებს და ცდილობს საპასუხო ზომები მიიღოს.

საჰაერო-კოსმოსური თავდაცვის ეროვნული სისტემის შექმნა მოსკოვს დიდი ხანია დაგეგმილი აქვს და ამაშიც (ისევე როგორც „ისკანდერების“ შემთხვევაში) ახალი არაფერია. ეს სისტემა, ფაქტობრივად, იქმნება რუსეთის, უკვე არსებული საჰაერო-კოსმოსური დაზვერვის, სარაკეტო-კოსმოსური და საჰაერო თავდაცვის და მათი საბრძოლო მართვის სისტემების გაერთიანებით. ამით კრემლი ერთგვარად აშშ-ს ჰბაძავს, სადაც ჯერ კიდევ 1958 წლიდან მოქმედებს ამერიკულ-კანადური „ჩრდილო ამერიკის საჰაერო-კოსმოსური თავდაცვის სარდლობა“ — NORAD-ის სისტემა.

რუსული საჰაერო-კოსმოსური თავდაცვის სისტემაში წლის ბოლომდე ახალი მძლავრი რადიოლოკატორის ჩართვით პრეზიდენტი მედვედევი NATO-ს ემუქრება, რომ მთლიანად გააკონტროლებს საჰაერო სივრცეს ევროპის თავზე, იმ ადგილების ჩათვლით, სადაც დასავლეთი ანტისარაკეტო თავდაცვის სისტემის კომპონენტების განთავსებას აპირებს აღმოსავლეთ ევროპაში.

რა საფუძველი აქვს კრემლის მუქარას და მართლაც რისი გაკონტროლება შეუძლია კალინინგრადიდან რუსეთის რადიოლოკატორს?

ჰორიზონტსმიღმა მოქმედების ფაზირებულანტენიანი რადიოლოკატორი Воронеж-ДМ-ი კალინინგრადის ოლქის პიონერსკოეს დასახლებაში აშენდა. იგი, ფაქტობრივად, არის სარაკეტო სტარტების ადრეული აღმოჩენის სისტემის (თვითონ ამ სისტემის შექმნის




ლეხტუსში, ბარანოვიჩში, არმავირსა და გაბალში განთავსებული რუსული რადიოლოკატორების მოქმედების სექტორები

ისტორია იხილეთ „ჩვენს დოსიეში“) ერთ-ერთი ახალი კომპონენტი. რადიოლოკატორი დეციმეტრულ დიაპაზონში მუშაობს და თითქმის 6 ათასი კმ სიშორეზე შეუძლია ბურთისხელა მეტალის საგნის აღმოჩენა საჰაერო სივრცეში.

კალინინგრადში დაყენებულ ამ რუსულ რადიოლოკატორს შეუძლია გააკონტროლოს საჰაერო სივრცის სექტორი ჩრდილო აფრიკიდან (ალჟირისა და მაროკოს ჩათვლით) გრენლანდიამდე. ამ სექტორში ხვდება ევროპა იტალიის სამხრეთი ნაწილისა და საბერძნეთის გარდა.

ფაქტობრივად, კალინინგრადში დაყენებული რუსული რადიოლოკატორი იმავე ფუნქციებს ასრულებს, რასაც თურქეთში დასაყენებელი ამერიკული, ანუ ემსახურება რაკეტების სტარტის ადრეულ აღმოჩენას და მათი მოქმედება არ არის შეზღუდული საერთაშორისო კონვენციით, რადგან თავდაცვითი ტიპის შეიარაღების სისტემის ერთ-ერთი კომპონენტია.

მოსკოვს სურს აღადგინოს საბჭოთა პერიოდის დროინდელი ვითარება, როდესაც მთელი საბჭოთა კავშირის პერიმეტრზე მოქმედი სარაკეტო სტარტების ადრეული აღმოჩენის რვა ჰორიზონტსმიღმა მოქმედების მძლავრი რადიოლოკატორი დედამიწის ჩრდილო ნახევარსფეროს თითქმის ნახევარს აკონტროლებდა.

**ირაკლი ალადაშვილი**

დეციმეტრულ დიაპაზონში მოქმედი Воронеж-ДМ ტიპის თანამედროვე რუსული რადიოლოკაციური სადგური



# კავკასიური სატანკო ბალანსი



ქართული ტანკების კოლონა

მოუგვარებელი კონფლიქტები კავკასიის ქვეყნებს აიძულებს სახელმწიფო ბიუჯეტის დიდი ნაწილი თავდაცვისთვის გამოყონ და ეს კიდევ კარგა ხანს გაგრძელდება.

სამხედრო ხარჯებით კავკასიაში ლიდერობს აზერბაიჯანი, რომელსაც ენერგორესურსების ექსპორტით მიღებული უზარმაზარი შემოსავალი ამის საშუალებას აძლევს.

2012 წლის სახელმწიფო ბიუჯეტში თავდაცვისთვის 1 მლრდ 381 მლნ 147 მანათი, ანუ 1 მლრდ 779 მლნ დოლარია გამოყოფილი, მაგრამ შემოსავლების ზრდასთან ერთად შეიძლება სამხედრო ხარჯები უფრო გაიზარდოს, რაც ბაქომ მიმდინარე წელს უკვე გააკეთა.

ყარაბაღის კონფლიქტის გამო აზერბაიჯანი ახალი შეიარაღების შეძენასა და ძველის მოდერნიზაციაზე დიდ ფულს ხარჯავს. ექსპერტთა გამოთვლით ეს მაჩვენებელი ყოველწლიურად დაახლოებით 300-400 მლნ დოლარია.

სამხედრო შესყიდვებში ჯავშანტექნიკასა და მათ შორის ტანკებს დიდი ადგილი უკავია.

The Military Balance-ს მონაცემებით, 2010 წელს აზერბაიჯანს 220 ტანკ T-72-სა და 100 T-55-ს ჰყავდა.

1991-92 წლებში აზერბაიჯანმა რესპუბლიკის ტერიტორიაზე დისლოცირებული საბჭოთა მე-4 არმიის დაახლოებით 330 ტანკი დაიტოვა, მაგრამ სომხეთთან ომში 200-230 ტანკი დაკარგა.

დანაკარგის შევსება 2005 წლიდან დაიწყო და ტანკების მთავარ მიმწოდებელთა შორის წამყვანი ადგილები სომხეთის სტრატეგიულმა მოკავშირემ რუსეთმა და კოლექტიური უსაფრთხოების ხელშეკრულების ორგანიზაციის წევრმა ბელორუსიამ დაიკავეს.

2005-10 წლებში ნაყიდი 164 T-72 და T-72M1 ტიპის ტანკებისგან რუსეთიდან — 62, ბელორუსიიდან — 60 და დანარჩენი კი უკრაინიდან არის შემოტანილი.

გამოდის, სომხეთის მოკავშირეებს მისი მოწინააღმდეგე აზერბაიჯანის შეტევითი საბრძოლო საშუალებებით აღჭურვა უფრო აინტერესებთ, ვიდრე ერევნისთვის სოლიდარობის გამოცხადება და ბაქოსთვის იარაღის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესება.

უცხოური კომპანიების დახმარებით აზერბაიჯანი მოძველებული ტანკების მოდერნიზაციასაც შეუდგა.

T-72-ების მოდერნიზაციის ტენდერი ისრაელის Elbit Systems-მა მოიგო. შეიცვლება ცეცხლის მართვის სისტემა და გაუმჯობესდება დაჯავშნა.

დაგეგმილია მოძველებული და შეიარაღებიდან მოხსნილი T-54/T-55-ების მუხლუხა გამწევებად, მსუბუქი შეიარაღებით აღჭურვილ საბრძოლო მანქანებად, გამნაღმავ ტრალებად, მექანიზებულ ხიდგამდებებად და სხვა სახის დამხმარე საშუალებად გადაკეთება. ამ პროექტში მონაწილეობენ თურქეთისა და ისრაელის კომპანიები.

ვრცელდება ინფორმაცია, რომ ბაქო უკრაინული T-84 Оплот-ებითაც დაინტერესდა და მოლაპარაკება დაიწყო ხარკოვის ქარხანასთან.

2012 წლის თავდაცვის ბიუჯეტი სომხეთმაც გაზარდა, რამაც 154 მლრდ 600 მლნ დრამი, ანუ დაახლოებით 407 მლნ 904 ათასი დოლარი შეადგინა.

„მილიტარი ბალანსი" რამდენიმე წელია სომხეთის არმიის სატანკო პარკის შემადგენლობაზე ერთსა და იმავე ინფორმაციას იძლევა, — 102 T-72 და 8 T-54.

სომხეთი ტანკებს არ ყიდულობს. ყოველ შემთხვევაში, ჩვეულებრივ შეიარაღებაზე გაეროს ბოლო წლების რეესტრებში ამაზე არაფერია ნათქვამი.

არის კიდევ ერთი პრობლემა, რომელიც სომხური ტანკების შეკეთება-მოდერნიზაციას შეეხება. ერევანი რუსეთის დახმარებით სარემონტო საწარმოთა ამოქმედებას ცდილობს.

საქართველოს 2012 წლის სახელმწიფო ბიუჯეტით თავდაცვაზე 647 მლნ 393 ათასი ლარი, ანუ დაახლოებით 390 მლნ დოლარია გამოყოფილი.

1991-92 წლებში საქართველომ რუსების ახალციხის მე-10 მოტომსროლელი დივიზიიდან ავღანეთში ნაბრძოლი და გარემონტებული 165 T-55AM-ის ტიპის ტანკი მიიღო.

ისედაც მოძველებული სატანკო



სოხუმში ერთ-ერთ აღლუმზე ჩამოტარებულ ამ ტანკს 1992-93 წლების ომში მონაწილეობის არაფერი სცხია

პარკი აფხაზეთის ომმა შეამცირა და 90-იანი წლების მიწურულს ტანკები ჩეხეთში იყიდა.

ტანკების დიდი პარტია — 91 T-72 საქართველოში რუსეთთან ომის წინ უკრაინიდან შემოვიდა და ერთ ნაწილს თბილისის ტანკსარემონტო ქარხანაში მოდერნიზაცია ჩაუტარდა.

Simi-ის პროგრამით საცეცხლე შესაძლებლობებისა და ჯავშანდაცვის ხარისხის გასაუმჯობესებლად ტანკების აღჭურვაში შევიდა: ცეცხლის მართვის ავტომატური სისტემა, დამიზნება-დათვალიერების ელექტროოპტიკური აპარატურა, თბოვიზორი, გლობალური სანავიგაციო GPS-ის სისტემა, თანამედროვე რადიოსადგური, ბორტკომპიუტერი და სხვ. მოდერნიზებულ ტანკს მოქმედება ღამითაც შეუძლია.

რუსეთთან ომის წინ ქართულ არმიას 200-ზე მეტი ტანკი ჰყავდა და პარკის დიდ ნაწილს T-72-ები, დანარჩენს კი მოძველებული T-55-ები შეადგენდა.

ომმა ჩვენს ჯავშანსატანკო ქვედანაყოფებს დიდი დანაკარგი მიაყენა, — მტერმა მარტო ოთხ ათეულზე მეტი ტანკი ჩაიგდო ხელთ.

იმავე „მილითარი ბალანსის“ მონაცემებით საქართველოს 41 T-72 და 2 T-55 ჰყავს, ხოლო 23 ტანკი კი რეზერვშია.

სატანკო ბალანსში გამოსაყოფია კონფლიქტური რეგიონები — აფხაზეთი, ცხინვალის რეგიონი და ყარაბაღი, სადაც სეპარატისტულმა რეჟიმებმა შეიარაღებულ ფორმირებებში სხვადასხვა გზით მოპოვებული ტექნიკით ჯავშანსატანკო ქვედანაყოფები ჩამოაყალიბეს.

სამივე რეგიონიდან ყველაზე ბევრი ტანკი თვითაღიარებულ ყარაბაღს ჰყავს. სპეციალისტთა შეფასებით, ყარაბაღელთა განკარგულებაში დაახლოებით 250 T-72-ია.

1991-92 წლებში, როცა საქართველოში დისლოცირებული ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის ბათუმის 145-ე და ახალქალაქის 147-ე მოტომსროლელი დივიზიების დაშლა-შემცირება დაიწყო, ამ დივიზიათა სატანკო პარკის დიდი ნაწილი სომხეთსა და ყარაბაღში გავიდა. ბევრი ტანკი ყარაბაღელებმა აზერბაიჯანის არმიას წაართვეს.

ცხინვალის რეგიონის სამხედრო ფორმირებათა განკარგულებაში 2008 წლის ომამდე მუდმივად იყო T-54-ისა და T-55-ის ტიპის ტანკები, რომლებიც 90-იანი წლების დამდეგს რუსეთის არმიის მე-19 მოტომსროლელი დივიზიიდან ოსებმა როკის გვირაბის გავლით შემოიყვანეს.

რუსმა ოკუპანტებმა ცხინვალის რეჟიმი ჯერ კიდევ 2008 წლის ომამდე T-72-ებით აღჭურვეს



ქართული ბიბლიოთეკა



ოკუპირებული ცხინვალის რეგიონიდან ეს რუსული ტანკი საქართველოზეა მომართული

როგორც გაირკვა, ოსურ ფორმირებებს 2008 წლის ომის წინ T-72-ისა და T-55-ის ტიპის 15 ტანკი ჰყოლიათ ე.წ. რუსული სამშვიდობო ძალების ხელშეწყობით.

აგვისტოს ომის შემდგომ რუსებმა ოსურ ფორმირებებს სამი ნაალაფარი T-72 დაუტოვეს, რომლებსაც აღლუმებზე სამხედრო „ძლიერების“ სადემონსტრაციოდ ჩამოატარებენ ხოლმე.

აფხაზეთში 1992-93 წლების ომის შემდგომ სამხედრო ფორმირებებს ქართული ქვედანაყოფების მიერ მიტოვებულ-დაზიანებული ორ ათეულამდე T-55AM დარჩათ. ამ ტანკებს ჯერ კიდევ ომის დროს მინიმალური რესურსი ჰქონდათ დარჩენილი და ახალგამომცხვარმა ტანკისტებმა ბევრი მათგანი ჯართად აქციეს.

სოხუმში გამართული აღლუმების ამსახველ ფოტოსურათებზე ტანკები ახალი ჩანს, სავარაუდოდ, რუსეთმა ჯერ კიდევ 2008 წლამდე მიაწოდა აფხაზებს რამდენიმე T-55.

კავკასიაში რუსული სატანკო შეიარაღება „მოკრძალებულია“. ძველი და ახალი საოკუპაციო ბაზების შემადგენლობაში სატანკო ქვედანაყოფები აუცილებლად გათვალისწინებულია.

სომხეთში რუსული გიუმრის 102-ე ბაზის სატანკო ბატალიონის განკარგულებაშია 74 T-72, თუმცა, შესაძლებელია, ეს სომხეთში არსებული რუსული სატანკო შეიარაღების მხოლოდ ნაწილია.

ტანკების გარემონტება რუსებისთვისაც პრობლემაა, ალბათ, ამიტომ გადაწყვიტეს 2012 წლის იანვარში გიუმრის ბაზის ტერიტორიაზე ქალაქ არმავირში (რუსეთი) მდებარე 81-ე ჯავშანსატანკო სარემონტო ქარხნის ფილიალის გახსნა. ფილიალში ძრავებს დიაგნოსტიკასა და რემონტს ჩაუტარებენ და ელექტრომოწყობილობებს შეაკეთებენ, ხოლო რთული სარემონტო სამუშაოების შესასრულებლად სპეციალისტებს რუსეთიდან ჩამოიყვანენ.

2008 წლის აგვისტოს ომის შემდგომ რუსეთმა ოკუპირებულ რეგიონებში სამხედრო ბაზები შექმნა.

ცხინვალის რეგიონში განთავსებული რუსული მე-4 ბაზის შემადგენლობაში შემავალი სატანკო ბატალიონი 41 T-72-ით არის აღჭურვილი.

რუსებისთვის ბევრად უფრო მნიშვნელოვანია აფხაზეთი, სადაც მე-7 ბაზაში შემავალი სატანკო ბატალიონი 41 T-90-ს ითვლის.

ცოტა ხნის წინ ინტერნეტით გავრცელდა კადრები — სარკინიგზო პლატფორმებს გუდაუთისკენ T-90-ები მიჰყავდათ. სავარაუდოდ, საოკუპაციო ჯარების ტანკისტებმა რუსეთში ივარჯიშეს და უკან ბრუნდებოდნენ.

ისეთ რთულ რეგიონში, როგორიცაა კავკასია, დაახლოებით 1000 ტანკია თავმოყრილი. ეს ტანკების ის რაოდენობაა, რომელიც ამიერკავკასიის სამხედრო ოლქს ჰყავდა და რომლის გამოყენებითაც ომის შემთხვევაში თურქეთის მოსაზღვრე რაიონების დაკავებას აპირებდა.

**თემურ ჩაჩანიძე**



ოკუპირებული აფხაზეთი და გუდაუთის ბაზაზე რუსული T-92-ბის კოლონა

# ირანმა ზესაიდუმლო ამერიკული უპილოტო ჩამოაგდო?



## თეირანის მტკიცებით, ჩამოგდებულია უახლესი, გასაიდუმლოებული ამერიკული სადაზვერვო უპილოტო თვითმფრინავი RQ-170 Sentinel-ი.

პენტაგონი რომ შეიარაღებულ კონფლიქტებში, მათ შორის — ერაყსა და ავღანეთში, უახლესი ტექნოლოგიით დამზადებული სხვადასხვა დანიშნულების საიარაღო სისტემებს ცდის, უდავოა. თუკი ირანის ხელისუფლების მიერ 4 დეკემბერს გავრცელებული ინფორმაცია სიმართლეს შეესაბამება, გამოდის, აშშ-ის კიდევ ერთი ზესაიდუმლო გამჟღავნდა.

საუბარია RQ-170-ის ტიპის „უხილავ“ უპილოტო სადაზვერვო საფრენ აპარატზე, რომელიც ბოლო მომენტამდე აშშ-ის ერთ-ერთ ყველაზე დიდ საიდუმლოდ რჩებოდა.

თეირანის მტკიცებით, მისმა რადიოელექტრონული ბრძოლის დანაყოფმა მწყობრიდან გამოიყვანა ავღანეთიდან ირანის საჰაერო სივრცეში შეჭრილი უპილოტო სადაზვერვო თვითმფრინავი, რომელიც ირანის აღმოსავლეთ ნაწილში ჩამოვარდა. მიწაზე დანარცხების მიუხედავად, აპარატი მცირედ დაზიანდა, რამაც ირანელ სპეციალისტებს საშუალება მისცა მასში უახლესი ზესაიდუმლო ამერიკული უპილოტო სადაზვერვო თვითმფრინავი RQ-170 Sentinel-ი ამოეცნოთ.

დღეს მსოფლიოში უკვე იმდენი სახის უპილოტო სადაზვერვო თვითმფრინავი თუ შვეულმფრენი დაფრინავს, რომ ველარავის გააოცებ. თუმცა მათ შორის ამერიკული Sentinel-ი ნამდვილად გამორჩეულია, რადგან „უხილავი“ სტრატეგიული ბომბდამშენ B-2-ის მინიატიურული ასლია. „სენტინელზე“ ინფორმაცია დღემდე გასაიდუმლოებულია, მაგრამ მისი კონფიგურაცია იმაზე მიუთითებს, რომ „სტელსის“ ტექნოლოგიითაა აწყობილი და სავარაუდოდ საშუალო სიმაღლეებზე საფრენად არის განკუთვნილი. ეს ბოლო მოსაზრება იმან დაბადა, რომ უპილოტო ერთ, ღია ნაცრისფრად არის შეღებილი. სტრატოსფეროში მფრენ უპილოტოებს, როგორც წესი, შავად ღებავენ, ხოლო ძალიან დაბალ სიმაღლეებზე მფრენებს კამუფლირებულად (ზემოდან), რადგან გამანადგურებელი თვითმფრინავიდან პილოტმა ის მიწის ფონზე ვერ აღმოაჩინოს.

„მფრინავი ფრთის“ სქემის მქონე „სენტინელის“ ფრთაგაშლილობა 20 მ-მდეა და მას ერთი ტურბორეაქტიული ძრავა აქვს. კონსტრუქციის შუაში ერთგვარი „წამონაზარდი“ სავარაუდოდ ფაზირებულანტენიანი რადარის განსათავსებლად გამოიყენება. ჯერჯერობით უცნობია, „სენტინელი“ მარტო სადაზვერვო ინფორმაციის მოსაპოვებლად გამოიყენება, თუ მის ფიუზელაჟში დატანებული სპეციალურ ნაკვეთურში მართვადი რაკეტებისა და ბომბების განსათავსებლად.

ამ კითხვას პასუხს ირანელი სპეციალისტები მალე გასცემენ, თუკი მართლაც ჩამოაგდეს ამერიკული ზესაიდუმლო „ენტინელი“.

5 დეკემბერს, ISAF-ის წარმომადგენლებმა აღიარეს, რომ ერთი კვირის წინ მართლაც დაკარგეს კავშირი უპილოტო საფრენ აპარატთან და ახლა ეძებენ. თუმცა არ თვლიან, რომ ის ირანის ტერიტორიაზე ჩამოვარდა.

შეიძლება ჯერჯერობით პენტაგონი არ აღიარებს ზესაიდუმლო „სენტინელის“ დაკარგვას, მაგრამ 2009 წელს ავღანეთში ყანდაარის სამხედრო აეროდრომზე დაფიქსირებული უცნაური ფორმის საფრენი აპარატი მართლაც RQ-170 Sentinel-ი იყო. მაშინ გაირკვა, რომ ეს ზესაიდუმლო უპილოტო ავღანეთში 2007 წლიდან დაფრინავდა, რამაც საავიაციო სპეციალისტები გააოცა, — რას უნდა აკეთებდეს „სტელსის“ ტექნოლოგიით დამზადებული ზესაიდუმლო უპილოტო ავღანეთის ცაში, როდესაც თალიბებს ერთი რადიოლოკატორიც არა აქვთ?

სწორედ მაშინ დაიბადა აზრი, რომ ყანდაარიდან აფრენილი „სენტინელი“, რომელსაც არაოფიციალურად „ყანდარის მხეციც“ უწოდეს, სინამდვილეში მეზობელი ქვეყნების — პაკისტანის, ინდოეთისა და ირანის ტერიტორიებს უფრო ზვერავს, ვიდრე ავღანეთისას.

ერთ-ერთი მოსაზრების თანახმად, სწორედ ყანდაარიდან აფრენილი ზესაიდუმლო და „უხილავი“ „სენტინელი“ „შეუძლვა“ ამერიკელ საზღვაო ქვეითების სპეცრაზმის შვეულმფრენებს პაკისტანის ქალაქ აბოთაბადთან, სადაც მსოფლიოს №1 ტერორისტის უსამა ბინ ლადენი მოკლეს. 2011 წლის დასაწყისში ირანის „ისლამური რევოლუციის მცველების კორპუსის“ ავიაკოსმოსური ძალების სარდალმა განცხადა, რომ სპარსეთის ყურეში ორი უპილოტო საფრენი აპარატი ჩამოაგდეს და ისინი ყურეში მოდრეიფე აშშ-ის სამხედრო-საზღვაო ძალების მე-5 ფლოტს ეკუთვნოდა. მართალია, მაშინ ირანულ მხარეს ჩამოგდებული უპილოტოების არც ფრაგმენტები უჩვენებია და არც მათი ტიპი დაუსახელებია, მაგრამ რამდენიმე თვის შემდეგ გავრცელდა ინფორმაცია, რომ თითქოს ეს ამერიკული უპილოტოების დეტალები ირანელებმა შესასწავლად რუს სპეციალისტებს გადასცეს.

თუკი ამერიკული ზესაიდუმლო „სენტინელი“ მართლაც აღმოჩნდა ირანელთა ხელში, მაშინ ძალზე დიდი ალბათობაა, რომ მას რუსეთის სამხედრო დაზვერვაც გაეცნობა.

**ირაკლი ალადაშვილი**

# კავკასიური მოვლენების მიმოხილვა



აზერბაიჯანის არმიაში არასაბრძოლო დანაკარგებმა გასულ წლებთან შედარებით მოიმატა

## აზერბაიჯანი

● აზერბაიჯანული საინფორმაციო საშუალებებით ვრცელდება ინფორმაცია, რომ ყარაბაღში წინა ხაზზე სომხეთმა კონტრაქტით მომსახურეები და სნაიპერები განალაგა, ხოლო ზურგში საპოლიციო პოსტები მოაწყო. ამ გზით ერევანი აპირებს ჯარისკაცებში პანიკის შეჩერებას. ნოემბრის ბოლო დეკადაში სომხეთმა 8 სამხედრო მოსამსახურე დაკარგა, ხოლო მიმდინარე წლის დასაწყისიდან ამ მაჩვენებელმა 100 კაცს მიაღწია.

● ტერტერის რაიონის სასამართლომ ერთ-ერთი სამხედრო ნაწილის ასეულის მეთაურ რამილ ეივაზოვს 8 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა ქრთამის არაერთგზის აღებისთვის, ქრთამის მისაღებად დაშინების გამოყენებისთვისა და სამხედრო სამსახურის დროს ხელქვეითთა შეურაცხყოფისთვის.

● 26 ნოემბერს ფრონტის ტერტერის მონაკვეთზე ცეცხლის შეწყვეტის რეჟიმის დარღვევის დროს დაიღუპა აზერბაიჯანის არმიის 19 წლის ჯარისკაცი.

● სამხედრო ჟურნალისტიკის კვლევის ცენტრ „დოქტრინის“ მონაცემებით 28 ნოემბრის მდგომარეობით აზერბაიჯანის შეიარაღებული ძალების დანაკარგმა შეადგინა: თავდაცვის სამინისტრო — 83, სასაზღვრო სამსახური — 4, შინაგანი ჯარები — 2 და სახელმწიფო დაცვის განსაკუთრებული რაზმი — 1 კაცი.

● არასამთავრობო ორგანიზაციათა კოალიციის მონაცემებით, მიმდინარე წელს არმიაში არასაბრძოლო მიზეზით 76 კაცი დაიღუპა და 91 დაშავდა. გასულ წელს ეს მაჩვენებელი შესაბამისად 62 და 71 იყო. 2007-10 წლებში არასწესდებო ურთიერთობათა გამო 68 სამხედრო დაიღუპა, ხოლო 35-მა კი სიცოცხლე თვითმკვლელობით დაასრულა. 2003-06 წლებში ეს მაჩვენებელი იყო 33 და 23. თადარიგის ოფიცერთა საზოგადოების გაერთიანების ხელმძღვანელის იაშარ ჯაფარლის მონაცემებით, 1994 წლიდან სომხეთთან ცეცხლის შეწყვეტის რეჟიმის ამოქმედების შემდეგ აზერბაიჯანის არმიამ 3500 სამხედრო მოსამსახურე დაკარგა, საიდანაც მხოლოდ 15-20% მოდის საბრძოლო დანაკარგზე.

## სომხეთი

● 20 ნოემბერს ლუსაკერტის სამხედრო ნაწილში უმცროსი ძმის სანახავად მისული უფროსი ძმის, მისი მეგობრებისა და ჯარისკაცების კამათს ჩხუბი მოჰყვა, რომლის დროსაც 3 ჯარისკაცი დაშავდა. სამოქალაქო პირები ავტომობილებით მიმალვას შეეცადნენ და ამ დროს 2 ჯარისკაცს დაეჯახნენ. დამნაშავეები დააკავეს.

● სომხეთის საინფორმაციო საშუალებების მონაცემებით, 19-20 ნოემბერს სნაიპერული ცეცხლით მოკლული 2 ჯარისკაცის გამო ყარაბაღის არმია „შურისძიების აქციებზე“ გადავიდა და პრევენციული ღონისძიებები გაატარა. სომხეთის დაზვერვაზე დაყრდნობით ვრცელდება ინფორმაცია, რომ 20-25 ნოემბერს ყარაბაღის არმიის ქვედანაყოფებმა 7 აზერბაიჯანელი ჯარისკაცი მოკლეს და დაჭრეს.

● 29 ნოემბერს თავდაცვის მინისტრის მოადგილე დავით ტონოიანი შეხვდა სომხეთში რუსეთის სამხედრო და სამხედრო-საჰაერო ატაშეს, პოლკოვნიკ ევგენი ვასილევს. შეხვედრაზე განიხილეს სამხედრო განათლებისა და რუსეთის თავდაცვის სამინისტროს უმაღლეს სამხედრო სასწავლებლებში კადრების მომზადების საკითხები.



რუსეთი სომხეთისთვის სტრატეგიული პარტნიორია, რაც განსაკუთრებით სამხედრო თანამშრომლობაში შეიმჩნევა







ახალი სასაზღვრო ხომალდი „რუბინი“ მალე სამსახურს შავ ზღვაში შეუდგება

## ჩრდილო კავკასია

● ნოემბრის ბოლო დღეებში 58-ე არმიას თავდაცვის სამინისტროს სასწავლო ცენტრებში მომზადებული 500-ზე მეტი კონტრაქტით მომსახურე შეემატა.

● გრძელდება ჩეჩნეთში დისლოცირებული მოტომსროლელი ბრიგადების გადაიარაღება. ამჯერად ბრიგადებს მოძველებული 2С3 Акация შესაცვლელად 26 ახალი თვითმავალი ჰაუბიცა 2С19М1 Мста-С გადაეცათ.

● განვლილ პერიოდში ჩეჩნეთში შეიარაღებული წინააღმდეგობის გაწევისთვის 131 ბოევიკია განადგურებული. დაკავებულია უკანონო შეიარაღებულ ფორმირებათა 62 წევრი და მათი 82 ხელშემწყობი. ამოღებულია ცეცხლსასროლი იარაღის 533 ერთეული.

● წლის დასაწყისიდან ჩრდილო კავკასიის ფედერალურ ოლქში ლიკვიდირებულია 301 ბოევიკი, ხოლო 364 ბოევიკი და მათი ხელშემწყობი პირი დაკავებული არიან.

● სამხრეთის სამხედრო ოლქში მფრინავთა მომზადების ინტენსივობა გაიზარდა. ახალგაზრდა მფრინავების საფრენოსნო საათებმა 140 სთ-ს მიაღწია, ხოლო გამოცდილების მქონეთამ კი 90 სთ.-ს ეს მაჩვენებელი 2010 წელთან შედარებით ორჯერ გაიზარდა. შესრულდა 4 ათასი ბომბის ჩამოგდება და 5 ათასი რაკეტის გაშვება. კვალიფიკაცია აიმაღლა 230-მა მფრინავმა, შტურმანმა და საბორტო სპეციალისტმა.

● 25 ნოემბერს სანქტ-პეტერბურგში გემთსაშენმა ფირმა „ალმაზმა“ წყალში ჩაუშვა სასაზღვრო სადარაჯო ხომალდი „ბრილიანტი“ (პროექტი 22460), რომელიც სამსახურს შავ ზღვაში გაივლის. ამ სერიის პირველი ხომალდი „რუბინი“ მწყობრში 2010 წლის ივნისში ჩადგა და შავ ზღვაშია. ასევე შავ ზღვაში იმსახურებს ჯერ კიდევ ასაწყობი „ჟემჩუგი“.

## კონფლიქტური რეგიონები

### ოკუპირებული აფხაზეთი

● საოკუპაციო ჯარებმა კოდორი-ჭუბერის 45 კმ-იან გზაზე მიმოსვლა აღადგინეს და უღელტეხილზე პოსტიც მოაწყვეს. პოსტები ასევე გახსნილია სოფლებში: საკენში, გენწვიშში, ომარიშარასა და ქვაბჩარაში, ხოლო გენწვიშში სამხედრო დასახლება აიგო. ამჟამად კოდორის ხეობაში 70 ქართული ოჯახი ცხოვრობს.

● გალის რ[illegible] აფხაზურ არმიაში ძალით გაწვეული ქართველი ახალგაზრდები აფხაზი და რუსი ოფიცრების მხრიდან ფიზიკური და მორალური ზეწოლის ქვეშ იმყოფებიან. მათ მონებივით ექცევიან და ციტრუსებისა თუ თხილის საკუთარ პლანტაციებში უფასოდ ამუშავებენ. ერთ-ერთი ქართველი ჯარისკაცი ცოტა ხნის წინ აფხაზი ოფიცრის, გურამ გუმბას ბაღში გარდაცვლილი იპოვეს.

### თვითალიარებული ყარაბაღი

● 30 ნოემბერს თვითაღიარებული რესპუბლიკის თავდაცვის მინისტრმა მოვსეს აკოფიანმა ცალკეული მოტომსროლელი პოლკის მე-20 წლისთავისადმი მიძღვნილ ღონისძიებაზე ჟურნალისტებს განუცხადა, რომ ფრონტის წინა ხაზზე მყოფი აზერბაიჯანელი სნაიპერები ყარაბაღის არმიას პრობლემებს არ უქმნიან და ყოველი მოკლული ჯარისკაცისთვის საკადრის პასუხს მიიღებენ.

● თვითაღიარებული რესპუბლიკის არმიის ინფორმაციისა და აგიტაციის განყოფილებამ გაავრცელა ინფორმაცია, რომ ყარაბაღის საჰაერო თავდაცვამ განვლილ დღეებში კვლავ დააფიქსირა აზერბაიჯანული უპილოტო საფრენი აპარატების გამოჩენა ფრონტის ხაზის ახლოს.

**თეიმურ ჩაჩანიძე**

კოდორის ხეობას რუსი სამხედროები პოსტებით ამაგრებენ



ეროვნული ბიბლიოთეკა



# დააშინებს თუ არა სომხებს აზერბაიჯანელების გამანადგურებელი „ქუხილი“?

## თბილისში აწყობილ სომხურ მოიერიშეებს აზერბაიჯანი პაკისტანში ნაყიდი ჩინური გამანადგურებლებით შეიძლება დაემუქროს

ყოველწლიურად მორიგ საერთაშორისო საავიაციო გამოფენაზე, იქნება ეს ბრიტანულ ფარნბოროში თუ ფრანგულ ლე-ბურჟეში, ვრცელდება ინფორმაცია, თითქოს ჩვენი მეზობელი აზერბაიჯანი ჩინურ-პაკისტანური წარმოების გამანადგურებელი თვითმფრინავების ყიდვას აპირებს. ასე გრძელდება ბოლო სამი-ოთხი წელი. გამონაკლისი არც წლეულს ყოფილა და დუბაიში ჩატარებული Dubai Airshow-2011-ის შემდეგ მორიგი „სენსაციური“. ინფორმაცია გავრცელდა იმის შესახებ, თითქოს აზერბაიჯანისა და პაკისტანის წარმომადგენლებმა წინასწარ შეთანხმებას მიაღწიეს აზერბაიჯანის სამხედრო-საჰაერო ძალებისთვის 24 ერთეულამდე პაკისტანური JF-17 Thunder-ის მიყიდვის თაობაზე.

წესით, შეუძლებელი არაფერია, რადგან აზერბაიჯანი თავისუფლად ყიდულობს შეიარაღებასა და აღჭურვილობას მთელ მსოფლიოში (მათ შორის — სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკაში, ისრაელში, რუსეთში, რომ აღარაფერი ვთქვათ უკრაინაზე, ბელორუსიასა და, რა თქმა უნდა, თურქეთზე) და პაკისტანის ამ სიაში აღმოჩენაც არ უნდა გაგვიკვირდეს.

ვინც ბატონობს ცაში, ის იგებს ომს, — ეს მარტივი ცნება ზუსტად 100 წლისაა, ანუ დამკვიდრდა მას შემდეგ, რაც დაპირისპირებულმა მხარეებმა ბრძოლებში ავიაცია ჩააბეს. მისი სინამდვილე ჩვენ 2008 წლის აგვისტოს რამდენიმედღიან ომში გამოვცადეთ, როდესაც რუსული საავიაციო ბომბები აცვიოდა ქართულ სოფლებსა და ქალაქებს და ერთი კინკილა გამანადგურებელიც არ გვყავდა, ჰაერში რომ აგვეშვა.

რა თქმა უნდა, მაშინ საქმეს ვერც ერთი და ვერც ათი გამანადგურებელი თვითმფრინავი ვერ უშველიდა, რადგან მოშლილი იყო ჯარების მართვის სისტემა (რომელიც, ალბათ, არც არსებობდა და მხოლოდ სატელევიზიო პიარებში თუ ჩანდა), რის გარეშეც გამანადგურებლების პილოტების „გაყვანა“ საჰაერო სამიზნეებზე მიწიდან კარნახის გარეშე შეუძლებელი იქნებოდა.

ასეა თუ ისე, საქართველოს საჰაერო თავდაცვა დღესაც გამანადგურებელი ავიაციის გარეშე რჩება, რაც სამხედრო საიდუმლოება კი არა, სამწუხარო რეალობაა. არადა, საბჭოთა კავშირის დაშლისას 1991 წლის დეკემბერში საქართველოში რამდენიმე ასეული ერთეული გამანადგურებელი თვითმფრინავი რჩებოდა. მათ შორის იმ დროისთვის თანამედროვე МиГ-29-ები სენაკში, ხოლო МиГ-23-ები — მერიასა და ვაზიანში, მაგრამ ჩვენ მხოლოდ მოძველებული და მწყობრიდან გამოსული 30-მდე Су-15ТМ „დაგვიტოვეს“ მარნეულში, რომლებიც საფრენად არ ვარგოდნენ. მათგან

ორის აღდგენას თბილისის საავიაციო ქარხანა ცდილობდა, მაგრამ სახელმწიფოს სრული უყურადღებობის გამო ამ საქმისგან არაფერი გამოვიდა. ასევე უშედეგოდ დამთავრდა იმის მცდელობაც, რომ თბილისის საავიაციო ქარხანას ორადგილიანი სასწავლო МиГ-21У საბრძოლო გამანადგურებლებად გადაეკეთებინა.

2004-05 წწ.-ებში კიდევ ერთხელ მოგვეცა შანსი შუა აზიის ერთ-ერთი ქვეყნიდან ძალზე მისაღებ ფასად რამდენიმე МиГ-29 ტიპის გამანადგურებელი შეგვეძინა, მაგრამ მაშინდელმა თავდაცვის მინისტრმა, თავისი რაღაც მოსაზრებების გამო, ეს შეთანხმება ჩააგდო, აქაოდა, გამანადგურებლებს ვერ შევინახავთო.



აზერბაიჯანული МиГ-29-ები დღეს სომხური Су-25 მოიერიშეების მთავარ მოწინააღმდეგეს წარმოადგენენ

სამხრეთ კავკასიის კიდევ ერთ ქვეყანასაც — სომხეთსაც არა აქვს გამანადგურებელი ავიაცია. გიუმრის სამხედრო აეროდრომზე წლობით უძრავად მდგარი გამანადგურებელ-გზაგადამჭრელი МиГ-25, უფრო სამუზეუმო ექსპონატია, თუმცა, საქართველოსგან განსხვავებით სომხეთს სტრატეგიული პარტნიორის — რუსეთის ფედერაციის დიდი იმედი აქვს, მით უმეტეს, რომ ერებუნის (ერევან-იუჟნის) სამხედრო აეროდრომზე 18 ერთეული რუსული МиГ-29 ბაზირებს. მათი დანიშნულება სომხეთის ატომური ელექტროსადგურისა და რუსული სამხედრო ბაზის საჰაერო თავდაცვაა, მაგრამ ეს სულაც არ ნიშნავს იმას, რომ რუსული МиГ-ები არ დაიცავენ სომხეთის სამხედრო-საჰაერო ძალების მოიერიშეებს.

გიუმრის აეროდრომზე 16 Су-25 ტიპის მოიერიშეა (მათგან ერთი ქართულ ავიაციას ეკუთვნოდა, სანამ 1993 წლის ნოემბერში კოპიტნარის აეროდრომიდან არ მოგვპარეს). თუ არ ჩავთვლით ერევანში აღლუმზე გამოტანილ „ელბრუსის“ (დასავლეთის კლასიფიკაციით „სკადის“) ტიპის 300 კმ-იანი მოქმედების რადიუსის მქონე ოპერატიულ-ტაქტიკურ სარაკეტო კომპლექსებს (რომლებიც, ჩვენი აზრით, ბრძოლისუუნარონი არიან და სომხები მათი საშუალებით აზერბაიჯანელებს მხოლოდ აშინებენ), თბილისში თავის დროზე აწყობილი Су-25 ტიპის მოიერიშე თვითმფრინავები სომხების ყველაზე გრძელი „ხელკეტია“.

დაბალ სიმაღლეზე ფრენისას Су-25-ის საბრძოლო მოქმედების რადიუსი, როდესაც მას თან საბრძოლო დატვირთვა მიაქვს, 250 კმ-მდეა (ოთხი დამატებითი 800 ლ-იანი საწვავის ავზით ეს მაჩვენებელი 375 კმ-მდე იზრდება). აზერბაიჯანთან შესაძლო ომში ერევანმა ძირითადად სამი აეროდრომი შეიძლება გამოიყენოს: გიუმრის, ერებუნისა და ზვარტნოცის (სამოქალაქო აეროპორტი), რომლებსაც ბეტონირებული ასაფრენ-დასაფრენი ზოლი აქვს.

გიუმრიდან (მის აეროდრომს შირაქი ჰქვია, განსხვავებით დიდი შირაქის აეროდრომისგან, რომელიც საქართველოში დედოფლისწყაროშია) პირდაპირი ხაზით ბაქომდე 500 კმ-მდეა, რაც საბრძოლო დატვირთვის მქონე Су-25-ისთვის მიუწვდომელია, თანაც ომის დროს პირდაპირი მარშრუტებით არავინ დაფრინავს. ერებუნიდან ან ზვარტნოციდან აფრენისას ეს მანძილი სულ რაღაც 50 კმ-ით თუ მცირდება, რაც დიდი ვერაფერი შეღავათია.

სომხების მოიერიშე თვითმფრინავები ოპერატიულად უფრო მოიგებდნენ, თუკი თვითაღიარებული ყარაბაღის ქ. სტეფანაკერტის აეროპორტიდან აფრინდებოდნენ, მაგრამ ეს აეროდრომი ახლოსაა „გაყინული“ ფრონტის ხაზთან და აზერბაიჯანის შორსმსროლელი არტილერია არ დაუშვებს სომხური მოიერიშეების ბაზირებას ოკუპირებულ ტერიტორიაზე, როგორც ამას ბაქოში თვლიან.

ყველა შემთხვევაში, სომხურ მოიერიშეებს შეეძლებათ სომხეთის სამივე აეროდრომიდან საჰაერო დარტყმები

სომხეთის სამხედრო-საჰაერო ძალების Су-25 ტიპის მოიერიშე გიუმრის აეროდრომზე დაჯდომის მომენტში


ეროვნული ბიბლიოთეკა

JF-17 Thunder



**ჩვენი დოსიე:** პაკისტანურ-ჩინური მსუბუქი გამანადგურებელი JF-17 Thunder-ის მაქსიმალური ასაფრენი მასა მხოლოდ 12,5 ტონაა, საიდანაც 2,3 ტ საწვავზე, ხოლო 3,6 ტ კი საბრძოლო დატვირთვაზე მოდის. გამანადგურებელს აქვს ერთი ტურბორეაქტიული ძრავა, რომელიც თვითმფრინავს მაქსიმალური 1900-2000 კმ/სთ სიჩქარის განვითარების საშუალებას აძლევს. გამანადგურებლის საბრძოლო მოქმედების რადიუსი დაახლოებით 1300 კმ-ია. მის შეიარაღებაშია ერთი 23 მმ-იანი ორლულიანი საავიაციო ქვემეხი. 7 პილონზე სხვადასხვა კლასისა და ტიპის უმართავ და მართვად ბომბებსა და რაკეტებს კიდებენ.

მიაყენონ აზერბაიჯანის შეიარაღებული ძალების პოზიციებს საბრძოლო ურთიერთშეხების რაიონებში.

ამიტომაც გასაკვირი არ არის, რომ ოფიციალური ბაქო დიდ ყურადღებას აქცევს საჰაერო სივრცეში გაბატონებას, რისთვისაც ზრდის გამანადგურებელი ავიაციის პარკს.

საერთოდ, აზერბაიჯანის სამხედრო-საჰაერო ძალები ყველაზე შთამბეჭდავია სამხრეთ კავკასიაში და მათ არსენალში რამდენიმე ათეული საბრძოლო თვითმფრინავია, მათ შორის როგორც მოძველებული МиГ-21 და МиГ-25 ტიპის გამანადგურებლები, Су-24 ტიპის საფრონტო ბომბდამშენები და Су-25 მოიერიშეები, ისე შედარებით თანამედროვე МиГ-29 ტიპის გამანადგურებელი თვითმფრინავები.

12 ცალი МиГ-29 (სხვადასხვა მოდიფიკაციის) აზერბაიჯანმა უკრაინისგან 2007 წელს იყიდა და მას შემდეგ ამ გამანადგურებლებზე ამზადებს პილოტებს. მაგრამ МиГ-29-ების რაოდენობა საკმარისი არ არის ფრონტისპირა ზოლის თავზე საჰაერო სივრცეში გასაბატონებლად, მიუხედავად იმისა, რომ სომხეთს ჯერჯერობით არც ერთი საკუთარი გამანადგურებელი არ ჰყავს. საქმე ის არის, რომ ბაქოში არც თეორიულად და არც პრაქტიკულად არ გამორიცხავენ, რომ მათ პილოტებს ყარაბაღის თავზე საჰაერო ბრძოლებში ჩართვამ შეიძლება ერებუნიდან აფრენილ 18 რუსულ МиГ-29-სთან მოუწიოს.

ბაქოს მიერ „ამორჩეული“ JF-17 Thunder-ის ტიპის გამანადგურებელი საინტერესო და უნიკალური ისტორიის მქონე თვითმფრინავია, რადგან მას 5(!) ქვეყნის სპეციალისტები ქმნიდნენ.

80-იანი წლების მიწურულს ჩინეთსა და აშშ-ს შორის მრავალწლიანი დაძაბული ურთიერთობა მცირე ხნით დათბა და ცნობილმა ამერიკულმა საავიაციო ფირმა Grumman-მა ჩინელ კოლეგებს მსუბუქი და იაფი გამანადგურებლის დაპროექტებაში დახმარება გაუწია. ახალ გამანადგურებელზეც, რომელიც საბჭოთა МиГ-21-ის ჩინური ასლის J-7-ის ძირეული მოდერნიზებული ვარიანტია, დაგეგმილი ჰქონდათ დაეყენებინათ ამერიკული F-16A-ის საბორტე რადიოლოკატორი და რეაქტიული ძრავა.

ცოტა ხანში ვაშინგტონსა და პეკინს შორის ისევ შავმა კატამ გაირბინა. ამერიკელების დახმარების გარეშე დარჩენილმა ჩინელებმა მზერა ბრიტანელებსა და რუსებს მიაპყრეს.

რუსებმა ჩინელებს РД-33 ტიპის რეაქტიული ძრავები მიჰყიდეს, რომლებიც МиГ-29 ტიპის გამანადგურებელზეა დაყენებული, რის შემდეგაც ჩინელების ახალი, მსუბუქი გამანადგურებელი FC-1, პაკისტანელებმა JF-17 Thunder-ის სახელწოდებით გამოუშვეს.

Thunder-ს, ანუ „ქუხილს“, განსაკუთრებული თვისებები არა აქვს, გარდა ერთისა — შედარებით დაბალი ფასისა, რითაც მიმზიდველი ხდება მსოფლიოს მესამე ქვეყნებისთვის.

17-20 მლნ დოლარი ერთი „ქუხილისათვის“ შეიძლება ბევრი იყოს საქართველოსთვის, მაგრამ ნავთობით მდიდარი აზერბაიჯანისთვის ეს თანხა მისაღებია. ორი ესკადრილიის (24 გამანადგურებელი) ყიდვის შემთხვევა აზერბაიჯანს ეს გარიგება დაახლოებით ნახევარი მილიარდი დოლარი დაუჯდება, რასაც აზერბაიჯანის 3 მლრდ დოლარიანი სამხედრო ბიუჯეტი 2-3 წელიწადში შედარებით ადვილად აიტანს. სამაგიეროდ, აზერბაიჯანის სამხედრო-საჰაერო ძალების შეიარაღებაში უახლოეს წლებში იქნება არანაკლებ 50 (ან უფრო მეტი) სხვადასხვა ტიპის გამანადგურებელი თვითმფრინავი, რომლებიც სრულიად საკმარისია სამხრეთ კავკასიის საბრძოლო მოქმედების თეატრის საჰაერო სივრცეში გასაბატონებლად, რა თქმა უნდა, თუ მოწინააღმდეგე მხარე რუსეთი ან ირანი არ იქნება.

***ირაკლი ალადაშვილი***



# DUBAI AIR SHOW

მიმდინარე წლის 13 ნოემბერს არაბთა გაერთიანებული საამიროების ქალაქ აბუ-დაბიში მე-12 საერთაშორისო ავიასალონი Dubai Air Show 2011 გაიხსნა. მასშტაბურობითა და მნიშვნელობით ის ახლო აღმოსავლეთში ყველაზე მსხვილი საავიაციო გამოფენაა.

ტრადიციისამებრ, გამოფენა ორ წელიწადში ერთხელ, ნოემბერში ეწყობა. წლევანდელი ავიასალონის გაყიდვებმა აჩვენა, რომ საავიაციო ინდუსტრია მსოფლიო ეკონომიკური კრიზისიდან თითქმის გამოვიდა.

წელს დუბაიში გაფორმებული კონტრაქტების საერთო ღირებულებამ 63.3 მილიარდი დოლარი შეადგინა და ამ თანხის ნახევარი სამოქალაქო სექტორზე მოვიდა. სამოქალაქო ავიალაინერების მშენებელმა გიგანტებმა Airbus-მა და Boeing-მა ავიასალონის ხუთ დღეში 40.5 მილიარდის ღირებულების თვითმფრინავები გაყიდეს.

ავიასალონზე ერთ-ერთი ყველაზე მრავალრიცხოვანი და მრავალფეროვანი ექსპოზიცია აშშ-მა წარმოადგინა: ავიაგამანადგურებლები — F-15E და F/A-18E, სტრატეგიული ბომბდამშენი — B-1B, სატრანსპორტო თვითმფრინავები — C-130 Super Hercules და C-17A Gloubmaster III, კონვერტპლანი — V-22, სხვადასხვა ტიპის შვეულმფრენები და ა.შ.

გამოფენის მსვლელობისას, გავრცელებული კულუარული ინფორმაციით, საამიროები „ოსპრეის“ შეძენით არიან დაინტერესებული. ამჟამად მხარეები წინასწარ მოლაპარაკებას აწარმოებენ და მომავალი კონტრაქტის შესაძლო პირობებს განიხილავენ. შეთანხმების შემთხვევაში საამიროებს თითო კონვერტპლანში 67 მილიონის გადახდა მოუწევს.

სხვათა შორის, ამერიკელებმა გამოფენაზე F/A-22 Raptor-იც აჩვენეს, — თვითმფრინავი, რომლის საფრენოსნო ექსპლუატაცია მუდმივად პრობლემებთან არის დაკავშირებული და ამის გამო წელს ორჯერ შეჩერდა. ეს თვითმფრინავი ამერიკის ავიაციის ისტორიაში ყველაზე ძვირად ღირებული ავიაგამანადგურებელია, რომელსაც სამხედრო ოპერაციებში ჯერ მონაწილეობა არ მიუღია.

ავიასალონის მსვლელობისას სადემონსტრაციო ყოველდღიურ საფრენოსნო პროგრამაში ფრანგული საპილოტაჟო გუნდი Patrouille de France-ი ჯგუფურ ფრენებს ასრულებდა. სხვათა შორის, მასპინძელმა ქვეყანამ შეასრულა 2009 წელს დადებული პირობა და Dubai Air Show 2011-ზე საპილოტაჟო გუნდი წარადგინა, რომელიც ფრენებს შვიდი თვითმფრინავისგან შემდგარი ჯგუფით ასრულებდა.




**შეთანხმების შემთხვევაში, საამიროები „ოსპრეის“ პირველი იმპორტიორი გახდება**



შემზგედრი პილოტაჟი ფრანგული Patrouille de France-ს შესრულებით

წლევანდელ გამოფენაზე გაყიდვების აქცენტი სამოქალაქო სექტორზე მოდიოდა. პირველივე დღეს მასპინძელი ქვეყნის ავიაკომპანია Emirates-მა კომპანია Boeing-თან 50 B777-300ER-ის ტიპის ლაინერის მიწოდებაზე 18 მლრდ დოლარის ოდენობის კონტრაქტი გააფორმა.

14 ნოემბერს ომანის ავიაკომპანია „ომან აირმა“ ყველასთვის მოულოდნელად 1.2 მლრ დოლარად ექვსი B787-8 Dreamliner შეიძინა. აქამდე ავიაკომპანია ამ თვითმფრინავების ლიზინგით მიღებას აპირებდა, მაგრამ გეგმა შეცვალა. საინტერესო ის არის, რომ 2006 წლიდან ავიაკომპანიას მოგება არ მიუღია. მაგალითად, 2010 წელს მისმა ზარალმა თითქმის 203 მლნ დოლარი შეადგინდა.

ცოტა მოგვიანებით Qatar Airways-მა „ბოინგისგან“ ორი სატვირთო თვითმფრინავი იყიდა, რამაც ამერიკული კონცერნის მიერ გაფორმებული კონტრაქტების ჯამური ღირებულება 20 მლრდ დოლარამდე (დამატებითი შესაძლო ხელშეკრულებების ჩათვლით 28 მლრდ) გაზარდა.

ამერიკელ კოლეგას არც ევროპული გიგანტი Airbus-ი ჩამორჩა. ყველაზე მსხვილი შეკვეთა მან ავიაკომპანია Qatar Airways-ისგან მიიღო, რომელმაც 6.5 მლრდ დოლარად ხუთი გიგანტი A380 და 50 A320neo იყიდა.

ბოლო ერთ წელიწადში „აირბასის“ ახალი პროექტი A320neo არნახული პოპულარობით სარგებლობს. დუბაიშივე 50 თვითმფრინავში ქუვეითის ავიაკომპანიამ 4.6 მილიარდი დოლარი გადაიხადა. ამ თვითმფრინავმა მსოფლიო ბაზარზე ნამდვილი გადატრიალება მოახდინა. განსაკუთრებით ეს საწვავის მოხმარებასა და ეკონომიურობას ეხება. თავის მხრივ, საწვავის დაზოგვის საკითხი ავიაკომპანიებსაც არანაკლებ აღელვებს. ნავთობზე ფასების ყოველი მატება მათ შემოსავალზე უარყოფითად აისახება.

ახალმა ძრავებმა საბაზო ვარიანტთან შედარებით საწვავის ხარჯი 15%-ით შეამცირა. ეს კი წლის განმავლობაში ატმოსფეროში 3600 ტ-ით ნაკლები ნახშირორჟანგის გამოტყორცნას ნიშნავს.

არის სხვა სიახლეებიც. საბაზო ვარიანტთან შედარებით ახალი ლაინერის ფრენის მანძილი 900-950 კმ-ით, სასარგებლო დატვირთვა კი 2000 კგ-ით გაიზარდა. მწარმოებლებმა NEO-ს პროექტში უკვე 1,3 მლრდ დოლარი ჩადეს. ის საბაზოზე საშუალოდ 6 მილიონით ძვირი ეღირება. ამ თანხიდან 3.5 მლნ კორპუსის მოდერნიზაციაზე დაიხარჯება.

მართალია, სერტიფიკატს A320neo მხოლოდ 2015 წელს მიიღებს, მაგრამ „აირბასს“ უკვე 1300 თვითმფრინავი აქვს შეკვეთილი.

ახლოაღმოსავლური ავიასალონი მსოფლიო საავიაციო მრეწველობის კრიზისიდან გამოსვლის ნათელი მაგალითი გახდა. მაგალითად, თუ 2008 წლის შემოდგომაზე დაწყებულ კრიზისამდე ერთი წლით ადრე, 2007 წელს ჩატარებულ ავიასალონზე გაყიდვებმა რეკორდული 155.5 მლრდ დოლარი შეადგინა, 2009 წელს მიზერულ 14 მლრდ დოლარამდე დაეცა. წლევანდელმა ავიასალონმა ორგანიზატორებს იმედი მისცა, რომ მდგომარეობა უფრო გაუმჯობესდება და 2013 წლისთვის კონტრაქტების ჯამური ღირებულება ას მილიარდს მიაღწევს.

წლევანდელი Dubai Air Show 2011 17 ნოემბერს საზეიმოდ დაიხურა. ავიასალონში მსოფლიოს 47 ქვეყნის 900-მდე კომპანია და საფრენი აპარატი მონაწილეობდა. ხუთ დღეში გამოფენა 56.5 ათასმა კაცმა დაათვალიერა.

**ალექსანდრე აფაქიძე**

ორგანიზატორები იმედოვნებენ, რომ 2013 წელს გაყიდვების საერთო ოდენობა 100 მილიარდ დოლარს გადააჭარბებს



# სტალინ-ბერიას აგენტურა ქართულ ემიგრაციაში



**(დასასრული. დასაწყისი იხ. „არსენალი“ N16-24, 2011)**

იმ პერიოდში პარიზის რეზიდენტურას ლევ ვასილევსკი ხელმძღვანელობდა. მას ყველა როგორც გენერალურ კონსულ „ტარასოვს“ ისე იცნობდნენ, სწორედ ის იყო მოსკოვისთვის მნიშვნელოვანი აგენტის, გ. გეგელიას კურატორი და მას აძლევდა დავალებებსა და ფულს, იღებდა მოსკოვში გასაგზავნ ინფორმაციას.

მთელი ეს მსჯელობა იმისთვის დაგვჭირდა, რომ გვეჩვენებინა: გეგელია 1939 წლისთვის უკვე გამოცდილი აგენტი იყო, მან კარგად იცოდა ფარული ოპერატიული კავშირების (უპირველესად პარიზის რეზიდენტურის) გამოყენება სადაზვერვო ინფორმაციის საბჭოთა კავშირში გადასაგზავნად და ლოგიკურად ამ საქმისთვის სხვა, შუამავალი აგენტი (ჩვენს შემთხვევაში — „ომერი“) არ უნდა დასჭირვებოდა.

1939 წლის სექტემბრის დასაწყისში გეგელია, როგორც საფრანგეთის მოქალაქე, საყოველთაო მობილიზაციას დაექვემდებარა და საფრანგეთის არმიის ჯარისკაცი გახდა, ხოლო 1940 წლის იანვრიდან უკვე საომარ მოქმედებებში მონაწილეობდა გერმანელთა წინააღმდეგ. ამიტომაც, ბუნებრივია, რომ გეგელია 1939 წლის ოქტომბერში ვერ ჩავიდოდა სტამბოლში და ვერ შეხვდებოდა თურქ სამხედრო მაღალჩინოსნებს. „ბერიას დოკუმენტის“ თანახმად კი სწორედ ამ პერიოდში ჩავიდა „59“-ე სტამბოლში თურქებთან მოსალაპარაკებლად.

1940 წლის ივნისის ბოლოს, მას შემდეგ, რაც საფრანგეთმა კაპიტულაცია გამოაცხადა, გეგელია სხვა დემობილიზებულ ჯარისკაცებთან ერთად პარიზში დაბრუნდა. რამდენიმე თვის შემდეგ ის ფრანგ კომუნისტებს დაუკავშირდა და „წინააღმდეგობის მოძრაობაში“ ჩაერთო, ამიტომ 1939 წლის სექტემბრის ბოლოდან 1940 წლის ივნისამდე საბჭოთა რეზიდენტურასთან კავშირი გაუწყდებოდა. თუმცა, მას შემდეგ, რაც პარიზში დაბრუნდა, საბჭოთა დაზვერვის რეზიდენტ ვასილევსკისთან კავშირის აღდგენა არ უნდა გართულებულიყო.

„ბერიას დოკუმენტში“ მოყვანილი „59“-ის ბიოგრაფიული მონაცემები და მისი ახლო კავშირი ემიგრაციაში მყოფ ქართველ სოციალ-დემოკრატებთან გვაფიქრებინებს, რომ „59“-ის ოპერატიული ფსევდონიმით მოქმედი საბჭოთა დაზვერვის აგენტი ახლო პარტიულ და რაც უფრო მნიშვნელოვანია, პიროვნულ ურთიერთობაში უნდა ყოფილიყო ნოე ჟორდანიასთან. გავიხსენოთ, თუ რა დავალება მისცა „ომერს“ მენშევიკების ლიდერმა.

**„59“-მა განუცხადა „ომერს“, რომ ის აპროტესტებდა ამ ქალაქების დაბომბვას და ამასთან დაკავშირებით აცნობა, რომ მისი პარიზიდან გამგზავრების წინ ჟორდანიამ შესთავაზა შემდეგი: თუ მოწინააღმდეგენი (აქ საფრანგეთი და დიდი ბრიტანეთია ნაგულისხმევი – ბ.ა.) მოამზადებენ საქართველოში სამხედრო შეჭრას, გაეფრთხილებინა საბჭოთა კავშირის შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატი (ანუ ლავრენტი ბერია. – ბ.ა.).**

საინტერესოა, როგორ უნდა გაეფრთხილებინა „59“-ს საბჭოთა სპეცსამსახურები თურქეთიდან? ამისთვის რამდენიმე გზა არსებობდა, რომლებიც, როგორც წესი, აგენტისთვის წინასწარ არის ცნობილი (ლეგალური ან არალეგალური რეზიდენტურის თანამშრომლებთან შეხვედრა დათქმულ დროსა და ადგილას; ან სპეციალური სამალავის გამოყენება ინფორმაციის მისაწოდებლად). თუმცა რატომღაც აგენტი „59“ სხვა აგენტს („ომერს“)

ეროვნული ბიბლიოთეკა




პარიზში მცხოვრები ქართველი ემიგრანტები საბჭოთა დაზვერვის დაკვირვების ქვეშ იმყოფებოდნენ

გზავნის საზღვრის ფარულად გადასაკვეთად და სიტყვიერად აბარებს ამ სრულიად საიდუმლო ინფორმაციას ლავრენტი ბერიასთვის გადასაცემად. კაცმა არ იცის, „ომერი“ შეძლებდა თუ არა საზღვრის გადალახვას ან დაუჯერებდნენ თუ არა მის ინფორმაციას მოსკოვში.

რატომ არ გამოიყენა „59“-მა, თუ ეს გ. გეგელიას ოპერატიული ფსევდონიმი იყო, შედარებით მარტივი და უსაფრთხო კავშირი პარიზის რეზიდენტურიდან?

## ბერიას მიზანი: მინიმუმ ერთი აგენტი ემიგრაციის ლიდერების გარემოცვაში

ჯერ კიდევ 30-იანი წლების მეორე ნახევარში ტროცკის შვილთან, ლევ სედოვთან საბჭოთა დაზვერვამ გამოცდილი აგენტი ზბაროვსკი (ოპერატიული ფსევდონიმი „ტიულპანი“) შეგზავნა, რომელიც ამომწურავ ინფორმაციას გზავნიდა მოსკოვში მამა-შვილი ტროცკების საიდუმლო გეგმების შესახებ. სწორედ ზბაროვსკის სახელს უკავშირდება ლევ სედოვის საეჭვო გარდაცვალება.

იმის შესახებ, თუ როგორ ყურადღებას აქცევდა ლავრენტი ბერია ქართული პოლიტიკური ემიგრაციის წინააღმდეგ სპეცოპერაციების დაგეგმვას, პავლე სუდოპლატოვის მოგონებებიდან ერთ მცირე ნაწყვეტს შემოგთავაზებთ: „ბერია ყოველმხრივ ცდილობდა, ოპერატიული მიზნებისთვის გამოეყენებინა თავისი ძველი პირადი კავშირები... ჩვენი რეზიდენტურა საფრანგეთში სავსე იყო ქართული ემიგრაციის დამუშავების დირექტივებით, რომელსაც ის გზავნიდა“.

ბერია აგრძელებდა ემიგრაციის ლიდერების წინააღმდეგ მუშაობის ამ ტაქტიკას: მინიმუმ ერთი აგენტი ყველა ლიდერის უახლოეს გარემოცვაში: ჟორდანიასთან – „ომერი“, რომელიც შესაძლოა ჯერ კიდევ ნოე რამიშვილზე იყო მიჩენილი; სპირიდონ კედიასთან – გიორგი გეგელია; ევგენი გეგეჭკორთან – იონა ნამიჭეიშვილი და ა.შ.

სუდოპლატოვის თქმით, ქართველი მენშევიკები 1939-40 წლებში ცდილობდნენ თავიანთი ემისრების გაგზავნას საქართველოში ბერიასთან დასაკავშირებლად.

„ამის შესახებ ინფორმაცია აგენტურამ დროულად მოგვაწოდა. ამასთან დაკავშირებით მოსკოვიდან საქართველოში გავგზავნეთ კონტრდაზვერვის საიდუმლო-პოლიტიკური განყოფილების ხელმძღვანელი ვ. ილინი, რომელიც 1939 წელს არა მარტო კავკასიურ მიმართულებას ხელმძღვანელობდა, არამედ მენშევიკთა საკითხზეც მუშაობდა.

ბუნებრივია, რომ სწორედ მას დაავალეს არალეგალურად მოსულ აგენტთან შეხვედრა. ბერიამ შემდგომში ის დაჰკითხა მოსკოვში, რადგან მოწინააღმდეგესთან ოპერატიულ ბრძოლაში მისი გამოყენება იგეგმებოდა.

შემდეგ მას ოცი წლით თავისუფლების აღკვეთა შეუფარდეს და მან სრულად მოიხადა სასჯელი. 1953 წელს უშედეგოდ ცდილობდნენ მის გამოყენებას ბერიას (როგორც იმპერიალისტური წრეებისა და მენშევიზმის აგენტის) წინააღმდეგ“.

სუდოპლატოვი ასევე აღნიშნავს, რომ 1953 წლის იანვარში კრემლში გამართულ შეხვედრაზე, სადაც განიხილებოდა დაზვერვის რეორგანიზაციისა და საბჭოთა კავშირის სახელმწიფო უშიშროების სამინისტროში მთავარი სადაზვერვო სამმართველოს შექმნის საკითხები, სტალინმა გაიხსენა „ომერი“ და აღნიშნა, რომ ემიგრაციასთან სწორი მუშაობა მოწინააღმდეგის საგარეო-პოლიტიკური ჩანაფიქრის ამოცნობის საშუალებას იძლევა. ეს კიდევ ერთხელ ადასტურებს, თუ რა მნიშვნელობას ანიჭებოდა „ომერისგან“ მიღებულ ინფორმაციას საბჭოთა დიქტატორი.

მიუხედავად იმისა, რომ გასარკვევი დაგვრჩა, თუ რომელი ქართველი ემიგრანტები მოქმედებდნენ ამ ოპერატიული ფსევდონიმებით, ან „59“ და „ომერი“ ხომ არ იყო ერთი და იმავე ქართველი ემიგრანტ-აგენტის სხვადასხვა ფსევდონიმი, ჟურნალის ფორმატი გვაიძულებს, შევწყვიტოთ თხრობა.

**_ბესიკ ალადაშვილი_**

**_ექსპერტი ეროვნული უსაფრთხოების საკითხებში, უშიშროების გადამდგარი პოლკოვნიკი_**

„ლიგა“
სამკურნალო გაერთიანება
სექსოპათოლოგია
– ერექციის ხარისხის გაუმჯობესება
– სქესობრივი აქტის გახანგრძლივება
– ყველა სახის სექსუალური დარღვევის მკურნალობა
– სექსუალური წარუმატებლობის მოლოდინის შიშის მოხსნა
ხელმძღვანელი პროფესორი არჩილ ბაქრაძე
მის: თაბუკაშვილის №19ა ☎ 890 32-21-21; 32-21-21, 72-59-39
www.league.ge

# „აუმ სინრიკიო" მისტიკოსი ტერორისტები

„აუმ სინრიკიო" (იაპონურად – „ოომუ შინრიკიო") საყოველთაოდ ცნობილი ნეორელიგიურ-ტერორისტული დაჯგუფებაა, რომელიც 1987 წელს იაპონიაში მისტიკოსმა და იოგმა სიოკო ასაჰარამ შექმნა.

ორგანიზაციის სახელწოდება ითარგმნება როგორც „უმაღლესი ჭეშმარიტება" და გაუთვითცნობიერებელ ადამიანს შეიძლება ეგონოს, რომ მის მიღმა მხოლოდ რელიგიური სწავლება იგულისხმება. სინამდვილე კი სულ სხვაგვარია – „აუმ სინრიკიოს" დამაარსებლის განცხადებით, ის და მისი მიმდევრები იბრძვიან, რათა მსოფლიო „ჭარბი მოსახლეობისგან" გაწმინდონ, ხოლო ამ მიზნის მისაღწევად კი ტერორი „საუკეთესო" საშუალებაა.

2000 წლის იანვარში „აუმ სინრიკიომ" საბრძოლო ფსევდონიმად აიღო „ალეფი" – ძველარამეული ანბანის პირველი ასო-ბგერის სახელწოდება; ეს, ასაჰარასა და მისი მიმდევრების განმარტებით, სიმბოლურია – მათ სურთ, კაცობრიობა ისევ იმ საწყისს დაუბრუნდეს, საიდანაც წარმოიშვა.

ტერორისტულ დაჯგუფებად გაერომ „აუმ სინრიკიო" 1995 წელს აღიარა, როცა ამ ორგანიზაციის აქტივისტებმა ტოკიოს მეტროში დიდი ტერაქტი მოაწყვეს.


„აუმ სინრიკიოს" ლიდერი და დამაარსებელი, გურუ სიოკო ასაჰარა

## ჩამოყალიბების მოკლე ისტორია

„აუმ სინრიკიოს" დამაარსებელი სიოკო ასაჰარა (ნამდვილი სახელით — ტიძუო მაცუმოტო) 1955 წლის 2 მარტს კუმამოტოს პრეფექტურის ერთ პატარა სოფელში, მრავალშვილიან ოჯახში დაიბადა.

დაბადებიდანვე სუსტი მხედველობა დაჰყვა და ამიტომაც სპეციალიზებულ სკოლაში მიიყვანეს. ამან კი, სხვათა შორის, მის შეგნებაზე კვალი დატოვა — პატარაობიდანვე, ტიძუო მაცუმოტო ძალიან გულჩათხრობილი იყო და ადამიანებთან ურთიერთობაც უჭირდა.

სკოლის დამთავრების შემდეგ, სწავლის გაგრძელება სამედიცინო უნივერსიტეტში უნდოდა, მაგრამ მისაღებ გამოცდებზე გასვლა ვერ შეძლო, მხედველობის სისუსტემ შეუშალა ხელი.


„აუმ სინრიკიოს" ემბლემა

განზრახულებულმა ტიძუო მაცუმოტომ ამქვეყნიურ ცხოვრებაზე უარის თქმა დააპირა და კუნძულ ჰოკაიდოზე ერთ-ერთ ბუდისტურ მონასტერს მიაშურა. იქ ცხოვრობდნენ ძენის მოძღვრების მიმდევარი ბერები, რომლებიც საბრძოლო ხელოვნება სიორინძი-კემპოს სწავლობდნენ.

ტიძუოს მათთან დარჩენა სურდა, მაგრამ ბერებმა არ მიიღეს, მიზეზი კვლავაც მხედველობის სისუსტე აღმოჩნდა — მონასტრის წინამძღვარმა ახალგაზრდას ურჩია, რომ ბედი სხვაგან ეცადა: „თქვენთვის მთავარია, ჯანმრთელობას მიხედოთ... განმარტოებასა და სულიერ ცხოვრებას ყოველთვის მოასწრებთ", — უთხრა წინამძღვარმა ტიძუოს.

საბოლოოდ, ტიძუო მაცუმოტომ ქალაქ ფუნაბასიში დაიდო ბინა. იქვე დაოჯახდა კიდევაც და სიმამრის ფულით ჩინური აფთიაქი გახსნა. მან თავი „გურუდ", ანუ ბუდისტ-სწავლულად გამოაცხადა და ჩვეულებრივ თაღლითობას მიჰყო ხელი.

აფთიაქის გახსნიდან სულ რაღაც ექვსი თვის შემდგომ „გურუს" ლიცენ-



ტოკიოს მეტროში „აუმისტების“ ტერაქტის მსხვერპლთ პირველად დახმარებას უწევენ

ზია შეუჩერეს, ხოლო მას მერე, რაც წამლებით ვაჭრობა განაგრძო, დაიჭირეს კიდევაც.

წინასწარმა მოკვლევამ დაადგინა, რომ აფთიაქარი ტრადიციული ჩინური წამლების ნაცვლად ნარკოტიკებით ვაჭრობდა. მაცუმოტოს 8 წლით პატიმრობა ელოდა, მაგრამ გავლენიანი სიმამრის წყალობით ადვილად დააღწია თავი მართლმსაჯულებას — მისი საქმიდან ვიღაცამ გააქრო მნიშვნელოვანი ნივთმტკიცებები, მერე კი ადვოკატებმაც იმარჯვეს და 29 წლის „გურუ“ სასამართლო დარბაზიდან გაათავისუფლეს.

პირველი, რაც ტიძუო მაცუმოტომ ამის შემდეგ გააკეთა, ახალი პასპორტის აღება იყო, — „გურუმ“ სახელი და გვარი შეიცვალა და სიოკო ასაჰარა დაირქვა, მერე საცხოვრებლადაც სხვაგან გადავიდა და ხელახლა დაიწყო ცხოვრება.

სულ მალე ასაჰარად მონათლული მაცუმოტო ჰიმალაიში გაემგზავრა და ტიბეტელ ლამებთან (ბუდისტ ბერებთან) ტანტრა-იოგას შესწავლას შეუდგა. როგორც ხშირად ხდება ხოლმე, ერთ მოძღვართან ვერ გაჩერდა და როცა მეათე მოძღვარმაც გამოაგდო, არც მეტი, არც ნაკლები, ტანტრა-იოგას საკუთარი განხრის შექმნა გადაწყვიტა.

ისევ სამშობლოში დაბრუნდა, თავი ბუდისტ სწავლულად, ანუ პანდიტად გამოაცხადა და ძველებურად თაღლითობას მიჰყო ხელი, — ტოკიოს ერთ-ერთ პრესტიჟულ გარეუბანში ტანტრა-იოგას შესასწავლი სალონი გახსნა, რომელიც სინამდვილეში ჩვეულებრივი საროსკიპო იყო.

შემდეგ კი დაწერა წიგნი „კაცობრიობის პირველადი საწყისი“, რომელშიც თამამად წერდა, რომ დედამიწაზე მოსახლეობის სწრაფი ტემპით გამრავლება კატასტროფას გამოიწვევდა: „საჭიროა, ხელოვნური სელექციის გზით კაცობრიობის დახარისხება — ძლიერი გენის მქონენი გადარჩებიან, სუსტისა კი დაიღუპებიან. თუკი სელექციას არ მოვახდენთ, აპოკალიფსი დაჩქარდება“, — მიაჩნდა ასაჰარას და მკითხველს მოუწოდებდა, სასწრაფოდ „კაცობრიობის პირველად საწყისს“ დაჰბრუნებოდა.

1987 წელს, სიოკო ასაჰარამ ტოკიოს ცენტრში „პირველადი საწყისის სკოლა“ („ოომუ სინრიკიო-ნო დოძიო“) გახსნა, სადაც ნებისმიერ მსურველს იღებდა და მის მიერ შემუშავებულ მოძღვრებას ასწავლიდა.

იმავე წელს, ასაჰარამ გამოსცა მეორე წიგნი, სათაურით „პირველადი საწყისის დამწყებ შემცნობთათვის“ („ოომუ სინრიკიო-ნო ჰაძიმერუ მონო-ნო ტამე-ნი“) და თავი ერთდროულად ბუდას, ქრისტესა და სინტოს (იაპონური რელიგიის — სინტოიზმის უმთავრესი ღმერთი) განსხეულებად გამოაცხადა.

სულ რაღაც ორიოდე წლის შემდეგ კი ასაჰარას მომხრეთა რიცხვმა იმატა და „აუმისტებმა“ (ასე უწოდებდა ასაჰარა მათ) რეგისტრაცია ოფიციალურად გაიარეს, როგორც რელიგიურმა დაჯგუფებამ. 1990 წელს სიოკო ასაჰარა თავისივე მომხრეთა დახოცვაში დაადანაშაულეს, თუმცა მან მართლმსაჯულებას თავი მაინც აარიდა. პოლიციამ „აუმ სინრიკიოს“ წევრები სპეციალურ აღრიცხვაზე აიყვანა და არცთუ უსაფუძვლოდ, — ტოკიოში ვრცელდებოდა ხმა, რომ „აუმისტები“ მასობრივ თვითმკვლელობას გეგმავდნენ.

1995 წლის 20 მარტს ტოკიოს პოლიციის ინფორმატორთა ვარაუდი გამართლდა: „აუმ სინრიკიოს“ აქტივისტებმა იაპონიის დედაქალაქის მეტროში მხუთავი გაზი გაუშვეს, რასაც 10 კაცი ემსხვერპლა, ხოლო 5 ათასამდე კი სხვადასხვა სიმძიმით მოიწამლა.

## სტრუქტურა, იდეოლოგია და პროპაგანდა

სხვა ტერორისტული ორგანიზაციებისაგან „აუმ სინრიკიოს“ ერთი, უმთავრესი ნიშანი გამოარჩევს, — საკუთარ თავს იგი რელიგიურ გაერთიანებად მიიჩნევს; ამის გამო მისი სტრუქტურა სხვა ტერორისტული გაერთიანებებისაგან გამოირჩევა.



ორგანიზაციას ხელმძღვანელობს „განსხეულებული ღმერთი“ — უმაღლესი გურუ სიოკო ასაჰარა, რომლის ხელშიც თავმოყრილია „აუმ სინრიკიოს“ მართვის ყველა ბერკეტი. ორგანიზაციის სტრუქტურული ერთეულების შესახებ კი დაწვრილებითი ინფორმაცია არ არსებობს, იმ მიზეზის გამო, რომ ყველაფერი უკიდურესად გასაიდუმლოებულია.

„აუმ სინრიკიოს“ ძირითადი სწავლება ტანტრა-იოგას მოძღვრებაზე დაფუძნდა, მაგრამ შემდგომში განიცადა ასევე ინდუიზმის, ქრისტიანობის, სინტოიზმისა და შედარებით ნაკლებად — ისლამის გავლენაც.

სიოკო ასაჰარას მტკიცებით, ადამიანი შობიდანვე თითქოსდა კიბეზე ალმასვლას იწყებს. 50 წლის ასაკში იწყება დაღმასვლა და ამ პერიოდში უნდა ვემზადოთ სიკვდილისათვის.

70 წლის ასაკში, როცა სიბერე უკვე მძლავრად შემოგვიტევს, სასურველია, თავი მოვიკლათ, რათა ასპარეზი ახალგაზრდა თაობას დარჩეს. ამას ასაჰარა და მისი მომხრეები „ხელოვნურ სელექციად“ ნათლავენ და ამტკიცებენ, რომ სიბერეში სიცოცხლეს აზრი აღარ აქვს. ამასთან, ახალგაზრდა მორწმუნეებს აბსოლუტურად ყველაფრის ნება ეძლევათ, — დაწყებული სქესობრივი აღრევით და ნარკოტიკების მოხმარებით დამთავრებული.

ძველი იაპონური ტრადიციის თანახმად (და ამ ტრადიციას „აუმ სინრიკიოშიც“ იზიარებენ), თვითმკვლელობა ადამიანის ამქვეყნიურ ცოდვებს აქარწყლებს და ამიტომაც არის, რომ მოხუცებს საიქიოში წასვლას ამ მეთოდით ურჩევენ.

გარდა ამისა, სიოკო ასაჰარა „აუმ სინრიკიოს“ აქტივისტებს მოუწოდებს, რომ თუ ოჯახის წევრი მძიმედ დაუავადდათ, „ტანჯვა შეუმსუბუქონ“ — მოკლან; ამ პრინციპით მოქმედებდნენ „აუმისტები“ მაშინ, როცა ტოკიოს მეტროში მომწამლავი გაზი გაუშვეს: იმხანად სიოკო ასაჰარამ რატომღაც დაასკვნა, რომ იაპონელი ერის დაბერება დაიწყო და „ტანჯვის შემსუბუქება“ არც მეტი და არც ნაკლები, ტერაქტით გადაწყვიტა.

„აუმ სინრიკიო“ პროპაგანდისტული მიზნით ფართოდ იყენებს ინტერნეტს — იმის გამო, რომ დაჯგუფება იაპონიასა და მსოფლიოს სხვა ქვეყნების დიდ ნაწილში არალეგალურად მოქმედებს,




**„აუმ სინრიკიოს“ თითოეული ძებნილი აქტივისტის თავი 200 მილიონი იენა ღირს**

ამიტომ ოფიციალურ პროპაგანდას ვერ აწარმოებენ.

ინტერნეტში მათ უამრავი საიტი და ვებპორტალი აქვთ; ცნობილ ვებპორტალ „იუთუბიზეც“ მათი ვიდეოები ძალზე ხშირად ჩნდება. აღსანიშნავია ისიც, რომ ბოლოდროინდელი განცხადებებით „აუმ სინრიკიოს“ წევრთა რაოდენობა მთელ მსოფლიოში 50 ათას კაცამდე აღწევს.

## „აუმ სინრიკიო“ რუსეთში

„აუმისტების“ საერთო რაოდენობის მეხუთედზე მეტი — 15 ათას კაცამდე, დაუზუსტებელი მონაცემებით, დღეს რუსეთში იმყოფება. როგორც სხვაგან, ისე ამ ქვეყანაშიც, იაპონურ ნეორელიგიურ-ტერორისტულ დაჯგუფებას დევნიან და მრავალგზის განცხადების მიუხედავად, რეგისტრაციას არ აძლევენ. მიუხედავად ამისა, „აუმ სინრიკიომ“ მთელი რუსეთის მასშტაბით უკვე საკმაოზე მეტადაც კი გაითქვა სახელი.

სიოკო ასაჰარას მოძღვრების მიმდევრები რუსეთში პირველად 2004 წელს ვლადივოსტოკში გამოჩნდნენ, — ისინი იქ სავაჭროდ ჩამოსული იაპონელები იყვნენ. ამ ხალხმა სულ მალე ასაჰარას იდეები მკვიდრ მოსახლეობაშიც გაავრცელეს და ქალაქის ცენტრში „სამლოცველო სახლიც“ კი წამოჭიმეს.

სანამ რუსული მილიცია დაადგენდა, რომ წვრილთვალება უცხოელები ტერორისტულ იდეებს ქადაგებდნენ, „აუმისტებმა“ ვლადივოსტოკში ხუთიოდე ყრილობის ჩატარება მოასწრეს. მეხუთე ყრილობაზე ორი მოხუცი გამოასალმეს სიცოცხლეს და სწორედ ამის შემდეგღა მიიპყრეს მილიციის ყურადღება.

ამას დაერთო ისიც, რომ 2004 წელსვე იაპონიაში დაიჭირეს სიოკო ასაჰარა და გაჭიანურებული სასამართლო პროცესის შემდეგ, უვადოდ აღუკვეთეს თავისუფლება. ვლადივოსტოკის მილიციამ დააკავა და იაპონიის ხელისუფლებას გადასცა 300 „აუმისტი“, ხოლო ერთი ამდენი, რომელიც რუსეთის მოქალაქე იყო, ციმბირის გასაიდუმლოებულ ბანაკებში გაგზავნა.

ბოლოდროინდელი დაუზუსტებელი მონაცემებით, რუსეთში „აუმისტები“ ისევ ბევრნი არიან ძირითადად, ციმბირის დიდ ქალაქებში არიან თავმოყრილნი და იქ ადგილობრივ სკინჰედებთან მჭიდრო კავშირი აქვთ. „აუმისტები“ რუსეთის დედაქალაქშიც არიან, მაგრამ შედარებით ცოტა და ჯერ არ აქტიურობენ.

## „აუმ სინრიკიოს“ დამაარსებლის წიგნს კადაფი გამოსცემდა

ამჟამად სიოკო ასაჰარა იაპონიის უშიშროების სამსახურის ციხეში სასჯელს იხდის, — მას უვადო პატიმრობა აქვს მისჯილი. მის გასათავისუფლებლად მთელ იაპონიაში აგროვებენ ხელმოწერებს, მაგრამ სამართალდამცველებს არაფრის გაგონება არ სურთ.

სიოკო ასაჰარამ, რომელიც თითქმის დაბრმავებულია, თავისი მესამე წიგნი — „ცხოვრების გზა“ ადვოკატს უკარნახა. ამ უკანასკნელმა გამომცემლობებს მიმართა, მაგრამ დაბეჭდვაზე ყველამ უარი უთხრა. ამერიკული მასმედიის ცნობით, ლიბიის დიქტატორი — მუამარ კადაფი ასაჰარას წიგნის გამოცემას თავისი ხარჯით გეგმავდა, მაგრამ უეცრად დაწყებულმა რევოლუციამ ხელი შეუშალა ჩანაფიქრის ბოლომდე მიყვანაში, — მის რეზიდენციაში აჯანყებულებმა მართლაც ნახეს „აუმ სინრიკიოს“ დამაარსებლის უკვე გამზადებული წიგნის გვერდები და ისინი ამერიკელებს გადასცეს.

*მიხეილ ლაბაძე*



ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ამერიკული ჯავშანტექნიკა

## პირველი საცდელი მოდელები



Holt Manufacturing Company: მასა — 25,4 ტონა, ჯავშანი — 6-15 მმ, ეკიპაჟი — 6 კაცი, ბენზინის ძრავა — 90-ცხ.ძალიანი, სიჩქარე — 10კმ/სთ-ში, სვლის მარაგი — 50 კმ, შეიარაღება — 75 მმ ქვემეხი, ორი 7,92 მმ-იანი ტყვიამფრქვევი

XX საუკუნის დასაწყისში ჩრდილო ამერიკაში საავტომობილო ინდუსტრია უსწრაფესად განვითარდა. ათეულობით კომპანია მსუბუქი, სატვირთო თუ სპეციალური დანიშნულების ავტომობილებს აწყობდა, ხოლო ჰენრი ფორდის გამოგონილმა კონვეიერმა ავტომშენებლობაში რევოლუცია მოახდინა. ავტომობილმა ამერიკელების ყოველდღიურ ცხოვრებაში განუყოფელი ადგილი დაიკავა.

ჯავშანტექნიკასთან დაკავშირებული ევროპული ექსპერიმენტები ატლანტის ოკეანის გაღმა დიდ ინტერესს იწვევდა, ნიჭიერი ადამიანები დროს ფეხდაფეხ მიჰყვებოდნენ და საკუთარი პროექტებით დაინტერსებულ ქვეყნებს ეძებდნენ.

გერმანული წარმოშობის გამომგონებელმა შაფერმა ბალის ტრაქტორის ბაზაზე დაჯავშნული ერთადგილიანი მანქანის პროექტი მოამზადა და წინადადებით მიმართა სან-ფრანცისკოში გერმანიის კონსულს, მაგრამ უარი მიიღო, გერმანიას საკუთარი გამომგონებელიც ბევრი ჰყავდა.

1915 წლის დასაწყისში უილოკის კონსტრუქციის ტრაქტორის მასიზე ბიზნესმენმა ლოუმ 30-ტონიანი ჯავშანმანქანა დააპროექტა და ნახაზები ინგლისში წაიღო, მაგრამ ბრიტანელები სიახლით არ დაინტერესდნენ. შემდგომ, როცა ინგლისი ტანკების სერიულ წარმოებას შეუდგა ამერიკელმა გამომგონებლებმა ჩათვალეს, რომ საქმე პლაგიატობასთან ჰქონდათ და სასამართლოშიც იჩივლეს, მაგრამ პროცესი წააგეს.

1917 წლის აპრილში აშშ ანტანტის ქვეყნებს შეუერთდა და ევროპაში საექსპედიციო არმია ტანკებისა და დაჯავშნული ავტომობილების გარეშე გაგზავნა. მიუხედავად იმისა, რომ ქვეყნის ავტომრეწველობა მსოფლიოში წამყვანი იყო, ამერიკის ქარხნები ჯავშანტექნიკას სერიულად არ აწყობდნენ.

1917 წლის ბოლოს გენერალ ჯონ ჯონსონის ინიციატივით აშშ-ის არმიის საინჟინრო კორპუსს ტანკის შექმნა დაავალეს. სამუშაოს ბოსტონელი ბანკირები აფინანსებდნენ.

პროექტი სწრაფად მომზადდა და ქვეითთა მძიმე ტანკის — Steam Tank პირველი ნიმუში 1918 წლის გაზაფხულზე აიწყო.

მაშინ სათანადო სიმძლავრის შიგაწვის ძრავები არ იყო და ტანკში ორთქლმავლის 2 ორცილინდრიანი 250-ცხ.ძალიანი ორთქლის ძრავა და ქვაბები დადგეს. წყლის ასადუღებლად ტანკისტები საწვავად ნავთობს ხმარობდნენ.

ტანკი ცეცხლსატყორცნით იყო აღჭურვილი და სპონსონებზე (ბორტის გამონაშვერი) ორ-ორ ტყვიამფრქვევს ატარებდა და ფორმით ბრიტანულ „თანამოძმე“ MkIX-ს ძალიან ჰგავდა. მისი დემონსტრირება 1918 წლის 17 აპრილს ბოსტონში, აღლუმზე გაიმართა, სადაც მსვლელობის დასრულების შემდგომ, ქუჩაში სვლისას, ხალხის თვალწინ გაფუჭდა.

ამერიკის ძლიერების სადემონსტრაციოდ 1918 წლის ივნისში ტანკი ევროპაში გაიგზავნა, მაგრამ საბრძოლო მოქმედებაში არ მონაწილეობდა.

პირველ ამერიკულ ტანკად მუხლუხა ტრაქტორების მწარმოებელი ფირმა Holt Manufacturing Company-ისა და General Electric Company-ის 1917 წელს შექმნილი დაჯავშნული ტრაქტორი ითვლება.

„ჰოლტის“ ტანკი კომბინირებული

Stream Tank: მასა — 50,8 ტ, ჯავშანი — 13 მმ, ეკიპაჟი — 8 კაცი, ორი 250 - ცხ.ძალიანი ძრავა, სიჩქარე — 6 კმ/სთ-ში, შეიარაღება — ცეცხლმტყორცნი



ძალოვანი აგრეგატით იყო აღჭურვილი: ბენზინის ძრავა ამოძრავებდა გენერატორს, რომელიც გამომუშავებულ ელექტროენერგიას მუხლუხების წამყვანი ბორბლების ელექტროძრავებს გადასცემდა.

დიდი ტრანსმისია მუშაობისას ძლიერ ხურდებოდა და წყლით გაგრილების სისტემას საჭიროებდა, რომელიც საკმაოდ რთული გამოდგა. გამოცდაზეც ტანკმა დაბალი გამავლობა აჩვენა, ამიტომ პროექტი შეწყდა.

ჯავშანტექნიკის შექმნაში თავისი შესაძლებლობები Ford-მაც მოსინჯა. 1918 წელს, როცა ამერიკის მრეწველობა ფრანგული FT-17-ისა და ბრიტანული MkV-ის ასათვისებლად ემზადებოდა — ჰენრი ფორდმა ამერიკის მთავრობას, როგორც დროებითი საშუალება, Ford M1918-ის წარმოება შესთავაზა.

ტანკი კომერციული ავტომობილების დეტალების მაქსიმალური გამოყენებით იყო აწყობილი. კორპუსის თავზე პატარა სამეთაურო კოშკურა ჰქონდა და უკანა ნაწილში კი კუდი, რომელიც თხრილების დაძლევაში ეხმარებოდა. შეიარაღება — 7,62 მმ-იანი ტყვიამფრქვევი კორპუსში იყო დამაგრებული.

ტანკის გაუმჯობესებულ ვარიანტს MkI-ს წრიულად მბრუნავი კოშკურა დაემატა და 37 მმ-იანი ქვემეხითა და ტყვიამფრქვევით აღიჭურვა, მაგრამ ომის დასრულებასთან ერთად ინტერესი მის მიმართ გაქრა.

ფორდის ტანკი გამოსაცდელად საფრანგეთში გაიგზავნა და შედეგის საფუძველზე 15 ათასი ტანკის აწყობა გადაწყდა, მაგრამ ამჯერად მას არ გაუმართლა, ომი ისე დამთავრდა, მხოლოდ 15 ტანკის აწყობა მოესწრო. თხუთმეტივე სამხედროებს შესამოწმებლად გადაეცათ.

ერთხანს ამერიკელი კონსტრუქტორები ბრიტანული რომბისმაგვარი ტანკების გავლენით მსგავსი ფორმის ტექნიკის შექმნაზეც მუშაობდნენ.

მართლაც ინგლისური ტანკების საცეცხლე ძალა და დაბრკოლებათა დაძლევის კარგი უნარი შთამბეჭდავი იყო, მაგრამ იმავდროულად ნაკლიც ჰქონდა, მუხლუხები კორპუსის ბორტს მთელ პერიმეტრზე ევლებოდა და ამის გამო გაბარიტული სავალი ნაწილი ბრძოლის დროს ადვილად ზიანდებოდა, ხოლო დიდი მასის გამო დაბალი სიჩქარე ჰქონდა და მიზანშიც ადვილი ამოსაღები იყო.



Ford M1918: მასა — 3 ტ, ეკიპაჟი — 2 კაცი, შეიარაღება — ტყვიამფრქვევი

ამერიკული ფირმა Pioneer Tractor Company ბრიტანული ტანკების ხარვეზების გამოსწორებას შეეცადა და ე.წ. Skeleton Tank-ი დაამზადა.

ტანკის მზიდი კონსტრუქცია მილებით იყო შეკრული. მუხლუხები ასევე მილებით დამზადებულ ჩარჩოზე პატარა დიამეტრის საყრდენი და დამჭერი გორგოლაჭების დახმარებით გადაადგილდებოდა.

ფოლადის ფურცლებისა და კუთხოვანებისგან აწყობილი ოთხკუთხა კორპუსი ქანჩებითა და მოქლონებით იყო შეკრული და სავალი ნაწილის ჩარჩოებს შორის ფოლადის მილებზე იყო დამაგრებული. შეიარაღება წრიულად მბრუნავი ცილინდრის ფორმის კოშკურაში დაყენებული ტყვიამფრქვევისგან შედგებოდა.

სიახლეებმა ტანკის შესაძლებლობები მართლაც გააუმჯობესა (წონამ დაიკლო, შემცირდა გვერდით პროექციაში დაზიანების ალბათობა), მაგრამ შეიარაღება საკმარისი არ იყო და თან ტყვიამფრქვევს სროლისას ე.წ. „მკვდარი ზონები“ არ აკლდა, ეკიპაჟი ჩასხდომა-გადმოსვლისთვის ერთი ლიუკით სარგებლობდა, მძღოლ-მექანიკოსს ხედვის არე შეეზღუდა და სხვ.

1918 წლის ზაფხულში ტანკი გამოცადეს და მაშინვე გადაწყდა 1000 ცალის დამზადება, მაგრამ ნოემბერში ომი დასრულდა და Skeleton Tank-ის პროექტიც დავიწყებას მიეცა.

პირველ მსოფლიო ომში აშშ-მა ტანკების სერიული წარმოება ვერ მოასწრო, მაგრამ სამაგიეროდ გამოჩნდა ჯავშანტექნიკის წარმოებაზე საავტომობილო ქარხნების გადაყვანის შესაძლებლობა.

ტანკების უქონლობის მიუხედავად, 1917 წლის 23 სექტემბერს სატანკო

Skeleton Tank: მასა — 9,145 ტ, ჯავშანი — 12 მმ, ეკიპაჟი — 2 კაცი, ბენზინის 2 ძრავა — 50-ცხ.ძალიანი, სიჩქარე — 8 კმ/სთ-ში



ეროვნული ბიბლიოთეკა



155 მმ-იანი თვითმავალი ქვემეხი MkIII

კორპუსის ჩამოყალიბების საკითხი გადაწყდა. დაიგეგმა 5 მძიმე და 20 მსუბუქი სატანკო ბატალიონის ფორმირება და ტანკისტთა მოსამზადებელი სასწავლო ცენტრის ჩამოყალიბება.

1918 წლის 28 იანვარს გაიცა პირველი სატანკო ნაწილის შექმნის ბრძანება და თებერვალში კემპ-ემპტონში (ნიუ-იორკის შტატში) 65-ე საინჟინრო პოლკთან 1-ელი მძიმე სატანკო ბატალიონი ჩამოყალიბდა. მისი მეთაურობა 27 წლის კაპიტანმა დუაიტ ეიზენჰაუერმა ჩაიბარა.

ტანკები არ იყო, ამიტომ მომზადება ფანერის მაკეტებზე მიმდინარეობდა. მაკეტებს ტყვიამფრქვევიც ჰქონდა და მომავალი ტანკისტები მიზანში სროლაში ვარჯიშობდნენ.

იმავდროულად ევროპაში, 1918 წლის თებერვალში, საფრანგეთში ქალაქ ბურგის (ზემო მარნის დეპარტამენტი) სატანკო სკოლაში ამერიკის არმიის 500 მოხალისე ფრანგი ინსტრუქტორების ხელმძღვანელობით მომზადებას შეუდგა.

23 მარტს ამერიკელებმა ჯერ 10 „რენო“ FT-17, ხოლო მაისში კიდევ 15 მიიღეს, ამ ტექნიკით 326-ე და 327-ე სატანკო ბატალიონები ჩამოყალიბდა.

აგვისტოში ბატალიონებს 169 ტანკი ჰყავდათ და პოდპოლკოვნიკ ჯორჯ პატონის მეთაურობით (მომავალი სახელგანთქმული გენერალი) სენ-მალაის რაიონში 1-ელ ამერიკულ არმიას შეუერთდნენ.

ამერიკელ ტანკისტთა მეორე ჯგუფი ინგლისში ბოვინგტონის სასწავლო ცენტრში ბრიტანელებმა MkV ტიპის მძიმე ტანკებზე მოამზადეს. ამერიკული 301-ე მძიმე სატანკო ბატალიონი 1918 წლის 24 აგვისტოდან 1-ელი ბრიტანული სატანკო ბრიგადის შემადგენლობაში საფრანგეთში იბრძოდა.

1917 წელს ამერიკელებმა დასამზადებლად 4 FT-17 იყიდეს და შესასწავლად სამშობლოში გაგზავნეს. „რენოს“ ტანკი იმ პერიოდში საუკეთესო იყო და ფრანგებთან ლიცენზიურ წარმოებაზე შეთანხმებაც მალე მოხერხდა, — 4400 ტანკის აწყობა სამ კომპანიაზე გადანაწილდა.

ტანკის ამერიკული ვერსია Six-tonner tank M1917 ფრანგულისგან მცირე კონსტრუქციული ცვლილებებით, შეიარაღებითა და ძრავებით განსხვავდებოდა. ამერიკელები დაბალსიმძლავრიან Budha-ს ძრავებს იყენებდნენ.

წარმოების გაშლას შეფერხება ნახაზების მეტრული ზომების ამერიკაში მიღებულ დუიმებში გადაყვანამაც შეუქმნა და ომის დამთავრებამდე მხოლოდ 10 ტანკის აწყობა და ევროპაში გაგზავნა მოესწრო.

ჯავშანავტომობილი 4X2 Davidson-Duryea Gun Carriage





Jeffery: მასა — 5,7 ტ, ეკიპაჟი — 4-5 კაცი, ჯავშანი — 3,8-5,1 მმ, შიგაწვის ძრავა — 29ცხ.ძალიანი, სიჩქარე — 32 კმ/სთ-ში, სვლის მარაგი — 241 კმ, შეიარაღება — 6 ტყვიამფრქვევი

1918 წლის მიწურულს 209 ტანკი აიწყო და გეგმაც შეიცვალა, — ომი დასრულდა, ტანკები საჭირო აღარ იყო და არსებული მარაგნაწილების გამოყენებით შეკვეთა 950 ცალამდე შემცირდა.

ამერიკელმა სამხედროებმა მძიმე ტანკად ბრიტანული MkVIII შეარჩიეს, თუმცა, მისი შემოტანა ომის დასრულების შემდგომ, 1920 წლიდან დაიწყო.

ამერიკაში თვითმავალი არტილერიის შესაქმნელადაც მუშაობდნენ. პირველი საცდელი ნიმუში ინჟინერმა სემუელ მაკლინმა 1909 წელს ააწყო და 3-ტონიან Packard-ზე თავისივე კონსტრუქციის 75 მმ-იანი ქვემეხი დააყენა.

სისტემა ცუდი არ იყო, მაგრამ ქვემეხი არმიის შეიარაღებაში არ შედიოდა და ამ მიზეზით უარი ითქვა.

1918 წლის ზაფხულში გამოიცადა „ჰოლტის" ტრაქტორზე დაყენებული 155 მმ-იანი ქვემეხი. სისტემას კარგი გამავლობა ჰქონდა. რამდენიმე ცალი აიწყო კიდეც, მაგრამ ომში მონაწილეობა არ მიუღია.

რაც შეეხება დაჯავშნულ ავტომობილებს, მხოლოდ ენთუზიასტთა მიერ შექმნილი მოდელები არსებობდა.

ასეთი იყო ჩრდილო-დასავლეთის სამხედრო აკადემიის (ჰაილენდ-პარკი, ილინოისის შტატი) პედაგოგი და გამომგონებელი როიალ დევიდსონი.

1899 წელს მან ჩარლზ დიურეის ღია ავტომობილს (3X2) წინ 7,62 მმ-იანი Colt-Browning M1895 ჯავშანფარიანი ტყვიამფრქვევი დაუყენა და Davidson-Duryea Gun Carriage ისტორიაში პირველ ამერიკულ საბრძოლო მანქანად შევიდა.

1901 წელს დევიდსონმა მომდევნო საბრძოლო ავტომობილი დაამზადა. ამჯერადაც ღიაძარიან ავტომობილზე (4X2) წინა მხარეს ნახევრად მომრგვალებული ჯავშანფურცელი გაუკეთა და მის თავზე ტყვიამფრქვევი დააყენა.

დევიდსონის ეს ქმნილება ჯავშანავტომობილისგან ჯერ შორს იდგა, მაგრამ შეიარაღებული მექანიკური მოძრავი საშუალების შექმნის იდეა თანდათან მწიფდებოდა.

1915 წელს დევიდსონმა 30 კადეტთან ერთად კომერციული Cadillac-ის შასიზე (4X2) მთლიანად დაჯავშნული ავტომობილი ააწყო. Davidson Cadillac-ის მოქლონებით შეკრული კორპუსი 5 მმ-იანი ფოლადის ფურცლებით იყო დამზადებული და შუბლი რაციონალური დახრის კუთხის გათვალისწინებით იყო აწყობილი.

აკადემიაში კიდევ 7 მსგავსი ჯავშანავტომობილი ააწყვეს და 1916 წლის ივნისში კადეტებმა ილინოისიდან სან-ფრანცისკომდე ავტოგარბენიც მოაწყვეს. მარშრუტი 34 დღეში დაიფარა, მაგრამ უკან დაბრუნება გარბენის მონაწილეებმა მატარებლით ამჯობინეს.

1915 წელს Armored Motor Car Company-მ საზღვაო ქვეითთა შეკვეთით ამერიკის კონტინენტზე ერთ-ერთი პირველი მთლიანად დაჯავშნული King Armoured Car-ი ააგო.

გამოყენებულ იქნა შასი 4X2 მანებიანი ბორბლებით, ხოლო უკანა წამყვან ხიდზე — შეწყვილებული ბორბლები.

„კინგის" წინა ნაწილი ძრავა-ტრანსმისიამ დაიკავა, შუაში მართვის ორგანოები უკან კი საბრძოლო განყოფილება 7,62 მმ-იანი ტყვიამფრქვევით აღჭურვილი საბრძოლო კოშკურით მოთავსდა.

1916 წელს მეორე მოდელი King Armoured Car E გამოჩნდა, რომელსაც შუბლისა და უკანა ნაწილის ფურცლები დიდი კუთხით ჰქონდა დახრილი. შეიცვალა შეიარაღებაც და კოშკურაში Lewis-ის ტყვიამფრქვევი დაიდგა.

1917 წელს „კინგის" ტიპის 6 და-



White M1916: მასა — 3,37 ტ, ეკიპაჟი — 3 კაცი, ჯავშანი — 3,8-6,35 მმ,ბენზინის ძრავა — 45 ცხ.ძალიანი, შეიარაღება — 7,62 მმ-იანი ტყვიამფრქვევი

ჯავშნული ავტომობილი საზღვაო ქვეითთა კორპუსის 1-ელ ჯავშანესკადრონს გამოსაცდელად გადაეცა და ფლოტს რამდენიმე წელი ერთგულად ემსახურა.

ჯავშანავტომობილების შექმნაში კომპანია Jeffery-მაც მოსინჯა ძალა და 1915 წელს სატვირთო მანქანის შასიზე (4X4) დაჯავშნული ავტომობილი ააწყო.

„ჯეფრის" საკმაოდ მაღალი ჯავშანკორპუსი ჰქონდა და მართვის ორი პოსტით იყო აღჭურვილი. შეიარაღება კოშკურის 2 და ბორტების 4 ტყვიამფრქვევისგან შედგებოდა.

სამხედროებმა „ჯეფრი" დიდი მასისა და სუსტი სავალი თვისებების გამო დაიწუნეს, მაგრამ კომპანიამ ბრიტანელთა შეკვეთით რამდენიმე ცალი მაინც ააწყო და ინდოეთში გაგზავნა.

სატვირთო ავტომობილების მწარმოებელი White Motor Company ამერიკის არმიას 1906 წლიდან სხვადასხვა დანიშნულების ავტომობილებით ამარაგებდა. 1912 წლიდან „უაიტი" 1,5-ტონიანი TBC-ის აწყობაზე გადავიდა. პირველი მსოფლიო ომის წლებში ეს მოდელი საფრანგეთმა და რუსეთმა ჯავშანავტომობილების ასაწყობად გამოიყენა.

**1917-18 წლებში, მას შემდეგ, რაც საქართველო რუსეთის კავკასიის არმიამ დატოვა, რამდენიმე სატვირთო „უაიტი" ქართულ არმიაშიც დარჩა.**

ამერიკაში პირველი „უაიტი" 1915 წელს დაიჯავშნა. მომდევნო მოდელს — M1916-ს (4X2) დაგრძელებული და ზემოდან ღია ჯავშანკორპუსი ჰქონდა, ჯავშანფარიანი ტყვიამფრქვევის დასაყენებელი ორი ადგილით.

ასევე ცნობილია „უაიტის" დაჯავშნული M1917 და M1918 მოდელები, თუმც სერიულ წარმოებამდე არც ერთი არ მისულა.

*თემურ ჩაჩანიძე*





## სამხრეთაფრიკული სპეცრაზმი:

# წარმატებული ოპერაციის მძიმე საზღაური

სამხრეთაფრიკული სპეცრაზმის საბრძოლო სულისკვეთება ოპერაცია „ამაზონმა“ (1980 წელს ანგოლის პორტ ლობიტუში ნავთობტერმინალის აფეთქება) არნახულ სიმაღლემდე აიყვანა.

გასაგებ მიზეზთა გამო სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკა თავისი შეიარაღებული ძალების კავშირს ამ დივერსიასთან უარყოფდა და სამაგიეროდ წარმატება საკუთარ თავზე მიიწერა ანგოლის ოპოზიციური მოძრაობის ლიდერმა ჟონას სავიმბიმ.

ლობიტუზე წარმატებამ სამხრეთ აფრიკის სპეცქვედანაყოფთა სარდლობა სხვა, უფრო რთული ოპერაციების ჩატარებისთვის წაახალისა.

თითქმის ყველაფერი, მათ შორის ქვეყნის სამხრეთში ომიც, ანგოლაში ნავთობის მოპოვებაზე იყო დამოკიდებული. რადგან ლობიტუს ტერმინალი და საწყობები მწყობრიდან იყო გამოსული, ამიტომ ნავთობი და ნავთობპროდუქტები ლუანდიდან პირდაპირ სამხრეთისაკენ მიდიოდა.

სამხრეთ აფრიკის შეიარაღებული ძალების სარდლობა ამ ნაკადის შეჩერებას ავტოკოლონებზე თავდასხმებით შეეცადა, მაგრამ ამას შედეგი არ მოჰყოლია და გადაზიდვის მოცულობაც არ შემცირდა.

ამიტომაც გადაწყდა ლუანდაში ნავთობგადამმუშავებელი ქარხნის მწყობრიდან გამოყვანა.

ქარხანა ქალაქის ნავსადგურის ჩრდილოეთით გორაკზე მდებარეობდა და ერთი მხრიდან მას უნებართვოდ აშენებული ქოხმახები, ხოლო მეორიდან კი სამრეწველო ზონა ესაზღვრებოდა. ქარხნის დასავლეთით სანაპირომდე გრძელი და ღია სივრცე იყო გადაჭიმული.

ქარხანაზე ინფორმაციის მოპოვება ღია წყაროებისგან და სამხრეთაფრიკული დაზვერვის ერთ-ერთი აგენტის დახმარებით მოხერხდა. იყო ლუანდის პორტის რეიდიდან გადაღებული რამდენიმე ფოტოსურათიც, თუმცა, ფოტოები ქარხანაზე მხოლოდ ზოგად წარმოდგენას ქმნიდა.

საჭირო იყო ობიექტის ხმელეთიდან დაზვერვა და ამისთვის შეიქმნა სარეიდო ჯგუფი, რომელსაც ლუანდის ახლოს სადაზვერვო გემი Protea მიიყვანდა.



ოპერაციის მიზანი ლუანდის ნავთობგადამამუშავებელი ქარხნის მწყობრიდან გამოყვანა იყო

ეროვნული ბიბლიოთეკა



სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის სამხედრო-საზღვაო ძალების გემი Protea

შემდეგ იწყებოდა ოპერაციის სახმელეთო ნაწილი. იმ შემთხვევაში, თუ ნაპირზე გადასხდომისას მზვერავებს აღმოაჩენდნენ, მაშინ ისინი ზაირისკენ წავიდოდნენ და იქ ანგოლის ანტისამთავრობო დაჯგუფებებს შეუერთდებოდნენ.

დავალების შესრულების შემდეგ დათქმულ დროსა და ადგილზე მზვერავებს „ვიკინგთა“ რაზმი ნაპირიდან გემი Protea-ზე გადაიყვანდა.

სახმელეთო დაზვერვა დაევალა გამოცდილ ჯეკ გრიფს, რომელმაც მეწყვილედ კაპრალი იაკობუ გერჰარდუს იოჰანეს ფურიე შეარჩია.

ფურიე, მეტსახელად სემი, იმ დროს შეიარაღებული ძალების კადრიდან რეზერვში იყო გადასული. მიუხედავად ამისა, გრიფი დაჟინებით მოითხოვდა ფურიეს ოპერაციაში ჩართვას, რადგან ისინი ერთად დიდხანს მუშაობდნენ და ერთმანეთის უსიტყვოდ ესმოდათ.

ოპერაციის დაწყებისთანავე სადივერსიო ჯგუფის მეთაურებმა სამხრეთ აფრიკის ყველა ნავთობგადამმუშავებელი ქარხანა დაათვალიერეს, გაეცნენ მათ მოწყობილობასა და მუშაობის ტექნოლოგიას.

გადაწყდა, რომ ასაფეთქებელ საშუალებად იმავე მაგნიტურ ნაღმებს გამოიყენებდნენ, რომლითაც ლობიტუს ტერმინალი ააფეთქეს. თუმცა, რატომღაც მათში სხვაგვარი დეტონატორები ჩააყენეს.

გრიფის სადივერსიო ჯგუფს ორი მთავარი სარექტიფიკაციო სვეტის აფეთქება დაევალა, რაც ქარხანას რამდენიმე თვით მწყობრიდან გამოიყვანდა. სხვები კი თხევადი გაზის ორ უზარმაზარ რეზერვუარს ააფეთქებდნენ.

კონსულტაციებზე სამოქალაქო ინჟინრებმა თქვეს, რომ სარექტიფიკაციო სვეტებს ბეტონის საძირკველში ტექნიკური ლიუკი აქვს.

სპეცრაზმელებმა გაიხსენეს, რომ ქარხნების დათვალიერებისას მართლაც ნახეს ეს ლიუკები და ყურადღება იმასაც მიაქციეს, რომ არც ერთს დამცავი ხუფი არ ჰქონდა.

რაც შეეხება მუშაობის რეჟიმს, წესის მიხედვით ერთი სვეტი ყოველთვის მუშაობდა, ხოლო მეორეზე გამწმენდი სამუშაო მიმდინარეობდა.

ერთი სიტყვით, დივერსანტი ლიუკში უნდა შემძვრალიყო და ოცკილოგრამიანი მუხტი სვეტის ფუძის ცენტრში მოეთავსებინა. ჩაკეტილ სივრცეში აფეთქების ტალღა კი ფუძე-საძირკველს დაანგრევდა და სვეტი ჩამოიშლებოდა.

ობიექტი 24 საათი შეუჩერებლად მუშაობდა და ჯარისკაცთა ოცეული იცავდა, ხოლო პერიმეტრზე საზენიტო ავტომატები იყო განლაგებული. შეიძლებოდა ოპერაციის დროს ჯარისკაცთან ან მუშასთან შემთხვევით შეხვედრა მოსალოდნელი იყო. ასეთი შემთხვევისთვის დივერსანტების თითქმის ნახევარი Patchett-ებით (პისტოლეტ-ტყვიამფრქვევ Sterling-ის მაყუჩიანი ვარიანტი), ხოლო დანარჩენები კი „კალაშნიკოვებით“ იყო აღჭურვილი.

რეალობასთან მიახლოებული ყველა წვრთნა სრული აღჭურვილობით ჩატარდა, სადაც რელიეფის სირთულისა და მანძილის სიშორის გამო ჯგუფების ხომალდებთან კავშირის დაკარგვის საშიშროება გამოჩნდა.

ოპერაციის ხელმძღვანელმა, პოლკოვნიკმა ანდრე ბესტბირმა რადიოსარელეო სადგურის ნაპირის ერთ-ერთ ამაღლებულ ადგილას მოწყობა გადაწყვიტა და ნაპირსა და გემებს შორის უწყვეტი კავშირის უზრუნველყოფა თვითონ იკისრა.

ჯეკ გრიფის ჯგუფში სემ ფურიეს გარდა, ჯეიკ რიხტერი და ჯონი პაში



სპეცრაზმელები ერთმანეთს ჟესტების ენაზე უგებენ

შედიოდნენ. ისინი დაუღალავად ვარჯიშობდნენ, ამუშავებდნენ დაბრკოლებათა გადალახვის და ტერიტორიაზე შეუმჩნევლად გადაადგილების ხერხებსა თუ ილეთებს. ყურადღება ექცეოდა სილუეტით მტერ-მოყვრის გარჩევას, იმას, თუ ვინ, ვის შემდეგ გადალახავდა კედელს, ვინ გაჭრიდა გასასვლელს ეკლიან მავთულხლართებში, ვინ დანაღმავდა სარეკტიფიკაციო სვეტს და სხვა.

ლობიტუში ჩატარებულ დაზვერვის გაკვეთილებს უქმად არ ჩაუვლია და ზოგიერთმა დეტალმა წინ წამოიწია. მაგალითად, ერთი რადიოგადამცემის ნაცვლად ორის წაღება დაიგეგმა.

სპეცრაზმის საწყობში საკმარისზე მეტი იყო გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის, კუბის, საბჭოთა ჯარისკაცთა კამუფლირებული ფორმები, მაგრამ ამჯერად ანგოლის არმიის ფორმის გამოყენება გადაწყდა.

სახეების გაშავებას აზრი არ ჰქონდა, რადგან ქარხნის ტერიტორიაზე საკმარისად იყვნენ რუსები, კუბელები, აღმოსავლეთგერმანელები და ა.შ. სპეცრაზმელები ფიქრობდნენ, რომ მოწინააღმდეგესთან პირისპირ შეხვედრისას ისინი მათ მოკავშირედ ჩათვლიდნენ.

ხანგრძლივი მზადების შემდეგ გრიფი და ფურიე, საზღვაო სპეცრაზმელთა მე-4 პოლკის მებრძოლებთან ერთად ლანგებაანიდან სარაკეტო კატარღით ღია ზღვაში გავიდნენ. მგზავრობისას კიდევ ერთხელ გადაისინჯა გეგმა და წვრილმანები დაზუსტდა.

შებინდდა თუ არა, დათქმულ ადგილზე მე-4 პოლკის მებრძოლებმა კატარღიდან ნავები ზღვაში ჩაუშვეს და მზვერავები ნაპირისკენ წაიყვანეს.

გრიფი და ფურიე ნაპირზე უხმაუროდ გადასხდნენ და სიღრმისკენ დაიძრნენ თუ არა, მაშინვე დაინახეს გორაკიდან მათკენ მომავალი სატვირთო ავტომობილი. მაშინვე ქვიშის დიუნს ამოეფარნენ.

მანქანამ ჩაიქროლა თუ არა, გრიფი და ფურიე ნავსადგურისკენ გაემართნენ და მოულოდნელად წინ შენობებს გადაეყარნენ, რომელთა შესახებაც არც დაზვერვამ და არც მათ არაფერი იცოდნენ.

თენდებოდა, ხოლო დათქმულ ადგილზე დროული მისვლისთვის შემოვლითი გზის საძებნელად დრო აღარ რჩებოდა, ამიტომ მზვერავებმა პირდაპირ წასვლა ამჯობინეს. უცბად ღამის ხედვის მოწყობილობებში რაღაც შენიშნეს.

ჯეკ გრიფი იგონებდა: „თვალი მოვ-



სპეცრაზმელთა დესანტირება შვეულმფრენიდან

კარი ღობეს ამოფარებულ ადამიანს და ღამის ხედვის აპარატში დროშიანი ფლაგშტოკი და ჭიშკარი დავინახე. ეს საკონტროლო გამშვები პუნქტი იყო.

პუნქტს გვერდი ფრთხილად ავუარეთ და ქარხნის ტერიტორიაზე შევედით. ღობის გასწვრივ ბუჩქებისაკენ მივდიოდით, როცა მოულოდნელად ჩვენ წინ რაღაც ნაგებობის სილუეტი აღიმართა და ელდანაცემმა სამხედრო ტექნიკის უზარმაზარი ავტოპარკი დავინახე. რომელიღაც სამხედრო ნაწილთან ვიყავით, მაგრამ მისთვის გვერდის ავლა შეუმჩნევლად მაინც შევძელით“.

მზვერავები ღობის გასწვრივ გარბოდნენ და ფარული სათვალთვალო პუნქტის მოსაწყობ ადგილს ეძებდნენ. ღობიდან რამდენიმე ასეულ მეტრზე ბუჩქნარით დაფარული მომცრო ბორცვი ჩანდა, სადაც თავის შეფარება შეიძლებოდა. ბუჩქნარის შუაში დიდი, გამხმარი ხე იდგა, ფოთლები არ ესხა, ამიტომ სათვალთვალო პუნქტად არ გამოდგებოდა. მიუხედავად ამისა, ეს ადგილი მაინც საუკეთესო იყო.

არადა, ირგვლივ ფეკალიების საშინელი სუნი იდგა. მზვერავებმა არ იცოდნენ, რომ ბუჩქნარს აქაურები ტუალეტად იყენებდნენ.

ფურიემ ზურგჩანთა შენიღბა და დასასვენებლად წამოწვა, გრიფი კი თვალთვალს განაგრძობდა. მეწყვილისათვის მოულოდნელად სერჟანტმა გრიფმა დიდი შეცდომა დაუშვა, მან თავისი „უზი“ დაბლა დატოვა და ხეზე ავიდა.

უცებ გრიფმა ბუჩქებისკენ მომავალი ორი კუბელი ჯარისკაცი დაინახა და გაშეშდა. რომელიმეს თავი მაღლა რომ აეწია და ხეზე გრიფი დაენახა, მზვერავი და ოპერაცია განწირული იყო.

კუბელები ხეს საუბრით მიუახლოვდნენ და ერთ-ერთმა ბუჩქთან შარდვა დაიწყო, მეორე კი შორიახლო იდგა და რაღაცას უყვებოდა.

შემდეგ გაირკვა, რომ ფურიე მშვიდად თვლემდა, როცა მისი ყურადღება ჯერ ჯარისკაცების საუბარმა მიიპყრო. წამსვე მიხვდა, რომ საქმე ცუდად იყო და სამოქმედოდ გაემზადა — „უზი“ მოიმარჯვა და ნებისმიერ წამს ცეცხლის გახსნა შეეძლო.

ამ დროს კი მეორე კუბელი ფურიეს თითქმის თავზე დაადგა და პირდაპირ ჩექმაზე დააშარდა. ფურიე ოდნავ მაინც რომ განძრეულიყო, კუბელი აუცილებლად შენიშნავდა და მაშინ დაიწყებოდა ცოდვა-მადლის განკითხვა.

მზვერავებმა ზურგჩანთები მოიკიდეს და ბუჩქებიდან გამოვიდნენ. გზად რამდენიმე ანგოლელი კენკრის შემგროვებელი შემოხვდათ, მაგრამ მათ ყურადღება არც მიუქცევიათ.

პირველი სათვალთვალო პუნქტიდან 150 მეტრში კიდევ ერთი ხშირი ბუჩქნარი დაინახეს და შიგ შევიდნენ. ბუჩქნარი უფსკრულის პირას იყო, ქვემოთ ოკეანე ბობოქრობდა.

მზვერავებმა კლდის დამრეც კალთაზე ერთი ადგილი მონიშნეს.

**(დასასრული შემდეგ ნომერში)**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# სამგზავრო ლაინერების კატასტროფები ქართულ ცაში



(დასასრული. დასაწყისი იხ. „არსენალი“ N24, 2011)

1978 წლის 2 ოქტომბერს თბილისში დაიმტვრა Як-40 (СССР-87544), რომელიც ვოლგოგრადიდან მოფრინავ-და. დაშვებისას თვითმფრინავზე მწყობ-რიდან ჰიდრავლიკური სისტემა გამოვ-იდა. დაახლოებით ერთი საათი თვით-მფრინავი აეროპორტის თავზე საწვავის დასახარჯავად დაფრინავდა. გამართულად არც ავა-რიულმა ჰიდრავლიკურმა სისტემამ იმუშავა და შასის ძირითადი დგარები არ გაიხ-სნა, ამიტომაც ეკიპაჟმა ბეტონის ბილიკის პარალელურ გრუნტის ბილიკზე დაჯდომა გადაწყვიტა. გაუხსნელი ფრ-თაუკანების გამო სიჩქარე დასაშვებს 30 კმ/სთ-ით აჭარბებდა.

მხოლოდ წინა დგარით მიწაზე შეხების გამო, თვითმფრინავის სიჩქარე არ შემცირდა. 165 კმ/სთ სიჩქარით ის ბილიკის ფარგლებს გასცდა და ფრთის მარცხენა ნაწილით აეროპორტის ღობის ბეტონის ბოძს დაეჯახა. მოძრაობა არც ამან შეაჩერა და გრუნტზე გაცურების შემდეგ 7 მ სიმაღლის თხრილში ჩავარ-და. ფიუზელაჟი ორ ადგილას გადატყდა, მაგრამ საბედნიეროდ ბორტზე მყოფთ-აგან არავინ დაღუპულა.

საქართველოს სამოქალაქო ავიაციის ისტორიაში ერთ-ერთი საშინელი შემთხ-ვევა 1982 წლის 14 აგვისტოს მოხდა. იმ დღეს სოხუმიდან ვნუკოვოში Ту-134А (СССР-65836) მიფრინავდა. მის ბორ-ტზე 76 მგზავრი, მათ შორის სამი ბავშვი იყო. დისპეტჩერის ნებართვით თვითმ-ფრინავი ასაფრენ ბილიკზე გავიდა და აფრენისთვის მომზადება დაიწყო.

იმავე გეზით ქუთაისისკენ გამო-საფრენად L-410M (СССР-67191) ემზადებოდა და მეთაურმა თვითნებური გადაწყვეტილება მიიღო — ასაფრენ-დასაფრენ ბილიკზე დისპეტჩერების დაუკითხავად გავიდა. სწორედ მა-შინ დაინახა მისმა ეკიპაჟმა მისკენ დიდი სიჩქარით მოძრავი Ту-134А. ამ უკანასკნელის მკვეთრი დამუხრუჭების და ბილიკიდან გადახვევის მიუხედავად, L-410M-ს მარჯვენა ფრთით, ილუმინა-ტორებს დაეჯახა და შუაზე გადაჭრილი ფიუზელაჟის ფრაგმენტები 300 მ-ზე გაათრია.

Ту-134А-ს ბორტზე არავინ დაშავე-ბულა. Л-410М-ის ბორტზე მყოფთაგან კი ყველა დაიღუპა.

1982 წლის 7 დეკემბერს ქუთაისის 230-ე ავიარაზმის Ми-8Т-ს (СССР-25218) გარე საკიდარზე ტვირთი გადაჰქონდა, როცა ერთ-ერთი გვარლი გაწყდა და მზიდ ხრახნს მოხვდა. წალენჯიხის რაიონში









1978 წელს თბილისში დაჯდომისას დამტვრეული Як-40

**ჩვენი დოსიე:** საბჭოთა პერიოდში საქართველოდან სამოქალაქო თვითმფრინავების გატაცების შემთხვევებიც იყო. 1970 წლის 15 ოქტომბერს მამა-შვილმა ბრაზინსკასებმა გაიტაცეს Ан-24, რომელიც ბათუმიდან კრასნოდარში მიფრინავდა. აფრენისთანავე წინა რიგებში მჯდომმა მოქალაქემ ბორტგამცილებელს კონვერტი გაუწოდა, სადაც თვითმფრინავის გატაცების შესახებ ეწერა. ბორტგამცილებელი ნადია კურჩენკო მაშინვე ეკიპაჟის კაბინისკენ წავიდა. ამ დროს წამომხტარმა შეიარაღებულმა ახალგაზრდამ ყველას ადგილზე დარჩენა უბრძანა, მამამისი კი კურჩენკოს დაედევნა, ორი ტყვია ესროლა და მოკლა. კაბინაში შევარდნილმა უფროსმა ბრაზინსკასმა ეკიპაჟს თურქეთში გაფრენა უბრძანა. ტრაპიზონში, თვითმფრინავიდან გამოსვლისთანავე, გამტაცებლები თურქულმა პოლიციამ დააკავა. მგზავრები კი უკან რამდენიმე დღეში დააბრუნეს. მამა-შვილს სასამართლომ 8 წელი მიუსაჯა. მალე თურქეთში გამოცხადდა საყოველთაო ამნისტია, რომელიც გამტაცებლებსაც შეეხო.

მეორე შემთხვევა 1983 წლის 18 ნოემბერს მოხდა. Ту-134А თბილისიდან ბათუმისა და კიევის გავლით ლენინგრადში მიფრინავდა. მის ბორტზე მყოფმა შვიდმა ახალგაზრდამ თვითმფრინავის გატაცება სცადა. ორმხრივი სროლის მიუხედავად, ეკიპაჟმა თვითმფრინავის თბილისში დაბრუნება შეძლო. უშედეგო მოლაპარაკების შემდეგ, „ალფამ“ თვითმფრინავი შტურმით აიღო. დაიღუპა შვიდი კაცი. დაპატიმრებული სამი გამტაცებლებისგან ერთს 15 წლის ვადით თავისუფლების აღკვეთა, ორს კი დახვრეტა მიუსაჯეს. ანალოგიური სასჯელი შეუფარდა სასამართლომ კიდევ ერთ პირს — მამა თეოდორეს, რომელსაც, გამოძიების აზრით, გამტაცებლებთან კავშირი არ ჰქონია.

ჩამოვარდნილ შვეულმფრენში ეკიპაჟის ოთხივე წევრი დაიღუპა.

ერთი წლის შემდეგ, 13 აპრილს, ისევ 230-ე ავიარაზმის შვეულმფრენი მოყვა კატასტროფაში. Ми-2У-ს (СССР-15735) ფრენის მარშრუტი გომბორის უღელტეხილზე გადიოდა, სადაც ამ დროს ზვავსაწინააღმდეგო სამუშაო მიმდინარეობდა. რაიონი ფრენისთვის დაკეტილი იყო, მაგრამ ეკიპაჟმა ეს არ იცოდა. შვეულმფრენი საზენიტო ქვემეხის ჭურვმა ჩამოაგდო. დაიღუპნენ ეკიპაჟის წევრები — მეთაური გოვი სამხარაძე და ბორტტექნიკოსი ხაჩატურ კარაპეტიანი.

1983 წლის 13 აპრილს Як-40 (СССР-87803) თბილისიდან ფოთში მიფრინავდა, მაგრამ უამინდობის გამო ქუთაისში დაჯდა და რეისი ამინდის გაუმჯობესების შემდეგ განაგრძო. აფრენის შემდეგ თვითმფრინავი 2400 მ-ზე უნდა ასულიყო, მაგრამ დისპეტჩერმა ზონაში სხვა თვითმფრინავის ყოფნის გამო მას 300 მ-ზე დარჩენა უბრძანა.

აფრენიდან 8 წთ-ის შემდეგ თვითმფრინავი მთას შეეჯახა. ბოლო მომენტში პილოტი შეეცადა სიმაღლის აღებას, მაგრამ უკვე გვიან იყო. დაიღუპნენ ეკიპაჟის 4 წევრი და 10 მგზავრი.

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ თბილისის ავიარაზმის თვითმფრინავები საქართველოში დარჩნენ და 90-იანი წლების დასაწყისში ქვეყანაში შექმნილი მძიმე ეკონომიკური პირობების გამო სამგზავრო ლაინერებმა თბილისის აეროპორტიდან სატვირთო რეისების შესრულება დაიწყეს.

1992 წლის 20 ივლისს, ახლად ჩამოყალიბებული ავიაკომპანია Transair Georgia-ს Ту-154Б (СССР-85222) მინვოდში მიფრინავდა. ლაინერი 20 ტონა ჩაით იყო დატვირთული. ბორტზე ამხელა მასის ტვირთის არსებობამ, თვითმფრინავის გადატვირთვა გამოიწვია — დასაშვები კომერციული დატვირთვა 18 ტ-ს შეადგენდა. გარბენის შესრულებისას, ასაფრენი




L-410-ის პილოტის თვითნებობამ, ასაფრენ ბილიკზე ორი თვითმფრინავის შეჯახება გამოიწვია. საქართველოს სამოქალაქო ავიაციის ისტორიაში ეს პირველი და იმედი ვიქონიოთ, რომ უკანასკნელი შემთხვევაა...

ეროვნული ბიბლიოთეკა



სიჩქარის მიღწევისას Ту-154Б-მ ვერ შეძლო ცხვირის აწევა. მაღალ სიჩქარეზე მან მთელი ასაფრენი ბილიკი გაიარა. მის ფარგლებს გაცდენილმა აეროპორტის ღობე გაანგრია და ალექსეევკის დასახლებაში შევარდა.

კატასტროფამ ეკიპაჟის 8 წევრი და 16 მგზავრი შეიწირა. დაიღუპა დასახლების 4 მცხოვრებიც.

**აფხაზების მიერ ნასროლი საზენიტო რაკეტა, ჩვენი ქვეყნის სამოქალაქო ავიაციის არსებობის განმავლობაში, ყველაზე მასშტაბური კატასტროფის მიზეზი გახდა**



განსაკუთრებით დიდი დანაკარგი საქართველოს სამოქალაქო ავიაციამ აფხაზეთის ომში განიცადა. 1993 წლის სექტემბერში ალყაშემორტყმულ სოხუმთან კავშირის ერთადერთი საშუალება თვითმფრინავი იყო.

1993 წლის 20 სექტემბერს სოხუმიდან აფრენისას აფხაზებმა Ту-134А (СССР-65809) გაანადგურეს.

მეორე დღეს სოჭიდან სოხუმისკენ წამოსულ Ту-134А-ს (СССР-65893) კატარღიდან „სტრელა-2"-ის ტიპის გადასატანი საზენიტო კომპლექსიდან ესროლეს იმ დროს, როცა ის დასაჯდომად ემზადებოდა.

თვითმფრინავი ზღვაში 300 მ სიმაღლიდან ჩავარდა. მის ბორტზე მყოფი 22 მგზავრი და ეკიპაჟის 5 წევრი დაიღუპნენ. 22 სექტემბერს ქართული სამოქალაქო ავიაციის ისტორიაში ყველაზე დიდი კატასტროფა მოხდა. ბაბუშერაში დაჯდომისას აფხაზებმა Ту-154Б-ს (СССР-85163) საზენიტო რაკეტა ესროლეს. მძიმე დაზიანების მიუხედავად, ეკიპაჟმა ავარიული დაჯდომა სცადა, მაგრამ მიწაზე ის დიდი სიჩქარით დაენარცხა და ცეცხლი წაეკიდა. ბორტზე მყოფი 132 ადამიანისგან 108 დაიღუპა. მათ შორის 100 მგზავრი და ეკიპაჟის 8 წევრი იყო.

23 სექტემბერს სოხუმის აეროპორტის დაბომბვისას ორი თვითმფრინავი — Ту-154Б (СССР-85359) და Ту-134А (СССР-65001) განადგურდა.

სამოქალაქო ლაინერის მონაწილეობით უკანასკნელი ავიაკატასტროფა საქართველოს ტერიტორიაზე 2000 წელს მოხდა. მაშინ ბათუმთან რუსული ბაზა ჯერ კიდევ ფუნქციონირებდა.

25 ოქტომბერს მოსკოვთან მდებარე ჩკალოვსკის სამხედრო აეროდრომიდან რუსეთის სამხედრო-საჰაერო ძალების Ил-18Д (RA-74295) აფრინდა და გეზი ბათუმისკენ აიღო. მის ბორტზე ეკიპაჟის 11 წევრი და 73 მგზავრი — მათ შორის 36 ქალი და 8 ბავშვი იმყოფებოდა. მგზავრების უმეტესობა სწორედ ბათუმის რუსული სამხედრო ბაზის მოსამსახურეები, ხოლო დანარჩენები კი მათი ოჯახის წევრები იყვნენ.

იმ დღეს ბათუმში ავდარი იყო. დაბალი ნისლიანობისა და წვიმის გამო ეკიპაჟის მეთაურმა დაჯდომა არა ზღვის მხრიდან, როგორც ეს წესისამებრ ხდება, არამედ საწინააღმდეგო – მთების მხრიდან გადაწყვიტა. 3000 მ-იდან დაშვებისას, აეროპორტიდან სულ რაღაც 12 კმ-ში, თვითმფრინავი მტირალას მთას დაეჯახა. დაიღუპა 84 კაცი.

***ალექსანდრე აფაქიძე***

**2000 წელს ეკიპაჟისა და ნაწილობრივ დისპეტჩერების დაუდევრობამ, რუსული Ил-18Д-ს ბორტზე მყოფი 84 სიცოცხლე შეიწირა, როდესაც თვითმფრინავი ბათუმთან მტირალას მთას შეეჯახა**



# ინდიელთა ომები — ლითლ ბიგ-ჰორნის ბრძოლა



XIX საუკუნის 60-იანი წლების დამდეგს აშშ-ში ჯერ კიდევ აქტუალური იყო „ველური დასავლეთის“ საკითხი. ფრონტირის („ფრონტირი“ – აშშ-ში დასავლეთის ტერიტორიებისკენ ახალმოსახლეთა გადაადგილების საზღვარი 1783-1890 წლებში) ხაზი, რომელიც ერთმანეთისგან გამოყოფდა ამერიკელი ახალმოსახლეებისა და ინდიელთა ტერიტორიებს, მდინარე მისურის არ გასცდენია. იგი მიუყვებოდა მისისიპის მომიჯნავე შტატების დასავლეთ საზღვრებს და შეჭრილი იყო კანზასისა და ნებრასკის შტატების სიღრმეში. ამ საზღვრის იქით ინდიელთა ტერიტორიები, „ველური დასავლეთი“ იწყებოდა.

მართალია, იმ დროისთვის მთელი ეს ტერიტორია ოფიციალურად უკვე აშშ-ს ეკუთვნოდა, მაგრამ ჯერ კიდევ არ იყო დაყოფილი შტატებად და იქ ინდიელთა ტომები ცხოვრობდნენ.

1865 წელს, აშშ-ში სამოქალაქო ომის დასრულების შემდგომ, ხელისუფლებას საშუალება მიეცა, ყურადღება გადაეტანა დასავლეთის ტერიტორიების ათვისებისკენ და კონგრესში გადაწყვიტეს ერთხელ და სამუდამოდ „მოერჯულებინათ“ „ველური დასავლეთი“.

სამოქალაქო ომმა (1861-65 წწ.) რამდენადმე შეაფერხა ინდიელთა შესავიწროებელი სამხედრო რეიდები და ამერიკელი ახალმოსახლეების დასავლეთში დასახლება. თუმცა, სწორედ ომის შედეგმა განაპირობა ფრონტირის გაქრობა. სამოქალაქო ომის დასრულებიდან სულ რაღაც 25 წელიწადში დაგროვდა დიდძალი ტყვია-წამალი, დაიხვეწა ცეცხლსასროლი იარაღი, გამოჩნდა ენერგიით სავსე ოფიცრობა, რომელმაც „ველურ დასავლეთში“ გადაწყვიტა სახელის მოხვეჭა.

მოჭარბებული სამხედრო რესურსები დასავლეთისკენ დაიძრა, რამაც ამერიკელებს ინდიელთა თვალუწვდენელი ტერიტორიების სწრაფად ათვისების საშუალება მისცა.

„ველური დასავლეთის“ კოლონიზაციას მოჰყვა ხანგრძლივი კონფლიქტი ინდიელებთან. მრავალმა ტომმა შეიარაღებული წინააღმდეგობა გაუწია აშშ-ს და ქვეყნის მთელი დასავლეთი 1865-90 წლებში ომის ალში გაეხვია. ეს ეპოქა აშშ-ის ისტორიაში „ინდიელთა ომების“ სახელით შევიდა.

„ინდიელთა ომების“ ისტორიაში გამორჩეული ადგილი უკავია 1876 წლის ლითლ ბიგ-ჰორნის ბრძოლას, სადაც არმიამ კატასტროფული მარცხი იწვნია. ინდიელთა კოალიციის ტრიუმფი ამერიკელთათვის მოწმენდილ ცაზე მეხის გავარდნას ჰგავდა.



გენერალი ჯორჯ კასტერი

კონგრესი, ახალმოსახლეები, მთელი სამხედრო ელიტა თავზარდაცემული იყო ლითლ ბიგ-ჰორნთან გამოცდილი და სახელოვანი გენერლის, ჯორჯ არმსტრონგ კასტერის მე-7 საკავალერიო პოლკის განადგურებით.

1874 წელს სიუს ინდიელთა კუთვნილ ტერიტორიაზე, დაკოტაში, ამერიკულმა სამთო ექსპედიციამ ოქრო აღმოაჩინა. საბადო ბლექ ჰილზში — სიუსთვის გამორჩეულ, წმინდა ადგილზე იყო.





სიუს ტომის ბელადი „შმაგი ცხენი“

სულ მალე დაკოტას ოქროსმაძიებლები მიაწყდნენ. ყოველივე ეს აშშ-ისა და სიუს ტომს შორის ომის მიზეზი გახდა.

ინდიელებმა საკუთარი არეალის დასაცავად საბრძოლო კონსოლიდაცია დაიწყეს. სიუს შეუერთდნენ შაიენების, არაპაჰოს, ბლექფუტებისა და გროს ვანტრების ტომების მეომრები. ინდიელთა კოალიცია ბრძოლის წინ დაახლოებით 2000 მეომარს ითვლიდა. „ინდიელთა ომების“ ისტორიაში ეს იყო დიდი ვაკეების ყველაზე მრავალრიცხოვანი სამხედრო ბანაკი.

კოალიციას გამოცდილი და ძლიერი ბელადები მეთაურობდნენ. მათ შორის იყო სიუსტომელი „შმაგი ცხენი“ და „მჯდომარე ხარი“.

ამ დროისთვის „მჯდომარე ხარი“ უკვე აღარ იყო სამხედრო ბელადი. იგი სულიერი ლიდერის როლში ხელმძღვანელობდა ინდიელთა ბანაკს და დიდი ავტორიტეტითაც სარგებლობდა.

ბრძოლის წინ „მჯდომარე ხარს“ ჰქონდა ხილვა, სადაც მან განჭვრიტა ინდიელთა გამარჯვება და ამერიკელ ჯარისკაცთა დამარცხება. ბელადის ამ ხილვამ დიდი სტიმული მისცა ინდიელ მეომრებს.

თავდაპირველად გადაწყვეტილი იყო, რომ ინდიელებს ერთობლივად შეუტევდნენ ამერიკელი კავალერისტებისა და ქვეითებისგან შედგენილი სამი დამოუკიდებელი ფორმირება: „უაიომინგის კოლონა“ (1248 კაცი და მეთაური გენერალი ჯორჯ კრუკი), „მონტანის კოლონა“ (477 კაცი და მეთაური პოლკოვნიკი ჯონ გიბონი) და „დაკოტის კოლონა“ (931 კაცი და მეთაურები, გენერლები ჯორჯ კასტერი და ალფრედ ტერი).

სამხედრო კამპანიის ხელმძღვანელობა გენერალ ალფრედ ტერის დაევალა.

მისი გეგმის მიხედვით, ფორმირებები 26 ივნისს მონტანის სამხრეთში, მდინარე ლითლ ბიგ-ჰორნთან უნდა შეერთებულიყვნენ, იქიდან კი ერთობლივად შეუტევდნენ ინდიელებს.

ეს მანევრი თავიდანვე შეფერხებებით დაიწყო. ერთმანეთისგან დაშორებულ შენაერთებს ერთმანეთთან კავშირი არ ჰქონდათ და შესაბამისად, კოორდინირებულად ვერ იმოქმედებდნენ.

გაუთვალისწინებელი შემთხვევა მოხდა სამხრეთ-აღმოსავლეთ მონტანაში როზბედ-კრიკთან, სადაც 17 ივნისს „უაიომინგის კოლონა“ ლითლ ბიგ-

ჰორნისკენ მიმავალ სიუს მეომრებს გადაეყარა.

ბრძოლის შემდეგ ინდიელებმა უკან დაიხიეს. თუმცა კრუკმა კოლონა შემოაბრუნა, უკან დაიხია და ბაზისკენ გაბრუნდა, ხოლო სიუს ინდიელებმა ლითლ ბიგ-ჰორნისკენ განაგრძეს გზა.

შედეგად, ამერიკელთა ექსპედიციას ყველაზე დიდი შენაერთი გამოაკლდა. ამასთან, დანარჩენ ორ შენაერთს არ ჰქონდა ინფორმაცია იმის შესახებ, რომ „უაიომინგის კოლონა“ დანიშნულების ადგილას აღარ მივიდოდა.

25 ივნისს, ლითლ ბიგ-ჰორნთან პირველი „დაკოტის კოლონის“ ერთ-ერთი ნაწილი — კასტერის მეთაურობით მოქმედი მე-7 საკავალერიო პოლკი აღმოჩნდა.

„დაკოტის კოლონის“ დარჩენილი ნაწილი ტერის მეთაურობით და „უაიომინგის კოლონა“ ლითლ ბიგ-ჰორნთან მხოლოდ 27 ივნისს გამოჩნდა, რაც ძალიან დაგვიანებული იყო.

მე-7 საკავალერიო პოლკი 12 ასეულისგან შედგებოდა. სამოქალაქო ომის შემდგომი პერიოდის ამერიკული საკავალერიო პოლკების მსგავსად მე-7 პოლკი არაფორმალურად ბატალიონებადაც იყო დაყოფილი.

იგი 1866 წელს, კანზასში, ფორტ-რაილიში ჩამოყალიბდა და აშშ-ის რეგულარული არმიის შემადგენლობაში შევიდა.

იმთავითვე პოლკი დასავლეთში დიდ ვაკეებზე პატრულირებისთვის გაიგზავნა, სადაც ინდიელთა თავდასხმებისგან ახალმოსახლეთა კოლონები და ახალშენები უნდა დაეცვა.

პოლკი 1871-73 და 1874-76 წლებში სამხრეთ შტატებში საპოლიციო ფუნქციებს ასრულებდა.

სიუს წინააღმდეგ კამპანიაში „დაკოტის კოლონის“ მეთაური გენერალი კასტერი იმ დროისთვის ერთ-ერთ გამოცდილ სარდლად ითვლებოდა. აშშ-ის არმიის ისტორიაში იგი ყველაზე ადრეულ 23 წლის ასაკში გახდა ბრიგადის გენერალი.

სამოქალაქო ომში კასტერმა სიმამაცითა და ეფექტური მანევრებით სახელი გაითქვა. მან არაერთი მძიმე



გენერალი კასტერი ჯარისკაცებს თავდადების პირად მაგალითს უჩვენებდა

დარტყმა მიაყენა კონფედერატებსა და გენერალ ლის ჯარებს, ხოლო სამხრეთელთა 1865 წლის კაპიტულაციაში დიდი წვლილი შეიტანა.

ლითლ ბიგ-ჰორნთან კასტერის დაქვემდებარებაში მყოფი 647 სამხედროსგან მხოლოდ მცირე ნაწილს ჰქონდა 6 თვეზე ნაკლები ნამსახურები.

ამერიკელთა მოკავშირე კროუ-არიკარას ტომის მზვერავებმა კასტერს შეატყობინეს, რომ ინდიელთა კოალიცია მრავალრიცხოვანი იყო.

გენერალმა შეტყობინება უგულებელყო და ფატალური შეცდომაც დაუშვა, დამოუკიდებლად მოქმედება გადაწყვიტა, თავისი ძალები სამ ნაწილად გაყო და შეტევისთვის მოემზადა. თუმცა, გენერალ ტერისა და დარჩენილი ნაწილებისთვის დალოდება შეეძლო.

ბრძოლის შემდეგ კროუს სკაუტებმა საინტერესო ამბავი გაიხსენეს. მათი თქმით, შეტევის წინ გენერალი ბევრს სვამდა და ხშირად მთვრალი იყო.

ინდიელთა ძალები ლითლ ბიგ-ჰორნზე ექვს დიდ ბანაკად იყვნენ გაშლილი. პირველი რაზმი მაიორ მარკუს რინოს მეთაურობით ბანაკებს პირდაპირ დაარტყამდა, ხოლო კაპიტანი ფრედერიკ ბენტინი მარცხენა ფლანგიდან და თავად კასტერი კი 221 კავალერისტით მარჯვენა მხრიდან შეუტევდა.

15:00-ზე ამერიკელებმა ცეცხლი გახსნეს და რინომ ბანაკს შეუტია, რომელიც ინდიელთათვის მოულოდნელი გამოდგა.

სულ მალე „შმაგი ცხენის“ მეთაურობით ინდიელ მხედართა მრავალ-



1873 წლის 45-კალიბრიანი Colt-ი



ინდიელთა საბრძოლო ცული

ეროვნული ბიბლიოთეკა

რიცხოვანი რაზმი კონტრშეტევაზე გადავიდა და რინოს უკან დაახევინა.

ამერიკელები დიდი დანაკარგით დღევანდელ რინო-ჰილზე დაბანაკდნენ და თავდაცვითი პოზიცია დაიკავეს.

ამასობაში კასტერის თვალწინ ინდიელთა ბანაკი გადაიშალა. გენერალი ესოდენ მარვალრიცხოვან მოწინააღმდეგეს არ მოელოდა და დამატებითი ტყვია-წამლის მოსატანად სასწრაფოდ კურიერი გაგზავნა.

კასტერის რაზმმა მსვლელობა განაგრძო, მაგრამ ინდიელთა თავდასხმის გამო, მდინარის ფონს ვერ გადავიდა და სტრატეგიულად მნიშვნელოვანი პოზიციაც ვერ დაიკავა.

ამერიკელებმა უკან დაიხიეს და კასტერმა დახმარების მისაღებად კურიერი კაპიტან ბენტინს გაუგზავნა. ეს უკანასკნელი დასახმარებლადაც წამოვიდა, მაგრამ გზად რინო-ჰილზე გამოუვალ მდგომარეობაში ჩავარდნილ მაიორ რინოს რაზმს წააწყდა. მათ ათასამდე ინდიელი უტევდა და კაპიტანი ბენტინი თავისი ჯარისკაცებით მათ შეუერთდა.

ინდიელმა მხედრებმა რინო-ჰილი ალყაში მოაქციეს და ძალების ნაწილი გენერალ კასტერის წინააღმდეგ გადაისროლეს.

20 წუთში ამერიკელთა ტყვია-წამლით დატვირთულმა ოთხთვალამ რინო-ჰილთან მიაღწია. ბენტინმა ალყიდან გამოსვლა შეძლო და კასტერის დასახმარებლად დაიძრა.

სულ მალე ამერიკელებს ინდიელთა სასტიკი შეტევა დაატყდათ თავს და ბენტინმა რინო-ჰილისკენ ბრძოლით დაიხია უკან.

ამგვარად, კასტერი მოწყვეტილი აღმოჩნდა რინო-ბენტინის რაზმებისგან და ვერც საჭირო ტყვია-წამალი მიიღო. გენერალმა ისევ გაყო ძალები და ახლანდელ კოლჰაუნ-ჰილთან თავდაცვისთვის მცირე რაზმი დატოვა, თავად კი ჩრდილოეთისკენ დაიძრა.

კასტერის მიერ დატოვებულ ამერიკელთა თავდაცვის ამ პოზიციას ინდიელთა დიდი რაზმი დაატყდა თავს და ხელჩართულ ბრძოლაში კოლჰაუნ-ჰილთან ამერიკელი



საბრძოლო კვერთხი

ჯარისკაცების უმრავლესობა განადგურდა, გადარჩენილებმა კი ჩრდილოეთისკენ, ახლანდელი კასტერ-ჰილისკენ გაღწევა შეძლეს.

სწორედ იქ დაიკავა გენერალმა კასტერმა თავისი უკანასკნელი პოზიცია. ეს უკვე დასასრულის დასაწყისი იყო, — ამერიკელები სასიკვდილო რკალში აღმოჩნდნენ.

ისინი კარგად ვერც კი ხედავდნენ ინდიელებს, რის გამოც სროლა შედეგს ვერ იძლეოდა, როცა ინდიელებს ხელსაყრელი პოზიცია ეკავათ და მათი ნასროლი ტყვიები თუ ისრები ამერიკელებს მუსრს ავლებდა. კასტერი და მისი ჯარისკაცები უკანასკნელ წუთამდე გმირულად იბრძოდნენ და ინდიელთა ალყის გარღვევას უშედეგოდ ცდილობდნენ, რაც ბოლოს ხელჩართულ ბრძოლაში გადაიზარდა.



თომაჰოუკი

რამდენიმე წუთში კასტერის 210-კაციანი რაზმისგან ცოცხალი არავინ დარჩა. ბრძოლის ველზე დალია სული თავად გენერალმაც.

ლითლ ბიგ-ჰორნის ბრძოლა საზარელი იყო. ინდიელთა ცხენების თქარათქურისგან მიწა იძვროდა და საშინელი მტვერი და გუგუნი იდგა. ამას ემატებოდა ინდიელთა შეუპოვარი საბრძოლო შეძახილები, დაუსრულებელი ორმხრივი სროლა...

რინო-ჰილზე ალყაში დარჩენილი რინოსა და ბენტინის ნაწილები მძიმე მდგომარეობაში იყვნენ. მათ არ ჰქონდათ ინფორმაცია კასტერის დამარცხების შესახებ და ფიქრობდნენ, რომ კასტერი ჩრდილოეთით ტერისთან შესახვედრად წავიდა.

სულ მალე ინდიელებმა შეიტყვეს, რომ ლითლ ბიგ-ჰორნს გენერალ ტერის ნაწილები უახლოვდებოდნენ, ამიტომ 26 ივნისს ალყა მოხსნეს და ბრძოლის ველი დატოვეს.

ლითლ ბიგ-ჰორნის ბრძოლა იყო ინდიელთა უკანასკნელი დიდი გამარჯვება „ველურ დასავლეთში“. აშშ-ის სამხედრო-ეკონომიკურმა და ადამიანურმა რესურსებმა ინდიელთა წინააღმდეგობა მალე გატეხეს. ფედერალურმა ძალებმა 1876-80 წლებში დიდ ვაკეებზე ინდიელთა სამხედრო წინააღმდეგობის თითქმის ყველა კერა ჩაახშვეს, ხოლო კასტერის დამარცხება აშშ-ის სამხედრო ისტორიაში „კასტერის უკანასკნელი პოზიციის“ სახელით შევიდა.

იმ ბრძოლაში ინდიელებმა ტრადიციულ მშვილდ-ისრებთან, საბრძოლო ხელცულებთან, დანებთან, ფარებთან, შუბებსა და შურდულებთან ერთად გამოიყენეს: ნახევრად ავტომატური 44-კალიბრიანი Henry, 1866 წლის 44-კალიბრიანი Winchester-ი, 1873 წლის 44/40-კალიბრიანი Winchester-ი და სხვ. ინდიელები ლითლ ბიგ-ჰორნზე Springfield-Colt-სა და ასევე ძველი მოდელის კაჟიან თოფებსაც იყენებდნენ.

ამერიკელთა აღჭურვილობაში შედიოდა: 1873 წლის 45-70-კალიბრიანი Springfield-ის კარაბინი და 1873 წლის 45-კალიბრიანი Colt-ის რევოლვერი.



ძვლის დანები

ბრძოლის წინ კავალერისტებს კარაბინისთვის 100 და რევოლვერისთვის 24 ვაზნა დაურიგეს. ზოგიერთი ოფიცერი საკუთარი გემოვნებით შერჩეულ იარაღს ატარებდა და მათ შორის იყო კასტერიც, რომელსაც 1875 წლის 50-კალიბრიანი Remingtion-ი ჰქონდა.

**მიხეილ ბარნოვი**

ეროვნული ბიბლიოთეკა




# კიბერტერორიზმთან ბრძოლის ამერიკული და ბრიტანული გამოცდილება

მიმდინარე წლის ნოემბრის ბოლოს დიდი ბრიტანეთის ხელისუფლებამ „კიბერტერორიზმთან ბრძოლის სტრატეგიული გეგმა“ გამოაქვეყნა.

უახლესი ტექნიკისა და ტექნოლოგიების განვითარებამ უფრო გააიოლა და გაამარტივა ტერორისტების საქმიანობა. დღეს მსოფლიო ელექტრონული საინფორმაციო ქსელი ნებისმიერი ქვეყნისთვის გახდა უდიდესი პოტენციური საფრთხის მატარებელი. წარსულს ჩაჰბარდა ის დრო, როცა სპეცსამსახურები ინტერნეტს მხოლოდ ინფორმაციის მოსაპოვებლად და დეზინფორმაციის გასავრცელებლად იყენებდნენ.

ამჟამად კიბერსივრცე სხვადასხვა ქვეყნის სპეცსამსახურების ფარული დაპირისპირების და ბრძოლის არენადაა ქცეული.

ცნობილია, რომ „კიბერიარაღი“ და კიბერსივრცეში ომების სცენარები უკვე დამუშავებული აქვთ აშშ-ს, რუსეთსა და ჩინეთს. ბუნებრივია, ეს სია არასრულია, რადგან ბევრი სახელმწიფო ცდილობს მაქსიმალურად გაასაიდუმლოოს კონკრეტული მიღწევები ამ სფეროში და დროზე ადრე არ გაამჟღავნოს საკუთარი პოტენციალი.

დღეს უინტერნეტოდ წარმოუდგენელია არა მარტო მოქალაქეების ცხოვრება (საქმიანი მიმოწერა, გადასახადების გადახდა, ბანკთან ანგარიშსწორება და ა.შ.), არამედ სახელმწიფო აპარატის ნორმალური ფუნქციონირება. ევროკავშირის ბევრ ქვეყანაში პარლამენტის და მთავრობის სხდომები ინტერნეტით, ღია რეჟიმში გადაიცემა.

ამავე დროს ერთიანი ელექტრონული საინფორმაციო ქსელის გარეშე შეუძლებელია სატრანსპორტო, თავდაცვის, კავშირგაბმულობის, საბანკო-საფინანსო და ა.შ. უწყებების ნორმალური მუშაობა. სწორედ ინტერნეტის შეუცვლელობამ აქცია კიბერსივრცე სპეცსამსახურებისა და ტერორისტების სამიზნედ.

**კიბერტერორიზმი ახალი საფრთხეა, რომლის წინაშეც ბევრი სახელმწიფო რეალურად დადგა**

თუ ადრე ჰაკერები იოლად გამდიდრების მსურველი ავანტიურისტები ან სათვალიანი ახალგაზრდა გენიოსები იყვნენ, დღეს „კომპიუტერული ომები“



ეროვნული ბიბლიოთეკა



კიბერსივრცეში ომების სცენარები უკვე დამუშავებული აქვს აშშ-ს, რუსეთსა და ჩინეთს

და ჰაკერების „ხულიგნობა“ ჩვეულ მოვლენად იქცა.

გასულ წლებში მათი მიზანი კომერციული ბანკების, ტოტალიზატორებისა და სამორინეების ინტერნეტგვერდების „გატეხა“ და ფინანსური აფერის დატრიალება იყო.

მაღა ჭამაში მოდისო და, ჰაკერებმა შესაძლებლობების უფრო დიდ ასპარეზზე გამოცდა მოინდომეს და მალე შეძლეს სხვადასხვა ქვეყნის თავდაცვის სამინისტროების, სპეცსამსახურების, საიდუმლო კვლევითი ცენტრებისა და სამეცნიერო ლაბორატორიების ინტერნეტგვერდებზე შეღწევა. ამ „გართობამ“ თანდათან პოლიტიკური და რელიგიური ელფერი მიიღო.

## აშშ-ის კიბერტერორიზმთან ბრძოლის სტრატეგია

რამდენიმე თვის წინ აშშ-ის მთავარმა სამხედრო უწყებამ, პენტაგონმა განაცხადა, რომ კიბერტერორისტებისგან ამერიკის ეროვნული უსაფრთხოების დასაცავად ყველაფერს გააკეთებს და „ჩვეულებრივი“ იარაღით უპასუხებს იმ ქვეყანას, საიდანაც მას „კიბერიარაღით“ შეუტევენ.

პენტაგონი აგრესიულ კიბერსტრატეგიას აქვეყნებს, სადაც „კიბერშეტევა სამხედრო მოქმედებას ნიშნავს. ამიტომ პენტაგონი სამხედრო პასუხისათვის საფუძველს ამზადებს“, — განაცხადეს ამერიკელმა სამხედროებმა.

პენტაგონმა დაასკვნა, რომ სხვა ქვეყნიდან მომდინარე კომპიუტერული შეტევა ამერიკის სახელმწიფო დაწესებულებების ინტერნეტმისამართებზე შეიძლება განხილულ იქნეს როგორც სამხედრო მოქმედება.

პენტაგონის გეგმა ჯერ სხვა ქვეყნების გაფრთხილებას ითვალისწინებს იმის შესახებ, რომ აშშ-ზე კიბერშეტევას შეიძლება მოჰყვეს რაკეტებით თავდასხმა ამ ქვეყნის სტრატეგიულ ობიექტებზე.

პენტაგონის დოქტრინის საიდუმლო ვარიანტში დაახლოებით 30 გვერდია, ხოლო გამოქვეყნებულ საჯაროში კი — 12. ამ დოკუმენტის თანახმად, საერთაშორისო სამართალი კიბერსივრცეზეც ვრცელდება.

მიმდინარე წლის ზაფხულში აშშ-ის კონგრესში დაიწყო კიბერუსაფრთხოების შესახებ კანონპროექტის განხილვა. ამ კანონპროექტის ავტორი ბარაქ ობამას ადმინისტრაციაა. დოკუმენტში ჩამოთვლილია ის გარემოებები, რომლებიც საშუალებას აძლევენ სამხედროებს, მიმართონ ქვეყნის პრეზიდენტს კიბერშეტევის თაობაზე.

დოკუმენტით განისაზღვრება კიბერშეტევის ტაქტიკა აშშ-ის სამხედრო სტრატეგიაში და საშუალებას მისცემს სახელმწიფოს, პასუხი გასცეს უცხო ქვეყნის აგრესიას.

დოკუმენტში აღწერილია ის კიბერსაშუალებები, რომლებსაც კიბერშეტევის საპასუხოდ გამოიყენებენ. მათ შორისაა ვირუსის გაშვება, სისტემების დაბლოკვა, ქსელის გათიშვა და ა.შ.

თუ კონგრესი ობამას წინადადებას მიიღებს, ჰაკერული თავდასხმისათვის მაქსიმალური სასჯელი — ათწლიანი პატიმრობა ოც წლამდე გაიზრდება.

პენტაგონის ინსტრუქციებს ბევრი აქვს საერთო იმ რეგლამენტაციებთან, რომლებითაც დარეგულირებულია რაკეტების, ბირთვული იარაღისა და დაზვერვის გამოყენება ომის შემთხვევაში. თუმცა, ამ კანონპროექტს მოწინააღმდეგეც ბევრი ჰყავს, რომლებიც ფიქრობენ, რომ კიბერიარაღი მართალია ანგარიშგასაწევი ძალაა, მაგრამ ის არ უნდა იქნეს განხილული ბირთვული იარაღის დონის შესაბამისად.

პენტაგონის ინიციატივა სადავო ხდება რამდენიმე საკითხის გამოც. მაგალითად, როგორ შეძლებს აშშ ზუსტად დაადგინოს, ვისგან მომდინარეობდა შეტევა და რის საფუძველზე უნდა იყოს ის განხილული, როგორც სამხედრო მოქმედება? ან როგორ უნდა დადგინდეს, მონაწილეობდა, თუ არა ამათუ იმ ქვეყნის მთავრობა კიბერშეტევაში?

ამერიკელი სამხედროების აზრით, ვინაიდან დიდ კიბერთავდასხმებს დიდი რესურსები სჭირდება, ძნელი წარმოსადგენია, რომ ისინი სახელმწიფოს მონაწილეობის გარეშე განხორციელდეს.

აშშ-ის კიბერსივრცეზე თავდასხმები ყველაზე ხშირად ჩინეთისა და რუსეთის ტერიტორიიდან მომდინარეობს, ასე რომ, თუ ამერიკა გადაწყვეტს, სამხედრო ძალით უპასუხოს კიბერშეტევას, მაშინ ეს მესამე მსოფლიო ომის მიზეზი შეიძლება გახდეს.

ამერიკელი სამხედროების გეგმის ყველაზე სუსტი წერტილი და საფრთხე „პატარა გენიოსები“ არიან, რომლებიც გასართობად ათას სისულელეს სჩადიან. პენტაგონელი გენერლების გაცურება პეკინიდან რომ მოინდომონ, აშშ ჩინეთის დედაქალაქზე სარაკეტო იერიშს მიიტანს?

## დიდი ბრიტანეთი კიბერტერორისტების „გემრიელი ლუკმაა“

დიდი ბრიტანეთი, უპირველესად კი ლონდონი, მსოფლიოს საფინანსო ცენტრია. იქით მიილტვიან შთამომავლობით მილიარდერი როტშილდებიც და მღვრიე წყალში თევზჭერის (უფრო ზუსტად „ფულჭერის“) „ახალგაზრდა ოსტატები“ – აბრამოვიჩ-ბერეზოვსკები.

კიბერდამნაშავეების შეტევის ყველაზე საყვარელი სფერო კი სწორედ საბანკო-საფინანსო დაწესებულებებია, სადაც ყოველდღიურად მრავალმილიარდიანი ოპერაციები ტარდება. აბა, ამ ორომ-

ტრიალში ვინ შეამჩნევს რამდენიმე ათეულათასი დოლარის გაუჩინარებას?

თავად დიდი ბრიტანეთის სამხედრო-ეკონომიკური და პოლიტიკური საიდუმლოებებიც ძალზე გემრიელი ლუკმაა სხვადასხვა ქვეყნის სპეცსამსახურებისთვის. 2011 წლის ნოემბერში ლონდონში გამართულ კიბერუსაფრთხოების საერთაშორისო კონფერენციაზე „სამთავრობო კავშირის სამმართველოს" ხელმძღვანელმა იან ლობანმა განაცხადა, რომ მიმდინარე წლის ზაფხულში კიბერტერორისტები ცდილობდნენ საგარეო საქმეთა სამინისტროს კომპიუტერულ სისტემაში შეღწევასა და ბლოკირებას.

ამავე კონფერენციაზე მაღალ ტექნიკურ დონეზე ორგანიზებული კიბერშეტევების ავტორებად დაასახელეს რუსეთისა და ჩინეთის დაზვერვის მაღალკვალიფიციური სპეციალისტები (ანუ „სამხრეებიანი ჰაკერები").

## კიბერტერორიზმთან ბრძოლის ბრიტანული გეგმა

დიდი ბრიტანეთის ხელისუფლების კიბერტერორიზმთან ბრძოლის სტრატეგიულ გეგმაში მთავარი როლი ამ ქვეყნის ერთ-ერთ ყველაზე გასაიდუმლოებულ სპეცსამსახურს „სამთავრობო კავშირის სამმართველოს" (იმავე ელექტრონული დაზვერვის სამსახურს) აკისრია.

სტრატეგიულ გეგმაში გათვალისწინებულია ბრიტანეთის პოლიციის შემადგენლობაში ახალი „კიბერსპეციალისტების" შტატების შექმნა, რომელიც შეიარაღებული ძალების სპეციალისტებთან ერთად კიბერტერორიზმს შეებრძოლებიან. ამგვარი სპეცდანაყოფი ლონდონის პოლიციაში უკვე მოქმედებს. „კიბერტერორიზმთან ბრძოლის სტრატეგიული გეგმის" შესრულებისთვის საკმაოდ დიდი თანხა – 650 მილიონი გირვანქა სტერლინგია გათვალისწინებული, რაც დღევანდელი სავალუტო კურსით ერთ მილიარდ დოლარზე მეტია.

ბრიტანეთის ხელისუფლების განცხადებით კიბერტერორიზმისა და კიბერდანაშაულის პრობლემა ძალზე აქტუალურია. მათი ცნობით, ყოველთვიურად სახელმწიფო დაწესებულებების კომპიუტერულ ქსელებზე რამდენიმეათასჯერ ხდება კიბერშეტევა.

სტრატეგიული გეგმა ასევე ითვალისწინებს კიბერდანაშაულისგან დაცვისთვის მოსახლეობის მომზადებას და ბრიტანელი სპეციალისტები რამდენიმე საინტერესო რეკომენდაციასაც გვთავაზობენ. კერძოდ:

კომპიუტერის დაცვისთვის უნდა დააყენოთ სპეციალური ანტივირუსული (უფრო ზუსტად კი ანტიჯაშუშური) პროგრამები. ამ დარგის სპეციალისტები ამტკიცებენ, რომ კიბერშეტევების 80%-ის თავიდან აცილება შესაძლებელი იქნებოდა თანამედროვე ანტივირუსული პროგრამებით; უნდა გქონდეთ უახლესი საოპერაციო სისტემა; სპამების ბლოკირების პროგრამა და ა.შ.

ინტერნეტით სარგებლობის დროს კი უნდა დავიცვათ შემდეგი უსაფრთხოების ზომები: გამოვიყენოთ საიმედო პაროლები; სოციალურ ქსელებში თქვენ შესახებ ზედმეტ პირად ინფორმაციას ნუ განათავსებთ; მაქსიმალურად დაიცავით კონფიდენციალობა; ნუ გახსნით უცნობებისგან გამოგზავნილ ელექტრონულ ფოსტაში დამალულ „ტროის ცხენს" და სხვ.

სტრატეგიული გეგმის თანახმად, „სამთავრობო კავშირის სამმართველომ" დახმარება უნდა აღმოუჩინოს კერძო კომპანიებსაც.

ტრადიციების მიმდევარი ბრიტანეთის სპეცსამსახური „კიბერსპეციალისტებს" ოქსფორდისა და კემბრიჯის უნივერსიტეტებში კი არ ეძებს, არამედ სიგარეტის კვამლით გაბოლილ კომპიუტერული თამაშების სალონებში.

ბრიტანეთის ამ სპეცსამსახურის ხელმძღვანელობა სპეციალური გამოკვლევების შემდეგ დარწმუნდა, რომ ჯაშუშური კომპიუტერული თამაშების მოყვარული თინეიჯერები კარგად ერკვევიან უახლეს ტექნოლოგიებში და სპეცაგენტის საქმიანობაზეც უკვე აქვთ წარმოდგენა.

მომავალი „ჯეიმს ბონდების" გამოყენება თავდაპირველად სახელმწიფო კომპიუტერული სისტემების კიბერშეტევებისგან თავდასაცავად და ფარული მოსმენებისთვის იგეგმება, შემდეგ კი შესაძლებელია უფრო რთული დავალებების შესრულებაც მოუხდეთ.

**ბესიკ ალადაშვილი**

***ექსპერტი ეროვნული უსაფრთხოების საკითხებში, უშიშროების გადამდგარი პოლკოვნიკი***



ინტერნეტით სარგებლობის დროს აუცილებელია უსაფრთხოების გარკვეული ზომების დაცვა

ეროვნული ბიბლიოთეკა



# ველიზარიუსი

## 505-565

**ველიზარიუსი აღმოსავლეთ რომის იმპერიის იმპერატორ იუსტინიანე I-ის დროს ბიზანტიური ძალების მხედართმთავარი იყო. იცავდა აღმოსავლეთ იმპერიას სპარსელებისგან, ხელახლა დაიპყრო იტალია და მართალია, ხანმოკლედ, მაგრამ მაინც აღადგინა დასავლეთი იმპერია, კონსტანტინოპოლი კი როგორც შინა, ისე გარე მტრებისგან გადაარჩინა.**

### ქრონოლოგია

* 505 — დაიბადა ილირიაში.
* 529 — შეუერთდა იმპერიის ჯარს.
* 530 — გაიმარჯვა სპარსეთში, დარასთან.
* 532 — კონსტანტინოპოლში ამბოხება ჩაახშო.
* 533-34 — ჩრდილოეთ აფრიკაში ბარბაროსებს შეუტია და მათი მეფე დაატყვევა.
* 535 — იტალიის ოსტგუთებისგან გათავისუფლება ბრძანა.
* 536 — დაიპყრო ნეაპოლი და რომი.
* 537-38 — გაუძლო გუთების ალყას რომში.
* 540 — აიღო რომი და რავენა. გუთებს დანებდნენ.
* 542 — ისევ სპარსელებს ებრძვის.
* 544 — დაბრუნდა იტალიაში საბრძოლველად.
* 548 — გამოიძახა იუსტინიანემ.
* 559 — კონსტანტინოპოლს ჰუნებისგან იცავს.
* 565 — გარდაიცვალა მარტში.

### იმპერიის ჯარის მხედართმთავარი

ველიზარიუსი ბალკანეთის პროვინცია ილირიაში დაიბადა, იმპერიის ჯარში შევიდა და უკვე 25 წლისა მხედართმთავარი გახდა. 529-531 წლებში სპარსელებთან იუსტინიანეს ლაშქრობაში ისახელა თავი. თავისი ცოდნა და უნარი შორი მოქმედების ბრძოლაშიც გამოავლინა და გადამწყვეტ ბრძოლაში გაითქვა სახელი. ბიზანტია სპარსელთა იერიშისგან დაიცვა და მცირე აზიასა და სირიაში მტერს სასტიკი ბრძოლა გაუმართა. 530 წელს დარასთან ბრძოლაში თავის ჯარზე ბევრად აღმატებული სპარსელები დაამარცხა. თუმცა 531 წელს სურასთან (კალინიკუმი) დამარცხდა და იუსტინიანეს დაზავებამ მოუწია მტერთან.

532 წელს იუსტინიანე კინაღამ ტახტიდან გადააგდეს „ნიკას" ამბოხების დროს. აჯანყება დაიწყო იპოდრომზე, ეტლების რბოლის დროს. გულშემატკივრები ეტლების ფერების მიხედვით რამდენიმე ჯგუფად იყოფოდნენ: ყველაზე გავლენიანი „მწვანე" და „ცისფერი" ჯგუფები იყვნენ. „ცისფრებმა" დაჯაბნეს „მწვანეები", რომლებმაც იუსტინიანეს ლოჟასთან მოიყარეს თავი და გადადგომა მოსთხოვეს. კონფლიქტის წამომწყებნი შეიპყრეს და დასაჯეს. ამან გააერთიანა „მწვანეები" და „ცისფრები" და დაიწყო მასობრივი არეულობა. ამბოხების ნამდვილი მიზეზი დიდი გადასახადები და საეკლესიო პოლიტიკა იყო.

ველიზარიუსმა მეამბოხეები იპოდრომზე შეყარა და 30000 კაცი სიცოცხლეს გამოასალმა.

ველიზარიუსმა ცოლად შეირთო ანტონინა, იმპერატრიცა თეოდორას ერთგული სეფექალი.

533 წელს იუსტინიანემ ველიზარიუსი მცირე რაზმეულით ბარბაროსებთან საბრძოლველად გაგზავნა. ველიზარიუსმა ისინი რამდენიმე თვეში გაჟლიტა, აიღო კართაგენი, დაატყვევა ბარბაროსთა მეფე გელიმერი და კონსტანტინოპოლში ტრიუმფით დაბრუნდა.

სულ რაღაც 8 ათასი მეომრით მოახერხა რომის შენარჩუნება გუთთა 50-ათასიანი არმიის წინააღმდეგობის მიუხედავად.

ასეთი ნიჭიერი მხედართმთავრით გათამამებულმა იუსტინიანემ უფრო ამბიციური გეგმა დასახა — ოსტგუთებისგან დაპყრობილი იტალიის ხელახლა დამორჩილება. ველიზარიუსმა მხოლოდ და მხოლოდ 8000 კაცით ჯერ ნეაპოლი და სიცილია დაიკავა, მერე კი რომისკენ გასწია. სუსტმა, რომანიზებულმა ოსტგუთთა ლიდერმა თეოდატუსმა თავს გაქცევით უშველა, მაგრამ თავისივე ხალხი წამოეწია რავენასკენ მიმავალს და სიკვდილით დასაჯა.

თეოდატუსი მებრძოლმა ვიტიგესმა შეცვალა და უკან დაბრუნდა, რათა რომს შემოწყობოდა. ურიცხვი მტრით გარემოცულმა ველიზარიუსმა ერთ წელს გაძლო. საბოლოოდ ოსტგუთებმა რავენასკენ გასწიეს, ველიზარიუსი კი მათ დაედევნა. ოსტგუთებმა დანე-

ველიზარიუსის სარდლობით ბიზანტიელებმა ბევრ გამარჯვებას მიაღწიეს



ბება და დასავლეთის იმპერატორად ველიზარიუსის აღიარება ამჯობინეს. ველიზარიუსმა უარი განაცხადა. იუსტინიანე შეშინდა, მომძლავრებულმა ველიზარიუსმა ჩემი გვირგვინის ხელში ჩაგდებაც არ მოისურვოსო, თავისი მხედართმთავარი უკან გაიწვია.

### რომის აღება

ბიზანტიონს კი კიდევ ერთხელ დაემუქრა საფრთხე აღმოსავლეთიდან. 542 წელს ველიზარიუსმა სპარსელები უკუაქცია, მაგრამ იუსტინიანემ ორგულობაში დასდო ბრალი და მხედართმთავრობა ჩამოართვა. ის ანტონინამ და თეოდორამ იხსნეს. 544 წელს ველიზარიუსი სპარსელებთან საბრძოლველად დაბრუნდა, მაგრამ უკან, იტალიაში გაგზავნეს, რადგან მისი დატოვებული მმართველები უკვე ველარ ინარჩუნებდნენ იტალიას. ველიზარიუსმა უმეომრებოდ და უფულოდ რომის ხელახლა აღება დააპირა, სანამ ერთხელ კიდევ გამოიძახებდნენ უკან თეოდორას სიკვდილის შემდეგ.

ველიზარიუსს ნება დართეს, გადამდგარიყო, მაგრამ 559 წელს ისევ გამოიძახეს კონსტანტინოპოლის კედლების დასაცავად და ბულგარელთა გასადევნად. იუსტინიანეს ეჭვის გასაფანტავად არც ამან იკმარა და 562 წელს შეთქმულების ბრალდებით ველიზარიუსი დაატუსაღეს. მხედართმთავარი ერთი წლის შემდეგ გაათავისუფლეს და აღარც დაბრუნებია სამხედრო სამსახურს. გარდაიცვალა 565 წელს.

ბიზანტიელებს იტალიის შესანარჩუნებლად ძალა აღარ ჰქონდა... 




ბა გუთთა 50-ათასიანი არმიის წინააღმდეგობის მიუხედავად. მან მილვიანის ხიდი გაამაგრა, მაგრამ ამ დროს დაქირავებული ჰუნი მებრძოლები გუთების მხარეს გადავიდნენ. ველიზარიუსმა მათი დაბრუნება სცადა, მაგრამ ვერაფერს გახდა. გუთები შეტევაზე გადავიდნენ, მაგრამ ველიზარიუსმა და მისმა მებრძოლებმა 1000 კაცი გაჟლიტეს. უკან დაბრუნებისას, ღამით, ველიზარიუსი მისმა მებრძოლებმა სიბნელეში ვერ იცნეს და ჭიშკრის გაღებაზე უარი უთხრეს. ველიზარიუსსაც რაღა დარჩენოდა, უკან გაბრუნდა და გუთებს ჩაუდგა კვალში. ერთსაათიან ხელჩართულ შეტაკებას უვნებელი გადაურჩა.

გუთებმა ქალაქის კედლებზე საალყო კოშკების მიდგმა დააპირეს, მაგრამ ქალაქის მცველებმა მათ გამწევ ხარებს ისრები დაუშინეს. შემდეგ ადრიანეს საფლავი რომ შებილწვისგან გადაერჩინათ, მისი ქანდაკება დაამტვრიეს და მტერს დაუშინეს ნატეხები. ამ დროს ველიზარიუსმა გუთებს ზურგიდან შეუტია და მათი 30-ათასიანი ჯარი დაამარცხა.

● გუთებმა ველიზარიუსის არმიის შიმშილით სულის ამოხდა გადაწყვიტეს. იგი ხანმოკლე ზავზე დათანხმდა მათ, ამასობაში კი მაშველი ჯარი შეიპარა ქალაქში. ველიზარიუსმა 2000 ცხენოსანი აფრინა ტოსკანაში. ამავდროულად კი გუთებმა ქალაქის შემოგარენი ააოხრეს და რომაელების მაგივრად თვითონ აღმოჩნდნენ შიმშილის წინაშე. ერთი წლისა და ცხრა დღის შემდეგ ისინი ქალაქს გაეცალნენ.

*მოამზადა*
*ლევან ინასარიძე*



(დასასრული. დასაწყისი იხ. „არსენალი“ N14, 2011)

# „...დურ აზ გორგასარ“...

„ხოლო ვახტანგ მეფესა შეექმნა ჩაბალახი ოქროსი, და გამოესუა წინათ მგელი და უკანათ ლომი; და რომელსა კერძსა იძლეოდიან ქართველნი, მუნით-ცა მიმართის და მოსრის სპისა მისგან სპარსთასა, ვითარცა ლომმან კანჯარნი. მიერითგან ვერ-ღა-რა შეუძლებდეს სპარსნი წყობად მისა, რამეთუ დაისწავლეს იგი, რომელსა ეწერა მგელი და ლომი, და ვითარცა იხილიან ვახტანგ, თქუან: „დურ აზ გორგასარ“, რომელ არს ესე: „მირიდეთ თავსა მგლისასა“ და მის მიერ სახელ-ედვა ვახტანგ მეფესა გორგასალ“.

„ქართლის ცხოვრება“;
ჯუანშერი, „ცხოვრება ვახტანგ გორგასალისა“.

სასანიდური ირანის გეგმები არ გამართლდა, ირანელთა დახმარებით გამეფებული მცირეწლოვანი ვახტანგი ბევრად უფრო ძლიერი, მტკიცე, მებრძოლი და ეროვნული მმართველი გამოდგა, ვიდრე ეგონათ, ვახტანგი არათუ აღარ ემორჩილებოდა ირანის სამეფო კარს, არამედ ეწინააღმდეგებოდა კიდეც. ირანელებს მოთმინების ფიალა მაშინ აევსოთ, როდესაც ვახტანგმა მათ დაუკითხავად სამხედრო კავშირი შეკრა ირანის იმპერიის უმთავრეს მტერთან, ბიზანტიის კეისარ ლეონთან. ცხადზე ცხადი იყო, რომ ირანი ყოფილი სამხედრო მოკავშირისა და ვასალის ასეთ გათავხედებას დაუსჯელს არ დატოვებდა.

სასანიდური ირანის შეიარაღებულ ძალებზე ჩვენ უკვე ვწერდით და კიდევ ერთხელ აღვნიშნავთ, რომ ირანი V საუკუნეში კავკასიიდან არაბეთამდე და მცირე აზიიდან შუა აზიამდე გადაჭიმული უდიდესი და უძლიერესი სამხედრო იმპერია იყო. უპრობლემოდ შეეძლო ასიათასობით მეომრის შეიარაღება და ბრძოლის ველზე გაყვანა. ირანულ ჯარს ჰქონდა შესანიშნავი შეიარაღება: საალყო და სამხედრო-საინჟინრო ტექნიკა, მათი შეიარაღებული ძალები ელიტური გვარდიისგან, მძიმე და მსუბუქი კავალერიისა და ქვეითი ნაწილებისაგან შედგებოდა. მათგან განსაკუთრებულ ადგილს მაინც მძიმე კავალერია იკავებდა. ისინი იყვნენ ძველი ირანული კატაფრაქტული სისტემის ცხენოსნები, რომელთაც სწორ ველზე ბრძოლისას თითქმის კონკურენტი არც ჰყავდათ მაშინდელ მსოფლიოში. ირანის უპირველესი მტრები კი ბიზანტიის იმპერია და აზიის მეომარი ტომები იყვნენ.

სასანიდების სამეფო კარს ყველა იმპერიის მსგავსად ჰქონდა საიდუმლო სამხედრო სამსახური, ერთგვარი „დაზვერვის დეპარტამენტი“, რომელიც იმპერიის როგორც შიდა, ასევე საგარეო სიტუაციას აკონტროლებდა. ირანს ნახევრად დამორჩილებულ საქართველოშიც აუცილებლად ეყოლებოდა ჯაშუშები, ამიტომ ვახტანგმა ბრძოლის დაწყებამდე არასასურველ პირთა წმენდა ჩაატარა, — ზოგი ქვეყნიდან გააძევა, ზოგი საპყრობილეში ჩასვა, ზოგი კი სიკვდილით დასაჯა.

ვახტანგმა, რა თქმა უნდა, იცოდა, რომ მძლავრ ირანის სახელმწიფოსთან ბრძოლა გაუჭირდებოდა, ამიტომ საგულდაგულოდ ემზადებოდა. ააშენა არაერთი ციხესიმაგრე და თავდაცვითი ნაგებობა, დღედაღამ იჭედებოდა საბრძოლო იარაღი და იწვრთნებოდა ჯარები, იგეგმებოდა საბრძოლო ოპერაციები. თუმცა, პატარა საქართველო უდიდეს ირანთან საომრად როგორც უნდა მომზადებულიყო, ძალები მაინც არათანაბარი იქნებოდა, ამიტომ ბრძოლაში მოკავშირეების — ოსი და ჰუნი მეომრების, განსაკუთრებით კი ბიზანტიის იმპერატორის დახმარების იმედი ჰქონდა.

457 წელს ირანელთა ჯარები, რომელთა რიგებში არაერთი გამყიდველი და ვახტანგის მოწინააღმდეგე ქართველიც იყო, საქართველოში შემოვიდნენ. ვახტანგმა მაშინვე აფრინა მაცნე ბიზანტიის კეისართან, მაგრამ მას ამ დროს ქართველებისათვის არ ეცალა, — ხაზარებს ებრძოდა. ქართველები მარტო აღმოჩნდნენ ირანელთა პირისპირ. ირანელებმა გაიარეს შიდა ქართლი, მცხეთა და თბილისამდე დიდი წინააღმდეგობის გარეშე მიაღწიეს. **სწორედ მტკვრისა და არაგვის ხეობაში ჰქონდა ვახტანგს თავდაცვითი პოზიციები და ძირითადი ძალები თავმოყრილი. არსებობდა საფრთხე სწორ და გაშლილ ველზე მრავალრიცხოვან ირანელებთან ქართველთა ჯარის დამარცხებისა, ამიტომ ვახტანგი მოხერხებული მანევრირებით პარტიზანული და ნახევრად პარტიზანული ბრძოლებით, ასევე ბუნებრივი დაბრკოლებებით ცდილობდა მტრის განადგურებას.** ძირითადი ბრძოლები კი, როგორც ითქვა, მცხეთის მისადგომებთან გაიმართა. მცხეთას ჰქონდა როგორც დიდი სამხედრო-სტრატეგიული, ასევე იდეოლოგიური და ფსიქოლოგიური მნიშვნელობა.

ჯერ ერთი, მისი დაკარგვის შემთხვევაში მტერს გზა ეხსნებოდა არაგვის ხეობისა და დასავლეთ საქართველოსაკენ, იკავებდა სტრატეგიულ გზებს, ამასთან, მცხეთა იყო სახელმწიფოს დედაქალაქი და რელიგიური ცენტრიც არა მარტო საქართველოს, არამედ მთელი საქრისტიანოსთვის იერუსალიმის შემდგომ ყველაზე წმინდა ქალაქი, სადაც ქრისტეს კვართი ინახებოდა, მისი დაკარგვა კი უდიდეს უარყოფით ფსიქოლოგიურ გავლენას მოახდენდა არა მარტო ქართველთა ჯარზე, არამედ მთლიანად ერზე.

ეს იცოდა მოწინააღმდეგემაც, ამიტომ მძლავრი იერიშებით ცდილობდა მდინარის ფონის გადალახვას და ქართველთა პოზიციების გარღვევას. ბრძოლები გაიმართა მცხეთის მისადგომებთან, მტკვრის სანაპირო ზოლზე.

აქ გამოჩნდა ვახტანგ მეფის როგორც ფიზიკური ძალა და სიმამაცე, აგრეთვე, მისი ბრწყინვალე სტრატეგიული აზროვნება. ვახტანგი მტრის ჭარბ ძალებთან ყველა ოპერაციას სწორად და გააზრებულად გეგმავდა, თავად იყო ყველა მეომრისთვის მა-

გალითი და იქ ჩნდებოდა, სადაც ყველაზე მეტად უჭირდათ ქართველებს. ლეგენდის მიხედვით, ამ ბრძოლებში იშვა ვახტანგ მეფის სახელოვანი მეტსახელიც — „გორგასალი“. როგორც „ქართლის ცხოვრება“ მოგვითხრობს, მუდამ წინა ხაზზე მყოფი ვახტანგი აღჭურვილი იყო მოელვარე აბჯრითა და ოქროს მუზარადით, რომლის უკანა მხარეს ლომი იყო გამოსახული, წინ კი — მგელი. ყველგან, სადაც ვახტანგის მგლისთავიანი მუზარადი გამოჩნდებოდა, სპარსელები გარბოდნენ და ერთმანეთს შეშინებულები აფრთხილებდნენ,

„დურ აზ გორგასარ“, რაც ნიშნავდა, „მოერიდეთ თავს მგლისასა“.

ირანელთა სამხედრო გეგმები არ გამართლდა. ოთხი თვის განმავლობაში წარმოებული ბრძოლების შემდეგ, მათ ვერც ვახტანგ გორგასლის დატყვევება შეძლეს და ვერც მისი დამარცხება. ამასობაში ბიზანტიელთა ჯარებიც გამოემართნენ საქართველოს დასახმარებლად. სავარაუდოდ, ბიზანტიელები მიხვდნენ, რომ ვახტანგი ირანელებს მათ გარეშეც დაამარცხებდა და მოკავშირე აღარ დაკარგეს, ირანელების მდგომარეობა გართულდა, მათ ისედაც უამრავი პრობლემა ჰქონდათ და ვახტანგ გორგასალს დასაზავებლად მსტოვრები მიუგზავნეს. ზავის პირობების თანახმად, ირანმა აღიარა ვახტანგ გორგასლის სახელმწიფოს ხელუხლებლობა და მისი უფლებები კავკასიის ქედიდან კასპიის ზღვამდე, სამაგიეროდ, ვახტანგი ხდებოდა მათი სამხედრო მოკავშირე და საჭირო დროს ვალდებული იყო, თავისი ჯარებით მონაწილეობა მიეღო ირანელების სამხედრო კამპანიებში.

მალევე ვახტანგ გორგასალმა მიიღო კიდეც ბრძანება ირანის ძლიერებისათვის ინდოეთში წარმოებულ სამხედრო ლაშქრობაში მონაწილეობის მისაღებად.

ვახტანგ გორგასლის ლეგენდარული ცხოვრებიდან ყველაზე დაუჯერებელი სწორედ მისი ინდოეთში ლაშქრობაა, სადაც ძნელია, გაარკვიო, რაა გაზღაპრებული და რა — სიმართლე. რეალური მხოლოდ ის არის, რომ ვახტანგს ამ სამხედრო ლაშქრობით კარგად უნდა დაენახა ირანის როგორც სიძლიერე, ასევე გეგმები. სავარაუდოდ, მიუხედავად იმისა, რომ გორგასალი ირანის ძლიერებისათვის იბრძოდა, ალბათ, მათთან მომავალი ბრძოლის გეგმასაც ადგენდა, რადგან ხვდებოდა, რომ ადრე თუ გვიან, ირანი იმავეს უმზადებდა ქართველ ხალხსაც, რასაც სხვა სახელმწიფოებს.

შორეული ლაშქრობებიდან დაბრუნებული ვახტანგ გორგასალი ანტიირანულ რეფორმებს იწყებს. მან უარი შეუთვალა შაჰ პეროზს ბიზანტიასთან საომრად წასვლაზე, ამასთან, დაუპირისპირდა ირანის მოკავშირე ყველა ქართველს. 482 წელს ვახტანგმა მოაკვლევინა ისტორიისათვის კარგად ცნობილი ვარსქენ პიტიახში, რომელიც ირანის სამეფო კარის დიდი ნდობითა და პატივისცემით სარგებლობდა. ეს უკვე ბრძოლის გამოცხადებას ნიშნავდა.

**ვახტანგ გორგასალი უთუოდ ხვდებოდა, რომ ირანთან თანასწორი ურთიერთობა შეუძლებელი იყო. ირანისათვის ქართული სახელმწიფოებრიობა ყოველთვის მიუღებელი იქნებოდა და მაშინ გააუქმებდა, როცა ქართველების მოკავშირეობა აღარაფერში დასჭირდებოდა. ამიტომაც საჭირო იყო მისი უღლისაგან გათავისუფლება. სწორედ ეს გახდა გორგასლისა და მთლიანი საქართველოს უმთავრესი ამოცანა.**

ირანული უღლისაგან გათავისუფლებას ცდილობდნენ მეზობელი სომხეთიც და ალბანეთიც, რომლებიც სიხარულით შეხვდნენ ძალების გაერთიანების იდეას. დახმარების იმედი იყო ბიზანტიისა და ჩრდილოკავკასიელთაგანაც, გორგასალს განსაკუთრებით მეომარი ჰუნების იმედი ჰქონდა. ისინი ამ დროს შუა აზიიდან და ჩინეთის საზღვრებიდან ევროპამდე და რომის იმპერიამდე უზარმაზარ ტერიტო-



ვახტანგ გორგასალი ნადირობისას

ეროვნული ბიბლიოთეკა



გორგასლის რეზიდენციის უჯარმის ციხის ნაგრევები

რიებზე იყვნენ გაშლილნი. მომთაბარე ჰუნები უამრავ წვრილ ტომად იყვნენ გაფანტული, მათმა ლეგენდარულმა მმართველმა ატილამ ჰუნთა ტომების გაერთიანება მხოლოდ ნაწილობრივ და ისიც მხოლოდ დროებით შეძლო. ჰუნების რამდენიმე ტომი ამ დროს კავკასიის მახლობლად ვოლგა-დონის სტეპებსა და ტრამალებში ცხოვრობდნენ და ნადავლითა და დაქირავებული სამხედრო საქმით არსებობდნენ. ირანელთაგან შეწუხებულმა ჰუნთა ბელადებმა გორგასალს დახმარება აღუთქვეს.

**გორგასალი სრული კავკასიური ანტიირანული კოალიციის სარდლად იქცა.** აჯანყებულთა გაერთიანებულმა ჯარებმა პირველ წელს ქართლის საზღვრებიდან გარეკეს კიდეც ირანელები. ყველაფერი გეგმის მიხედვით მიდიოდა, მაგრამ მოღალატე სომეხმა ნახარარმა გასცა სამხედრო სამზადისის საბრძოლო გეგმა, რის გამოც ირანელთა ჯარები მოსალოდნელზე ადრე დაიძრნენ კავკასიისაკენ.

**ვახტანგის დასახმარებლად მალევე მოვიდა სომეხთა ჯარი ვარდან მამიკონიანის სარდლობით, მაგრამ არ ჩანდნენ ბიზანტიელები. ისტორიული ცნობების მიხედვით, რამდენიმე ათასის ნაცვლად, მხოლოდ სამასამდე ჰუნი მეომარი ჩამოუვიდა ვახტანგს.** გორგასალი და ვარდან მამიკონიანი ქართველ-სომეხთა ჯარებით ქვემო ქართლის მთებში დაბანაკდნენ, ირანელების სამხედრო ბანაკი კი, სავარაუდოდ, დღევანდელი გარდაბნის ტერიტორიაზე, მტკვრის ნაპირას იყო გაშლილი, მოკავშირეები არ ჩანდნენ, დაბლობზე ჩასვლა და გაშლილ ველზე ირანელთა მრავალრიცხოვან ჯართან ბრძოლა საშიში და ერთობ სარისკო იყო, მაგრამ დრო აღარ იცდიდა, დახმარების მოლოდინში შეიძლებოდა ირანელთა ლაშქარს მტკვარი გადაელახა და ქართლის აოხრება დაეწყო, აელო ძირითადი გარნიზონების გარეშე დარჩენილი ქართული ციხეები. ვახტანგი ცდილობდა სომხები დაერწმუნებინა, მტკვრის ხეობაში ჩასულიყვნენ და გადამწყვეტი ბრძოლა გაემართათ. მეორე დილით ქართველ-სომეხთა გაერთიანებული ლაშქარი მტკვრის ხეობაში საბრძოლველად ჩავიდა. ბრძოლის დასაწყისში ვარდანმა და გორგასალმა მედგრად შეუტიეს მოწინააღმდეგეს და უკან დაახევინეს კიდეც, მაგრამ გადამწყვეტ მომენტში მოღალატე სომეხი ნახარარების ერთმა ნაწილმა, რომელიც ირანელებთან წინასწარ იყო შეთანხმებული, ბრძოლის ველი მიატოვეს და ამან ისედაც მცირერიცხოვან ქართულ-სომხურ ლაშქარში არეულობა და პანიკა გამოიწვია. ირანელებმა გაიმარჯვეს, ვახტანგმა და მამიკონიანმა დიდი დანაკარგით დაიხიეს უკან.

**მთელი ძალით ამუშავდა სპარსეთის იმპერიის აგენტურა და გორგასლის მოკავშირეები ზოგი ძალით, ზოგი მუქარით, ზოგი კი მოსყიდვით ჩამოაშორეს ბრძოლას.**

ქართველები მარტო აღმოჩნდნენ ირანთან პირისპირ, მაგრამ ბრძოლა მაინც გრძელდებოდა. გორგასალი რამდენიმე წლის განმავლობაში ცდილობდა თავგანწირული ბრძოლით ირანელთა გაძევებას.

**ისტორიკოსთა გამოთვლით 503 წელს, 60 წელს გადაცილებულმა ვახტანგმა უკანასკნელი ბრძოლა გამართა, — თანამედროვე უჯარმისა და ივრის მიდამოებში ირანელთა მრავალრიცხოვან არმიას შეება. რამდენიმე დღეს გრძელდებოდა სისხლისმღვრელი შეტაკებები.**

ბრძოლა ქართველების იერიშით დაიწყო. ბუნებრივია, მცირერიცხოვანი ჯარის შეტევა მოულოდნელი იქნებოდა ირანელთათვის. ეს კარგად გამოიყენა გორგასალმა და მტრის მოწინავე რიგები იქამდე გადაქელა, სანამ სრულად განლაგებას მოასწრებდნენ. აქ კი მოხდა ის, რაც დღემდე ბურუსითაა მოსილი. ლეგენდის მიხედვით, ფიცხელ ბრძოლაში გორგასალს ისარი სტყორცნა ყოფილმა მონამ, გარღვეულ ჯაჭვის პერანგში ისარმა იოლად გაატანა და მეფე იღლიაში სასიკვდილოდ დაჭრა. ალბათ, ვერასოდეს გავიგებთ, რა მოხდა ბრძოლის ველზე და რა გახდა გორგასლის სიკვდილის მიზეზი, ის კი ცნობილია, რომ სასიკვდილოდ დაჭრილმა გორგასალმა არ მიატოვა ბრძოლის ველი და იქამდე იბრძოდა, ვიდრე ირანელთა ჯარები არ უკუაქცია და უკანასკნელი ბრძოლა გამარჯვებულმა არ დატოვა. გორგასალი უჯარმის ციხესიმაგრეში აღესრულა. ლეგენდარული მეფე მცხეთაში, სვეტიცხოვლის ტაძარშია დაკრძალული.

P.S. ქართულმა ეკლესიამ ვახტანგ გორგასალი წმინდანად შერაცხა. ქართველმა ხალხმა საყვარელი მეფის სახელი ლეგენდად აქცია და რეალურთან ერთად მითური ამბებიც მიაწერა.

ჯუანშერი გადმოგვცემს მის ანდერძს: „თქვენ, მკვიდრნო ქართლისანო! გაიხსენეთ ჩემი სიკეთე, ის, რომ პირველად ჩემი სახლისაგან მოიღეთ ნათელი საუკუნო და სახლსა ჩემსა ნუ შეურაცხყოფთ და ბერძენთა სიყვარულს ნუ მიატოვებთ“.

ვახტანგმა აამაღლა ქართული ეკლესიის ავტორიტეტი მსოფლიოში, დააარსა დედაქალაქი თბილისი, ააშენა უამრავი ციხესიმაგრე, შექმნა ქართული დროშა „გორგასლიანი“.

ისტორიულ მეხსიერებაში იგი დარჩა ლეგენდარულ სარდლად და თავგანწირულ მეომრად, რომელმაც მთელი სიცოცხლე საქართველოს კეთილდღეობისთვის ბრძოლას შეალია.

**გიორგი ბერიძე**



სპეცსამსახურები ამ ძვირად ღირებულ საიარაღო კომპლექსს ანტისნაიპერული ბრძოლისთვის იყენებენ

# ყველაზე ზუსტი ანტიმატერიალური სნაიპერული შაშხანა

## CHEYTAC INTERVENTION M200-ით 2 კმ-ის (!) სიშორიდანაც შეიძლება ადამიანის დაზიანება

მსხვილკალიბრიანი სნაიპერული შაშხანები ძალზე პოპულარულია მთელ მსოფლიოში. ქართული არმიის შეიარაღებაშიც არის რამდენიმე ტიპის 12,7 მმ კალიბრის სნაიპერული შაშხანები, მათ შორის — „ბარეტიც". თუმცა, მსხვილკალიბრიან სნაიპერულ შაშხანებს დიდ მანძილზე სროლისას დაბალი სიზუსტე აქვთ და ამიტომაც მათ, ძირითადად, მანქანების, რადიოლოკაციური სადგურების თუ აეროდრომებზე მდგარი თვითმფრინავების თუ



ამ მშვენიერმა ქალმა არანაკლებ მშვენიერი მოტოციკლეტი მრისხანე საბრძოლო მანქანად აქცია, როდესაც მასზე 12.7 მმ-იანი სნაიპერული შაშხანა Windrunner-ი დააყენა



12.7 მმ-იანი M82 Barrett-ი (წინა პლანზე) 10.4 მმ-იან CheyTac M200-ზე მძიმეა, თუმცა სიზუსტით გაცილებით ჩამორჩება

შვეულმფრენების წინააღმდეგ უფრო გამოიყენებენ, ვიდრე ცოცხალი ძალის გასანადგურებლად.

დასავლეთში სროლის სიზუსტეს განსაზღვრავენ MOA-ში. 1MOA 100 მ-ში 2,9 სმ-ს უტოლდება. თუკი 12,7 მმ კალიბრიან სნაიპერულ შაშხანას 1MOA სიზუსტით ისვრის 1500 მ-ში, გამოვა, რომ ტყვიები „ჩაჯდება“ 43,5 სმ დიამეტრის წრეში, ანუ ამ სიშორეზე სამიზნეს შეიძლება თითქმის ნახევარი მეტრითაც ასცდეს.

რეალურად, 12,7 მმ კალიბრის სნაიპერული შაშხანების სროლის სიზუსტე 1MOA-ზე ბევრად უარესია და 1500 მ-ში შეიძლება მხოლოდ 2X3 ან 3X6 მ ზომის სამიზნის დაზიანება.

ამის გამო მსხვილკალიბრიანი შაშხანები, ძირითადად, შეუჯავშნავი სატრანსპორტო საშუალებების დასაზიანებლად გამოიყენება და ამიტომაც ანტიმატერიალურ შაშხანებსაც უწოდებენ.

ამერიკულმა საიარაღო კომპანია CheyTac-მა და დოქტორმა ჯონ ტეილორმა გადაწყვიტეს რეალობად ექციათ რამდენიმე კმ-იდან მოწინააღმდეგის პირადი შემადგენლობის ზუსტი დაზიანება და შექმნეს „მსუბუქი სამიზნეების“, ანუ ადამიანების შორი დისტანციიდან გასანადგურებელი სნაიპერული სისტემა CheyTac LRRS-ი.

ამისათვის თავდაპირველად დაამზადეს ახალი ვაზნა და წაწვეტებულწვერიანი ტყვია, რომელსაც შუალედური ადგილი უნდა დაეჭირა მსხვილკალიბრიან 12,7X99 მმ ვაზნასა და ბოლო დროის ძალზე პოპულარულ .338 Lapua Magnum (8,58X71 მმ)-ს შორის. ახალ ვაზნას .408 CheyTac-ი უწოდეს და მისი კალიბრი მეტრულ საზომში 10.4X77 მმ-ს შეადგენდა. იგი იმით გამოირჩეოდა, რომ მაღალი ბალისტიკის მქონე ტყვია 2000 მ-ის შემდეგაც ინარჩუნებდა ზებგერით სიჩქარეს, ხოლო გასროლიდან 700 მ-ის შემდეგ მისი ენერგია აღემატებოდა უფრო მსხვილკალიბრიან და მძიმე .50 BMG (12X99 მმ) კალიბრის ვაზნის ტყვიებისას. ამასთან, .408 ვაზნა 30%-ით მსუბუქი



.408 CheyTac ტიპის სნაიპერული ვაზნები

იყო .50BMG-ზე და გასროლისას ნაკლებ უკუცემას იძლეოდა.

თავდაპირველად ამერიკელმა კონ-



CheyTac M200 (უკან) და მისი მარტივი და, შესაბამისად, იაფი ვარიანტი, ერთვაზნიანი CheyTac M310-ი



**ჩვენი დოსიე:** CheyTac Intervention M200-ი 12.3 კგ-ს იწონის. მისი სიგრძე გაშლილი კონდახით 1400 მმ-ია, დაკეცილით — 1220 მმ. ლულის სიგრძე 762 მმ-ს შეადგენს. მჭიდში .408 CheyTac (10,4X77მმ) კალიბრის 5 ვაზნა ეტევა. გადატენა ხელით ხდება, წრფივად მოსრიალე მობრუნებადი საკეტით

სტრუქტორებმა საბაზო იარაღად 12,7 მმ-იანი სნაიპერული Windrunner-ი აიღეს და მას კალიბრი 10 მმ-მდე შეუმცირეს. ამ იარაღს CheyTac LRRC M100 ეწოდა. გამოცდისას მისი ხარვეზები გამოვლინდა. ეს უპირველესად ეხებოდა იარაღის ერგონომიკას — ლოყის დასადები ცუდად რეგულირდებოდა, პისტოლეტის ხელის მოსაკიდი M16 ავტომატური შაშხანიდან იყო გადმოტანილი და მისი დახრის კუთხე იმ მებრძოლებისთვის იყო განსაზღვრული, ვისაც ბრძოლისას სროლა სირბილის დროსაც უწევთ. არადა, შორსმსროლელი სნაიპერი ზუსტ გასროლას უძრავ და წოლით მდგომარეობაში ახორციელებს.

გამომცდელ სნაიპერებს არც სასხლეტზე თითის დაწოლის ძალა მოსწონდათ, რადგან გასროლისთვის სასხლეტზე თითქმის 4 კგ ძალის მოდება იყო საჭირო, რაც მნიშვნელოვნად ამცირებდა სროლის სიზუსტეს. ეს მაჩვენებელი კონსტრუქტორებმა 1,5 კგ-მდე დაიყვანეს, რამაც დააკმაყოფილა სნაიპერების მოთხოვნა.

ამ და სხვა ნაკლოვანებების (მათ შორის — გასაშლელი ფეხების სიგრძის) აღმოფხვრის შემდეგ შეიქმნა მოდერნიზებული, ზეზუსტი და შორსმსროლელი სნაიპერული შაშხანა Intervention M200.

ფირმის წარმომადგენლები ამტკიცებენ, რომ მათ ახალ მსხვილკალიბრიან სნაიპერულ შაშხანა M200-ს მსოფლიოში საუკეთესო სიზუსტის ჩვენება შეუძლია და 2000 მ-ში სროლის სიზუსტე 1MOA-ზე ნაკლებია.

ოღონდ ასეთი მაჩვენებლის მიღებას ფირმის წარმომადგენლები მხოლოდ იმ შემთხვევაში ჰპირდებიან მსროლელს, თუკი ის სპეციალურ ძვირად ღირებულ ვაზნებთან ერთად გამოიყენებს შაშხანაზე დასამაგრებელ ოპტიკურ სამიზნე Nightforce NXS 5.5X22X-ს, ხოლო ღამით კი ღამის ხედვის მოწყობილობა AN/PVS-14-ს, რომელსაც ინფრაწითელი მიზნის მომნიშვნელი ლაზერი AN/PEQ-2 აქვს.

შორსმსროლელ სნაიპერულ სისტემაში ასევე შედის ბალისტიკური კომპიუტერი, რომელზეც მიერთებულია ქარის, ტემპერატურისა და ატმოსფერული წნევის განმსაზღვრელი სენსორები.

როგორც ხედავთ, შორ მანძილზე (2 კმ-ში) ადამიანის მდგომარე ფიგურის ზუსტი დაზიანება ერთი გასროლით ძალზე რთული და ძვირად ღირებული საქმე ყოფილა. ამიტომაც გასაგებია, რომ მოწინააღმდეგის ჯარისკაცისთვის ასე არავინ „გაირჯება“.

შორსმსროლელი ჩუბინის სამიზნე შეიძლება იყოს VIP-პირი, რომლის სალიკვიდაციოდ, ალბათ, ღირს ამდენი წვალება და ხარჯი. აქედან გამომდინარე, CheyTac Intervention M200-ის ძირითადი კლიენტები სპეცსამსახურები არიან, რომლებიც ზეზუსტ სნაიპერულ სისტემას ქვეყნის პირველი პირების დაცვისას ანტისნაიპერული ბრძოლისთვის იყენებენ. თუმცა, არც ის უნდა გამოვრიცხოთ, რომ სპეცსამსახურების სადივერსიო ჯგუფებს M200-ებით ორი კმ-ის სიშორიდან კარგად დაცული არასასურველი VIP-პირის ლიკვიდაციაც შეუძლიათ.

*ირაკლი ალადაშვილი*



შედარებისთვის (მარცხნიდან მარჯვნივ): .308 Win (7,62X51 მმ)-ის; .338 Lapua Magnum (8,58X71 მმ)-ის, .50BMG (12,7X99 მმ)-ისა და .408 CheyTac (10,4X77 მმ)-ის ტყვიები და მასრები

ISSN 1987-5061

